

ტესტები

რადიაციულ თერაპიაში

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Principles and Practice of Radiation Oncology (Perez and Brady's) fifth edition
2. Abeloff's Clinical Oncology 2008
3. AJCC Cancer Staging Atlas
4. ონკოლოგია - რ. ღვამიჩავა, მ. შავდია 2010

135. დაახლოვებით, რამდენ საათში დადგება რადიოაქტიური წონასწორობა ^{99m}Tc -ს და ^{99}Mo -სთვის, თუ ^{99}Mo -ის ნახევარდაშლის პერიოდია 67 სთ, ხოლო ^{99m}Tc -ს 6 სთ.

- ა) 6
- *ბ) 24
- გ) 48
- დ) 54
- ე) 268

სწორი პასუხი არის ბ. RAPHEX Therapy exam 2012

136. უსასრულო წონასწორობა დგება იმ შემთხვევაში, როდესაც:

- ა) „შვილობილი“ იზოტოპის ნახევარდაშლის პერიოდი მცირედ ნაკლებია „მშობელი“ იზოტოპის ნახევარდაშლის პერიოდზე.
- ბ) „შვილობილი“ იზოტოპის ნახევარდაშლის პერიოდი მცირედ მეტია „მშობელი“ იზოტოპის ნახევარდაშლის პერიოდზე.
- *გ) „შვილობილი“ იზოტოპის ნახევარდაშლის პერიოდი ბევრად ნაკლებია „მშობელი“ იზოტოპის ნახევარდაშლის პერიოდზე.
- დ) „შვილობილი“ იზოტოპის ნახევარდაშლის პერიოდი ბევრად მეტია „მშობელი“ იზოტოპის ნახევარდაშლის პერიოდზე.
- ე) ნახევარდაშლის პერიოდის ფარდობითი მნიშვნელობა არ არის არანაირ დამოკიდებულებაში რადიოაქტიურ წონასწორობასთან

სწორი პასუხი არის გ. RAPHEX Therapy exam 2012

„შვილობილი“ იზოტოპის ნახევარდაშლის პერიოდი ბევრად ნაკლებია „მშობელი“ იზოტოპის ნახევარდაშლის პერიოდზე, ეს არის უსასრულო წონასწორობა

137. 1 ბეკერელი ტოლია:

- ა) 3.7×10^{10} კიური
- ბ) 3.7×10^{-10} კიური
- გ) 3.7×10^{-7} კიური
- დ) 2.7×10^{-7} კიური
- *ე) 2.7×10^{-11} კიური

სწორი პასუხი არის ე. RAPHEX Therapy exam 2012

1 ბეკერელი = 2.7×10^{-11} კიური

138. თავისი კლასიკური განმარტებით, 1 კიური ეს არის 1გ ____-ის აქტიურობა:

ა) ^{235}U

ბ) ^{210}Po

გ) ^{137}Cs

*დ) ^{226}Ra

ე) არც ერთი ზემოჩამოთვლილთაგანი

სწორი პასუხი არის დ. RAPHEX Therapy exam 2012

1 კიური ეს არის 1გ ^{226}Ra -ის აქტიურობა:

139. ექსპოზიციის სიმძლავრე 1 მეტრ ნანძილზე ^{137}Cs -ის 10მკიური აქტიურობის წერტილოვანი წყაროდან (Γ - ^{137}Cs -ისთვის 3.3 რ.სმ²/(მკიური×სთ):

ა) 3 მრ/წთ

ბ) 3.3 რ/წთ

*გ) 3 მრ/სთ

დ) 3.3 რ/სთ

ე) 3 რ/სთ

სწორი პასუხი არის გ. RAPHEX Therapy exam 2012

ექსპოზიციის სიმძლავრე = ექსპოზიციის სიმძლავრე კონსტანტა X აქტივობაზე/d² =3.3 R.cm²/(mCi X h)X 10mCi X (1/1002) cm⁻² =3.3mR/h.

140. რენტგენის მილაკში მცირე ზომის კოჭას გააჩნია შემდეგი უპირატესობა დიდ კოჭასთან შედარებით:

ა) მაღალი სითბოტევადობა

ბ) მაღალი დინების გამოყენების შესაძლებლობა

*გ) ამცირებს გეომეტრიულ საზღვარს

დ) ხანგრძლივი სიცოცხლისუნარიანობა.

ე) ყველა ზემოჩამოთვლილი

სწორი პასუხი არის გ. RAPHEX Therapy exam 2012

მცირე ზომის ფილამენტებს აქვთ მცირე განზომილება, წარმოქმნიან მცირე ომის გეომეტრიულ პენუმბრა, და ქმნის ნაკლებ გეომეტრიულ საზღვარს.

141. რენტგენის მილაკისათვის მიწოდებული სიმძლავრე 120 კვ მუდმივი ძაბვისა და 100მა დენის პირობებში ტოლია:

ა) 12 ვტ

ბ) 120 ვტ

გ) 1.2 კვტ

*დ) 12კვტ

ე) 120 კვტ

სწორი პასუხი არის დ. RAPHEX Therapy exam 2012

მაზვისა და დენის პროდუქტი არის ელექტრული დენი.

142. რომელი ტიპის რენტგენის გენერატორი აწარმოებს ყველაზე მაღალეფექტურ მაზვას მილაკზე, იმ დაშვებით, რომ მილაკზე მოდებულია პიკური მაზვა?

ა) ერთ-ფაზიანი

ბ) სამ-ფაზიანი

*გ) მუდმივი პოტენციალით

დ) ეფექტური მაზვა ერთნაირია ყველა ზემოთჩამოთვლილ შემთხვევაში

სწორი პასუხი არის გ. RAPHEX Therapy exam 2012

მუდმივი პოტენციალი წარმოქმნის მილის ვოლტაჟს, რომელიც მიახლოებით აჭარბებს ექსპოზიციის დროს. ეფექტური ვოლტაჟი არს ტოლი პიკური ვოლტაჟის.

143. რენტგენის მილაკი ვოლფრამის ფილტრით მუშაობს 120KVp პოტენციალით. მიღებულ სპექტრში ფოტონის მაქსიმალური ენერგია იქნება?

ა) 69.5 კეე

ბ) 67.5 კეე

*გ) 120 კეე

დ) 189.5 კეე

ე) ლიმიტი არ არსებობს

სწორი პასუხი არის გ. RAPHEX Therapy exam 2012

რენტგენის სხივების ემისია ხდება მუდმივად სპექტრში, რომლისთვისაც მაქსიმუმი არის მოწოდებული კვპ.

144. ჩამოთვლილთაგან რომელია მართებული დამუხრუჭების რადიაციასთან მიმართებაში?

ა) წარმოიქმნება მაშინ, როცა დამუხრუჭული ნაწილაკები ნელდებიან ბირთვის ველში

ბ) მისი ინტენსივობა სხივის ინტენსივობის პროპორციულია

გ) შესაძლებელია გავრცელდეს სხივის საწყის მიმართულების მიმართ ნებისმიერი მიმართულებით

*დ) ყველა ზემოთჩამოთვლილთაგანი

ე) არც ერთი ზემოთჩამოთვლილთაგანი

სწორი პასუხი არის დ. RAPHEX Therapy exam 2012

145. მეორეულ დასხივებით გამოწვეულ ციტოკინეზის გამოვლენასთან მიმართებაში რომელია მართებული:

*ა) ციტოკინეზის TNF-a ოჯახის წევრები ფიბროზის მნიშვნელოვან მედიატორებად გვევლინებიან

ბ) ზოგიერთი ციტოკინები დასხივების შემდეგ ვლინდებიან ადრეულად და არსებობენ ლატენტური პერიოდის განმავლობაში, მანამ სანამ არ გამოვლინდება ქსოვილების დაზიანება.

გ) ციტოკინები განსხვავდებიან პოლიპეპტიდური ჰორმონებისაგან იმით რომ მათ შეუძლიათ წარმოიქმნან ერთზე მეტი უჯრედული ტიპებისგან და გამოავლინოს სხვადასხვა ეფექტი სხვადასხვა უჯრედულ ტიპებზე.

დ) პენტოქსიფილინის რადიოპროტექტორული თვისება შეიძლება დაკავშირებული იყოს იმ გარემოებასთან, რომ მას შესწევს უნარი შეაჩეროს ციტოკინების კასკადური გამრავლება და შესაბამისად შეაჩეროს სხივური თერაპიით გამოწვეული ფიბროზი.

სწორი პასუხი არის ა. RAPHEX Therapy exam 2012

სამიზნე უჯრედების კვდომის პროცესში რეპოპულაციის ხარისხი თამაშობს მნიშვნელოვან როლს ადრეული და მოგვიანებითი რადიაციული ეფექტების ეტიოლოგიაში. უკვე არის დადგენილი ციტოკინების გავლენაც. TGF β ოჯახის ციტოკინი ასოცირებულია ფიბროზის წარმოქმნასთან და არა TNF- α .

146. ერთ ერთი ადრეული კლინიკური კვლევა, რომელიც განიხილავდა α/β იზოფექტის მოდელის პრინციპს, აფასებდა კანის ადრეულ და გვიან რეაქციებს ქალებში გულმკერდის კედლის დასხივების შემდეგ ჰიპო ან ჰიპერფრაქციონირებული რეჟიმით, მკურნალობის ერთნაირი საერთო ხანგრძლივობით. კვლევის ყველაზე მნიშვნელოვანი დასკვნა მდგომარეობდა შემდეგში:

ა) ჰიპერფრაქციონირებული რეჟიმის ჯგუფში მეტი სიხშირით დაფიქსირდა მკურნალობის დროებითი შეწყვეტის საჭიროება

ბ) კანის გვიანი ტელეანგიექტაზია უფრო ძლიერად გამოვლინდა ჰიპერფრაქციონირებული რეჟიმის დროს

*გ) კანის გვიანი ტელეანგიექტაზია უფრო ძლიერად გამოვლინდა ჰიპოფრაქციონირებული რეჟიმის დროს

დ) კანის მწვავე ერთემა უფრო ძლიერად გამოვლინდა ჰიპერფრაქციონირებული რეჟიმის დროს

სწორი პასუხი არის გ. RAPHEX Therapy exam 2012

თანაბარ პირობებში, ჰიპერფრაქციონირება უპირატესად მოქმედებს მოგვიანებითად მოპასუხე ნორმალურ უჯრედებზე.

147. ქვემოთჩამოთვლილთაგან რომელი მოსაზრებაა მცდარი ფოტოდინამიკური თერაპიის (PDT) შესახებ?

ა) ფოტოდინამიკური თერაპიის დროს ჰემატოპორფირინისაგან წარმოებული მედიკამენტები ხშირად გამოიყენება როგორც ფოტოსენსიტიზატორები

ბ) ფოტოდინამიკური თერაპიის დროს უმეტესად გამოიყენება წითელი ფერის ლაზერული სხივი, რაც განპირობებულია მისი ქსოვილში გამჭოლუნარიანობის მახასიათებლებით

*გ) ფოტოდინამიკური თერაპიის ძირითადი უპირატესობაა მდგომარეობს იმაში, რომ რადიობიოლოგიურად ჰიპოქსიური უჯრედები მეტად მგრძობიარენი არიან მის მიმართ, ვიდრე აერობული უჯრედები.

დ) მიჩნეულია, რომ სიმსივნის რეგრესია ფოტოდინამიკური თერაპიის შემდეგ განპირობებულია პირდაპირი ციტოტოქსიური ეფექტით სიმსივნურ უჯრედებზე, და ასევე სისხლძარღვოვანი დაზიანების შემდეგ მეორეულად გამოწვეული იშემია/ნეკროზით

სწორი პასუხი არის გ. RAPHEX Therapy exam 2012

რადგანაც ფოტოდინამიკური თერაპია ახორციელებს ურთიერთქმედებას ქიმიური სენსიბილიზატორს, ხილულ სინათლესა და მოლეკულურ ჟანგბადს შორის, ის არ იმუშავებს რადიობიოლოგიურად ჰიპოქსიურ მდგომარეობაში, ან ჟანგბადის დაბალი შემცველობის დროს.

148. ქვემოთ ჩამოთვლილი თერაპიული ინტერვენციები მოცემულია როგორც სიმსივნის ვასკულარიზაციის შეფერხების სტრატეგია, გარდა

ა) მონიკლონური ანტისხეულები VEGF რეცეპტორის წინააღმდეგ

ბ) ოლიგონუკლეოტიდები, რომლებიც ხელს უშლიან VEGF ან bFGF mRNA გააქტიურებას

გ) ტუბულინ დამაკავშირებელი აგენტები შერჩევითი ტოქსიურობით ენდოთელიუმის უჯრედების პროლიფერაციისათვის

*დ) მეტალპროტეინაზა აქტივატორები უჯრედგარე ქსოვილშიდა მესერის დასარღვევად

სწორი პასუხი არის დ. RAPHEX Therapy exam 2012

ანგიოგენეზისათვის საჭიროა უჯრედგარე მატრიქსის დარღვევა. თარაპიულული სტრატეგიები მიმართული უნდა იყვნენ დაზიანების პრევენციისკენ და არა მისი გაღრმავებისაკენ. მატრიქსის მეტალპროტეინაზის ინჰიბიტორი, როგორც არის მარიმასტატი, ამჟამად კლინიკური კვლევის პროცესშია.

149. რომელი შემდგომი სიდიდე შეესაბამება ენერჯის წრფივი გადაცემის (LET) ფარდობითი ბიოლოგიური ეფექტურობის ყველაზე მაქსიმალურ მნიშვნელობას მუტაგენეზის ტრანსფორმაციის ან უჯრედთა სიკვდილისათვის

ა) 20 კევ/მკმ

ბ) 50 კევ/მკმ

*გ) 100 კევ/მკმ

დ) 200 კევ/მკმ

სწორი პასუხი არის გ. RAPHEX Therapy exam 2012

ამ იონიზაციის სიმკვრივის მქონე რადიაციას აქვს ერთი დამუხტული ნაწილაკის გავლით ორმაგი ძაფის რღვევის ყველაზე დიდი ალბათობა.

150. ჩამოთვლილთაგან რომელი კვლევა იძლევა ყველაზე სრულყოფილ ინფორმაციას რამოდენიმე წლის წინ მიღებული რადიაციული ზემოქმედების შესახებ

- ა) ჟელე-ელექტროფორეზი პულსირებული ელექტრული ველით (PFGE)
- ბ) მიკრონუკლეარული ანალიზი
- გ) ერთულ-უჯრედოვანი ჟელე-ელექტროფორეზი ალკალინით (ACA)
- *დ) ფლუროსენციული ჰიბრიზიდაცია ინ სიტუ

სწორი პასუხი არის დ. RAPHEX Therapy exam 2012

ჟელე-ელექტროფორეზი პულსირებული ელექტრული ველით (PFGE) მხოლოდ ადეტექტირებს დნმ-ის ორმაგი ძაფის წყვეტას, ის შედარებით ნაკლებ-მგრძობიარეა და წყვეტის დასაფიქსირებლად ჭირდება მაღალი დოზები. მიკრონუკლეარული ანალიზი ადეტექტირებს დაზიანებას დაბალ დოზებში, მაგრამ ადეტექტირებს მხოლოდ არასტაბილურ აბერაციებს რომელიც უკვე გამქრალია ტესტირების დროისათვის. ერთულ-უჯრედოვანი ჟელე-ელექტროფორეზი ალკალინით მხოლოდ ადეტექტირებს დნმ-ის ერთი ძაფის წყვეტას. ფლუროსენციურ ინ სიტუ ჰიბრიდიზაციას შეუძლია ქრომოსომის ბალანსირებული ტრანსლოკაციის დეტექტირება, ერთადერთი აბერაციის ტიპი რომლის სიხშირეც უნდა დარჩეს მაღალი მრავალი წლის განმავლობაში.

151. რადიოთერაპიის სტანდარტული კურსისათვის დღიური დოზით 2 გრ ეფექტური დოზა არის $D_{0.3}$ გრ. ნავარაუდევია სრული აღდგენა და ამასთან ფრაქციებს შორის პროლიფერაცია არ აღინიშნება. რამდენი ათეული უჯრედების სიკვდილია ნავარაუდევი 70გრ ტოტალური დოზის მიღების შემდეგ.

- ა) 20
- ბ) 15
- *გ) 10
- დ) 5

სწორი პასუხი არის გ. RAPHEX Therapy exam 2012

ვითარდება პირდაპირ $D_{10}=2.3 \times D_0$ დან და ჯამური დოზა/ D_{10} = კვდომის დეკადები. მოითხოვს იმის ცოდნას, რომ ფრაქციონირება გვამლევს გადარჩენის ექსპოტენციალურ მრუდს.

152. ქვემოთ ჩამოთვლილიდან რომელი არ შეესაბამება ძირითად დასკვნას რადიაციით გამოწვეული მუტაციების შესახებ მუშემწოვრებში, რომელიც მიღებულ იქნა ვირთხებზე ჩატარებული ლოკუს სპეციფიკური ექსპერიმენტების საფუძველზე (mega mouse project)

- ა) მუტაციის სიხშირე იცვლებოდა ანალიზირებული გენეტიკური ლოკუსის საფუძველზე.
- ბ) დოზის სიმძლავრის ეფექტი მაღალი იყო მუტაციის ინდუცირების თვალსაზრისით
- *გ) მდებრობითი სქესის თაგვები უფრო რადიომგრძობიარეები აღმოჩნდნენ ვიდრე მამრობითი სქესის, ღეროვან უჯრედებში მუტაციის ინდუცირების თვალსაზრისით

დ) დოზის გაორმაგება მუტაციებისათვის შეადგენდა დაახლოებით 1 გრის.

სწორი პასუხი არის გ. RAPHEX Therapy exam 2012

მამრობითის გონოციტი მუტაციის თვალსაზრისით ბევრად უფრო მგრძობიარეა ვიდრე მდედრობითის. ხოლო უჯრედების კვდომის თვალსაზრისით ბევრად მგრძობიარეა მდედრობითის გონოციტი.

153. სამიზნის თეორიის პრინციპების მიხედვით ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელი განმარტავს ყველაზე მეტად ეფექტური დოზის მნიშვნელობას?

*ა) ეს არის დოზა რომელიც უჯრედების გადარჩენადობას ამცირებს 63%-ით გადარჩენადობის მრუდის ექსპონენციურ ნაწილზე

ბ) ეს არის დოზა რომელიც უჯრედების გადარჩენადობას ამცირებს 37%-ით გადარჩენადობის მრუდის ნებისმიერი სეგმენტიდან

გ) ეს არის დოზა რომელიც წარმოქმნის დაახლოებით ერთ იონიზაციის მოვლენას ერთ უჯრედზე

დ) ეს არის უჯრედის კვდომის მრუდის ალფა კომპონენტი, რომელიც მიიღება ერთეულოვანი დაჯახების კინეტიკის მონაცემების საფუძველზე

სწორი პასუხი არის ა. RAPHEX Therapy exam 2012

D0 განსაზღვრულია როგორც დოზა, რომელიც ამცირებს გადარჩენადობას 37%-მდე გადარჩენადობის მრუდის ექსპონენციურ ნაწილში. ეს არის დოზა, რომელიც იძლევა საშუალოდ ერთ დარტყმას უჯრედზე. თითოეული „დარტყმა“ შეიძლება ასოცირებული იყოს რამოდენიმე იონიზაციასთან. $D0 = D_{37}$ მხოლოდ გადარჩენადობის მრუდებისათვის რომელსაც არ გააჩნიათ მხარი. $D0 = Dq / \ln(n)$. D0 არ შეიძლება გაიგივებულ იქნას ალფასთან ან ბეტასთან, მაგრამ მასზე ბეტა უფრო დიდ გავლენას ახდენს ვიდრე ალფა.

154. მცირე ზომის სიმსივნური წარმონაქმნები ბევრად უფრო ადვილად კონტროლირებადია ვიდრე პირველადი დიდი ზომის სიმსივნეები, რაც განპირობებულია შემდეგი გარემოებით :

*ა) კლონოგენებს შეიცავს მცირე რაოდენობით

ბ) სიმსივნური უჯრედების დიდი წილი მდებარეობს უჯრედული ციკლის G2/M ფაზაში

გ) მარტივი დასასხივებელია ერთი ან რამოდენიმე ველით

დ) უფრო დიდია ზემოქმედება პაციენტის იმუნური სისტემის მიერ.

სწორი პასუხია ა. RAPHEX Therapy exam 2012

სიმსივნის კონტროლის ალბათობა ძალიან არის დამოკიდებული ფაქტობრივი სიმსივნის კლონოგენების რიცხვზე. დიდი ზომის სიმსივნეებს აქვთ მეტი კლონოგენები რომლებიც უნდა დასხივდეს [დამოკიდებულია სიმსივნის დიამეტრის კუბზე (მოცულობა)].

155. წრფივი ამაჩქარებელი ფუნქციონირებს 3 გჰც სიხშირეზე, ამაჩქარებელი მილის სიგრძეა 75სმ. ამაჩქარებელ ტალღისგამტარ მილში დისკოები გამოყოფილია 2.5 სმ მანძილით

ტალღის სიგრძის $\frac{1}{4}$ -თ და აჩქარებული ელექტრონები აჩქარების დროს ყოველ მომდევნო დისკს შორის იძენენ 200კვ ენერგიას. ელექტრონების ენერგია მილიდან გამოსვლისას იქნება ___ მევ.

- ა) 5მევ
- *ბ) 6მევ
- გ) 12მევ
- დ) 20მევ

სწორი პასუხია ბ. RAPHEX Therapy exam 2012

156. 915 მჰც სიხშირის მიკროტალღების ტალღის სიგრძე, რომლებიც გამოიყენება ჰიპოთერმიის სამკურნალოდ დაახლოებით არის ---- სანტიმეტრი:

- ა) 0.33 სმ
- ბ) 3.3 სმ
- *გ) 33 სმ
- დ) 330 სმ

სწორი პასუხია გ. RAPHEX Therapy exam 2012

157. სამსახურეობრივი მოვალეობის დროს მიღებული ექვივალენტური დოზა ემბრიონზე თანაბარი პროპორციით გესტაციის პერიოდში ორსულობის დადგენის შემდეგ შეადგენს:

- ა) 0.1 ზვ
- ბ) 0.2 ზვ
- *გ) 0.5 ზვ
- დ) 1.0 ზვ

სწორი პასუხია გ. RAPHEX Therapy exam 2012

158. ნეიტრონი წარმოიქმნება ამაჩქარებლის

- *ა) სამიზნედან
- ბ) ელექტრონების წყაროდან
- გ) ტალღის გამტარიდან
- დ) კლისტრონიდან

სწორი პასუხია ა. RAPHEX Therapy exam 2012

159. ჩამოთვლილთაგან რომელი შეცდომა იძლევა ყველაზე დიდ ცდომილებას სამიზნე მოცულობაში დოზის განაწილების თვალსაზრისით გარეგანის სხივური თერაპიის კურსის დროს 6 მვ ენერჯის ფოტონებით?

- *ა) სოლის არასწორი ორიენტაცია
- ბ) სოლის არასწორი კუთხე (45° ნაცვლად 15°)

გ) SAD (წყარო-იზოცენტრი მანძილი) ტექნიკით მკურნალობა SSD (წყარო-კანი მანძილი) ტექნიკის ნაცვლად SAD ტექნიკით განსაზღვრული მონიტორ-ერთეულებით 11სმ სიღმეზე მდებარე სიმსივნური წარმონაქმნისათვის

დ) არასწორი ფოტონური ენერგია (6 მვ ნაცვლად 18მვ-სა) 11სმ სიღრმეზე მდებარე წარმონაქმნისათვის

სწორი პასუხია ა. RAPHEX Therapy exam 2012

160. სიმსივნური წარმონაქმნი მდებარეობს 3სმ სიღრმეზე. წარმონაქმნის 90%-იანი იზოდოზით დაფარვისათვის ელექტრონული სხივის ენერგია, უნდა იყოს:

ა) 6 მევ

ბ) 9 მევ

*გ) 12 მევ

დ) 16 მევ

სწორი პასუხია გ. RAPHEX Therapy exam 2012

161. 20 სმ-იანი განივკვეთის სიგანის მქონე პაციენტისათვის, რომელიც სხივდება უკანა ველით, რადიოთერაპიის ქვემოთ ჩამოთვლილი დანიშნულებიდან, რომლიდან იქნება უზრუნველყოფილი ინტეგრალური დოზის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი

*ა) 2 გრ- 5სმ სიღმეზე 6 მევ ფოტონებით

ბ) 2 გრ- 5სმ სიღმეზე 18 მევ ფოტონებით

გ) 2 გრ- დოზის მაქსიმუმის წერტილში 6 მევ ფოტონებით

დ) 2 გრ- დოზის მაქსიმუმის წერტილში 18 მევ ფოტონებით

სწორი პასუხია ა. RAPHEX Therapy exam 2012

162. ჩამოთვლილი ქმედებებიდან რომელი ღონისძიებაა საჭირო გამოსახულების ხარისხის შესანარჩუნებლად კტ-სლაისების სისქის გაზრდის დროს?

ა) კილოვოლტური პიკის შემცირება

ბ) მილიამპერების სიდიდის შემცირება

*გ) სკენირების დოზის ზრდა

დ) ბიჯების ზრდა

სწორი პასუხია გ. RAPHEX Therapy exam 2012

163. რადიოლოგიური ერთეულების საერთაშორისო კომისიის (ICRU) ანგარიში #62-ის მიხედვით ინტერნალური სამიზნე მოცულობა (ITV) პროსტატის კიბოს რადიოთერაპიული მკურნალობის დროს მოიცავს:

*ა) კლინიკური სამიზნე მოცულობა, რომელშიც გათვალისწინებულია მხოლოდ პროსტატის მოძრაობა

ბ) კლინიკური სამიზნე მოცულობა, რომელშიც გათვალისწინებულია პროსტატის მოძრაობა და პოზიციონირების ცდომილებები

გ) დაგეგმარების სამიზნე მოცულობა, რომელშიც გათვალისწინებულია მხოლოდ პროსტატის მოძრაობა

დ) დაგეგმარების სამიზნე მოცულობა, რომელშიც გათვალისწინებულია პროსტატის მოძრაობა და პოზიციონირების ცდომილებები

სწორი პასუხია ა. RAPHEX Therapy exam 2012

164. ნივთიერების ფენის სისქე (HVL), რომელიც შთანთქავს სხივის ინტენსივობის ნახევარ სიდიდეს, და რომელიც საჭიროა ინტენსივობის ნახევრამდე შესამცირებლად ერთხელ უკვე განახევრებული ინტენსივობის შემთხვევაში, იმ სისქესთან შედარებით, რომელიც გამოყენებული იქნა პირველ ეტაპზე არის:

ა) ნაკლები

ბ) ტოლი

*გ) მეტი

დ) უცნობი

სწორი პასუხია გ. RAPHEX Therapy exam 2012

165. საყლაპავის კიბოს მქონე პაციენტების წილი ეზოფაგექტომიის შემდეგ, რომლებსთვისაც ვლინდება კონტრასტის მკაფიო ჩართულობა საყლაპავში პოზიტრონულ-ემისიულ ტომოგრაფიული კვლევის დროს განიმარტება, როგორც:

*ა) მგრძნობიარობა

ბ) სპეციფიურობა

გ) პოზიტიური პროგნოზი

დ) ნეგატიური პროგნოზი

სწორი პასუხი არის ა. RAPHEX Therapy exam 2012

სენსიტიურობა = ნამდვილი პოზიტიურობა/ ნამდვილ პოზიტიურობას + ცრუ უარყოფითი

166. ცენტრალური ტენდენციის საზომი ერთეულების თვალსაზრისით ქვემოთ ჩამოთვლილთაგან მართებულია შემდეგი:

ა) საშუალო მნიშვნელობაზე მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ნიმუშის ზომა

ბ) მეტნაკლებად ალბათური მნიშვნელობა არის დაკვირვების ყველაზე ხშირი ფორმა

გ) მათემატიკური თვალსაზრისით შუალედური მნიშვნელობა არ არის ისეთი დამაჯერებელი, როგორც საშუალო მნიშვნელობა

*დ) დიაპაზონი განისაზღვრება ცენტრალური ტენდენციის ან ადგილმდებარეობის მაჩვენებლების მიხედვით

სწორი პასუხი არის დ. RAPHEX Therapy exam 2012

დიაპაზონი ეს არის გავრცელების ან ვარიაციის განზომილება.

167. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი ასახავს ყველაზე უკეთესად პრინციპს „მიზანი არის რომ უმკურნალო“ III ფაზის კვლევის დროს:

*ა) ჯგუფში რანდომიზირებულად მოხვედრილი ყველა პაციენტი გადის პირველად ანალიზს.

ბ) პაციენტები, რომლებსაც არ შესწევთ მკურნალობის დასრულების უნარი უნდა გამოირიცხონ კვლევიდან;

გ) პაციენტები, რომლებიც რანდომიზირებულად შეირჩნენ სამკურნალო ჯგუფში, მაგრამ გამოირიცხნენ ჯგუფიდან მკურნალობის დაწყებამდე უნდა გამოირიცხონ კვლევიდან

დ) პაციენტები, რომლებიც გარდაიცვალნენ იმაზე ადრე, ვიდრე იქნებოდნენ რანდომიზირებულად შერჩეული სამკურნალო ჯგუფში უნდა გამოირიცხონ კვლევიდან;

სწორი პასუხი არის ა. RAPHEX Therapy exam 2012

პაციენტის გამოთიშვა ანალიზიდან მკურნალობის გადანაცვლების, ადრეული სიკვდილიანობის ან პაციენტის გამოთიშვამ შესაძლოა შეცვალოს შედეგები, რადგანაც გამოთიშულ პაციენტებს უმეტესად აქვთ ცუდი პროგნოზი.

168. ქვემოთ ჩამოთვლილიდან რომელია მცდარი მოსაზრება მეტა-ანალიზის პრინციპთან მიმართებაში:

ა) რანდომიზირებული კვლევების მიმართ ნაკლებია ყურადღება

ბ) ანალიზის შედეგებში ხვდება გამოუქვეყნებელი მონაცემები

*გ) პაციენტების საერთო რაოდენობის 15%-ზე ნაკლები, რომლებიც რანდომიზირებულად შეირჩნენ სამკურნალო ჯგუფში, შესაძლოა გამოირიცხონ კვლევიდან.

დ) ყველა შესაბამისი კლინიკური კვლევის ჩართვა ამ ანალიზის უმნიშვნელოვანესი კომპონენტია

სწორი პასუხი არის გ. RAPHEX Therapy exam 2012

მეტაანალიზის ერთ ერთი ბაზისური პრინციპი არის არ გამოირიცხოს რანდომიზირებული პაციენტი ანალიზიდან.

169. სამკურნალო და პლაცებო ჯგუფებში შერჩეული პაციენტათვის ტკივილის სიძლიერე მერყეობს 1-დან 5-მდე. ქვემოთ ჩამოთვლილი ტესტებიდან რომლის საშუალებით არის შესაძლებელი ამ ორ ჯგუფს შორის ტკივილის სიძლიერის მაჩვენებლის გამოვლენა:

*ა) ვილკოქსონის კრიტერიუმი

ბ) კრუსკალ ვალისის ტესტი

გ) ცვლილების ორმხრივი ანალიზი

დ) ჩი-კვადრატის კრიტერიუმი

სწორი პასუხი არის ა. RAPHEX Therapy exam 2012

rank sum ტესტი გამოიყენება 2 ჯგუფის შესადარებლად როგორც დამოუკიდებელი გამაგითების, საჭიროებს დაკვირვებას დაბალიდან მაღლამდე, შემდეგ ანიჭებენ წოდებას თითოეულ დასაკვირვებელ ობიექტს.

170. სხეულის ზედა ნაწილი არის:

ა) ფრონტალური არე სხეულთან მიმართებაში

ბ) განივი ანუ ჰორიზონტალური განაკვეთი

*გ) არე, მიმართული ფეხებიდან თავისკენ (კაუდო-კრანიალური)

დ) ფრონტალური ანუ კორონარული განაკვეთი

სწორი პასუხი არის გ. RAPHEX Therapy exam 2012

171. ფრონტალური ანუ კორონარული სობრტყე არის:

ა) განივი ანუ ჰორიზონტალური განაკვეთი

ბ) იქმნება წარმოსახვითი ხაზით, რომელიც სხეულს ნებისმიერ დონეზე ყოფს ზედა და ქვემო ნაწილებად და მართობულია ცენტრალური სიბრტყისა

გ) ფრონტალური არე სხეულთან მიმართებაში.

*დ) იქმნება წარმოსახვითი ხაზით სხეულზე, რომელიც ყოფს მას წინა და უკანა ნაწილებად
სწორი პასუხი არის დ. RAPHEX Therapy exam 2012

172. ცენტრალური სიბრტყე ანუ შუა საგიტალური სიბრტყე არის:

ა) სტრუქტურა რომელიც მდებარეობს შუა ხაზზე

ბ) განივი ანუ ჰორიზონტალური განაკვეთი

გ) დგომა ვერტიკალურ პოზიციაში, ხელები ტორსის გასწვრივ

*დ) შექმნილი წარმოსახვითი ხაზით, რომელიც სხეულს ყოფს მარჯვენა და მარცხენა ნაწილებად.

სწორი პასუხი არის დ. RAPHEX Therapy exam 2012

173. სიგმოიდური ნაწლავი მდებარეობს:

*ა) მარცხენა ქვედა კვადრანტში

ბ) მარცხენა ზედა კვადრანტში

გ) მარჯვენა ქვედა კვადრანტში

დ) მარჯვენა ზედა კვადრანტში

სწორი პასუხი არის ა. RAPHEX Therapy exam 2012

174. თემოს ძვლის ქედის ზედა პოლუსი დაახლოებით იგივე დონეზეა რომელზეც:

- ა) ნეკნის კიდე
- ბ) ჭიპის დონე
- გ) მახვილისებრი მორჩი
- *დ) წელის მეოთხე მალა

სწორი პასუხი არის დ. RAPHEX Therapy exam 2012

175. სასუნთქი სისტემის სტრუქტურებთან მიმართებაში მართებულია ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი, გარდა ერთისა:

- *ა) მარჯვენა ფილტვს აქვს ორი წილი
- ბ) ფილტვის ყველაზე ზედა ნაწილია მწვერვალი
- გ) თითოეული ფილტვი დაფარულია პლევრით
- დ) ტრაქეის იყოფა ორ ძირითად ბრონქად.

სწორი პასუხი არის ა. RAPHEX Therapy exam 2012

176. სწორი ნაწავის ანატომიის თვალსაზრისით ჩამოთვლილთაგან მართებულია ყველა გარდა ერთისა:

- *ა) ვრცელდება გარეთა სფინქტერიდან რექტო-სიგმოიდურის შეერთების ადგილამდე.
- ბ) იყოფა სამ ნაწილად.
- გ) სწორი ნაწლავისა და საშოს შორის მდებარეობს დუგლასის სივრცე
- დ) სწორი ნაწლავი იცლება პირდაპირ პერინეუმში.

სწორი პასუხი არის ა. RAPHEX Therapy exam 2012

177. ჩამოთვლილთაგან რომელი განსაზღვრავს ზუსტად ელექტრონს:

- *ა) უარყოფითად დამუხტული ნაწილაკი
- ბ) ნეიტრალური ნაწილაკი
- გ) დადებითად დამუხტული ნაწილაკი
- დ) მძიმე ნაწილაკი

სწორი პასუხი არის ა. RAPHEX Therapy exam 2012

178. ჩამოთვლილთაგან რომელ შემთხვევაში ხდება რენტგენის გამოსხივების შთანთქმა ყველაზე მეტი რაოდენობით:

- ა) კუნთი
- ბ) ცხიმი
- გ) ჰაერი
- *დ) ძვალი

სწორი პასუხი არის დ. RAPHEX Therapy exam 2012

179. ჩამოთვლილთაგან რომელია მართებული პროსტატის კიბოს პაციენტების იმობილიზაციასთან მიმართებაში:

ა) შარდის ბუშტის სავსეობა განსაზღვრავს პროსტატის მდებარეობის მინიმალურ ცვლილებებს

*ბ) კტ გამოსახულება უნდა დაიწყოს L3 მალის დონიდან თუ დაგეგმილია მენჯის ლიმფური კვანძების დასხივებაც.

გ) რექტალური კონტრასტის გამოყენება მიზანშეწონილია სწორი ნაწლავის უკეთესი ვიზუალიზაციისათვის.

დ) კტ გამოსახულების ქვედა საზღვარი მდებარეობს 1სმ-ით ქვემოთ ბარძაყის ძვლის დიდი ციბრუტიდან

სწორი პასუხი არის ბ. RAPHEX Therapy exam 2012

180. ჩამოთვლილთაგან რომელია მართებული თავ-კისრის პაციენტების პოზიციონირებისა და მკურნალობის თვალსაზრისით:

ა) კტ სკენირებული რეგიონის ქვედა საზღვარი არის ტრაქეის ბიფურკაციიდან 5 სმ ქვემოთ.

*ბ) ინტრავენური კონტრასტი არ არის აუცილებელი იმ შემთხვევაში, თუ გვაქვს დიაგნოსტიკური გამოსახულებაც

გ) პორტალის გამოსახულებაზე ძირითადი საორიენტაციო სტრუქტურა არის ქვედა ყბა.

დ) პორტალის გამოსახულებაზე ძირითადი საორიენტაციო სტრუქტურა არის ლავიწის ძვლები

სწორი პასუხი არის ბ. RAPHEX Therapy exam 2012

181. მენჯის ღრუში არსებული სიმსივნეების სიმულირების თვალსაზრისით მართებულია:

ა) ტერფისა და მუხლის საფიქსაციოს გამოყენება სავალდებულოა უკეთესი იმობილიზაციისა და იდენტური პოზიციონირებისათვის

*ბ) ყველა ჩამოთვლილი სწორია

გ) კორონარული ლაზერი თავსდება სხეულის შუა ხაზზე

დ) გამოსახულება იწყება თემოს ფრთიდან 5 სმ-ით ზემოთ

სწორი პასუხი არის ბ. RAPHEX Therapy exam 2012

182. გულმკერდის სიმულაციის დროს:

ა) საგიტალური ლაზერები უნდა შეესაბამებოდეს შუა აქსიალურ ხაზს

ბ) გამოსახულება იწყება ქვედაყბის ქვემო ნაწილიდან 5სმ-ით ზემოთ.

*გ) ვთხოვთ პაციენტს მიჰყვეს სუნთქვის ინსტრუქციას

დ) კორონარული ლაზერი მდებარეობს სხეულის შუაში.

სწორი პასუხი არის გ. RAPHEX Therapy exam 2012

183. სხივის მოდიფიცირებას უზრუნველყოფს ყველა ჩამოთვლილთაგანი გარდა:

ა) ბოლუსი

ბ) სოლი

*გ) კისრის საფიქსაციო

დ) MLC (მრავალფურცლოვანი კოლიმატორი)

სწორი პასუხი არის გ. RAPHEX Therapy exam 2012

184. სიმულირებისათვის პაციენტის ლოკალიზების დროს, რადიოთერაპიის ტექნიკოსი სამკურნალო ველს უმიზნებს თურქულ კეხს, რა ლოკალიზაციის კიბოს არსებობაა ყველაზე ალბათური მოცემული პაციენტის შემთხვევაში?

*ა) ადენოჰიპოფიზი

ბ) ტვინის ღერო

გ) ნათხემი

დ) ჯალღუზისებრი (პინეალური) სხეული

სწორი პასუხი არის ა. RAPHEX Therapy exam 2012

185. დამცავი ბლოკების სისწორის შესამოწმებლად რომელი შედარება არ იქნება მართებული?

ა) დამაგრებული ბლოკების სიმულატორის ფირებთან

ბ) პორტალური გამოსახულების სიმულაციის გამოსახულებასთან

გ) განათებული ველის პაციენტის ანატომიასთან

*დ) კანის მარკერების პორტალურ გამოსახულებასთან

სწორი პასუხი არის დ. RAPHEX Therapy exam 2012

186. რადიაციული თერაპიის კურსის მეორე დღეს რადიოთერაპიის ტექნიკოსი აფიქსირებს, რომ განათებული სამკურნალო ველი ვერ ფარავს შესაბამის ანატომიურ რეგიონს, მკურნალობის პარამეტრების შემოწმების შემდეგ რა არის მისი შემდგომი მოქმედება:

ა) ველის ზომის შესწორება ისე, რომ მოიცვას სასურველი ანატომიური არე.

*ბ) დაადასტუროს პაციენტის პოზიცია სამკურნალო რუკის მიხედვით და პაციენტის განთავსება განახორციელოს თავიდან

გ) მკურნალობის დაწყებამდე გააგზავნოს პაციენტი სიმულაციაზე ვერიფიცირების მიზნით

დ) გადაიღოს პორტალის გამოსახულება და შეაფასოს რადიაციულ ონკოლოგთან ერთად

სწორი პასუხი არის ბ. RAPHEX Therapy exam 2012

187. თავ-კისრის დასხივებისას საჭიროა თავიდან იქნას აცილებული ყველა ქვემოთჩამოთვლილი, გარდა ერთისა:

- ა) ალკოჰოლი
- *ბ) მაღალ-კალორიული საკვები
- გ) სანელებლებიანი ან მჟავე საკვები
- დ) მშრალი ან უხეში საკვები.

სწორი პასუხი არის ბ. RAPHEX Therapy exam 2012

188. მკურნალობის გეგმის რომელ პარამეტრებს აფასებს რადიოთერაპიის ტექნიკოსი მკურნალობის დაწყების წინ:

- ა) დაფიქსირებული პაციენტის წონა და სიმაღლე სწორია
- ბ) გამოყენებულ იქნა თუ არა შესაფერისი საკონტრასტო საშუალებები
- გ) პათომორფოლოგიური დასკვნა არის თუ არა
- *დ) შევსებულია თუ არა განთავსების რუკა

სწორი პასუხი არის დ. RAPHEX Therapy exam 2012

189. გულმკერდის პალიატიური დასხივებისას პაციენტი აღნიშნავს, რომ ღებულობს დანიშნულ ტკივილგამაყუჩებელს და თავს გრძნობს შედარებით კარგად, მაგრამ მხოლოდ მანამ, სანამ დაწვება ზურგით მყარ სამკურნალო მაგიდაზე, რა უნდა გააკეთოს რადიოთერაპიის ტექნიკოსმა იმისათვის, რომ პაციენტმა უფრო კომფორტულად იგრძნოს თავი მკურნალობის პროცესში?

- *ა) უზრუნველყოს დამატებითი საფიქსაციო მოწყობილობა მუხლების ქვეშ, რითაც შეუმსუბუქდება ტკივილი ზურგში
- ბ) რადიაციულ ონკოლოგთან ერთად გადაამოწმოს, შესაძლებელია თუ არა მკურნალობის დროს ჟანგბადის მიწოდება
- გ) თავი ააწვეინოს დამატებითი ბალიშის გამოყენებით, რითაც პაციენტს მიეცემა საშუალება ისუნთქოს უკეთესად ვიდრე ტკივილის პირობებში
- დ) დანიშნოს ვიზიტი იმ დროს, როცა ტკივილის შემსუბუქება მის მიერ დანიშნული მედიკამენტების ფონზე მაქსიმალურია.

სწორი პასუხი არის ა. RAPHEX Therapy exam 2012

190. ელემენტი რომელსაც აქვთ ერთი და იგივე ატომური რიცხვი-Z მაგრამ განსხვავებული მასური რიცხვი-A არის:

- *ა) იზოტოპი
- ბ) იზომერი
- გ) იზოტონი
- დ) იზობარი

ე) არც ერთი ზემოთჩამოთვლილთაგანი
სწორი პასუხი არის ა. RAPHEX Therapy exam 2012

191. რომელია მართებული?

- ა) ელემენტს შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ ერთი სტაბილური იზოტოპი
- ბ) ელემენტს შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ ერთი რადიოაქტიური იზოტოპი
- *გ) ერთი და აიგივე ელემენტის იზოტოპს აქვს პროტონების თანაბარი რაოდენობა
- დ) ერთი და აიგივე ელემენტის იზოტოპს აქვს ნეიტრონების თანაბარი რაოდენობა
- ე) სტაბილურ ელემენტებს აქვთ პროტონებისა და ელექტრონების თანაბარი რაოდენობა

სწორი პასუხი არის გ. RAPHEX Therapy exam 2012

192. რადიოაქტიური იზოტოპის აქტიურობა განისაზღვრება როგორც:

- *ა) $-\Delta N/\Delta t$
- ბ) $0.693/T_{1/2}$
- გ) $0.693/ HVL$
- დ) $1.44/ T_{1/2}$
- ე) $\text{Exp}(-t/ T_{1/2})$

სწორი პასუხი არის ა. RAPHEX Therapy exam 2012

193. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელ მოვლენას აქვს ადგილი ერთი თვის შემდეგ, მას შემდეგ რაც რადიუმის იზოტოპი (ნახევარდაშლის პერიოდი 1600 წელი) დაილუქება შვილობილ რადონთან ერთად (ნახევარდაშლის პერიოდი 3.8 დღე)?

- ა) გარდამავალი ექვალიბრიუმი
- *ბ) მუდმივი ექვალიბრიუმი
- გ) ექვალიბრიუმს ამ დროის განმავლობაში ადგილი არ ექნება
- დ) ამ იზოტოპების პირობებში ექვალიბრიუმი ვერასოდეს ვერ დადგება

სწორი პასუხი არის ბ. RAPHEX Therapy exam 2012

194. ჩამოთვლილთაგან რომელი არ არის მართებული ^{137}Cs -თან მიმართებაში?

- ა) არის Si სისტემის ერთეული
- ბ) შეესაბამება 1 დაშლას წამში.
- *გ) ტოლია 3.7×10^{10} კიურის
- დ) არის აქტიურობის ერთეული
- ე) არის სახელი ჰენრი ბეკერელის, ვინც აღმოაჩინა რადიოაქტიურობა.

სწორი პასუხი არის გ. RAPHEX Therapy exam 2012

195. ^{192}Ir მაღალი დოზის სიმძლავრის მქონე (HDR) წყაროს ექსპოზიციის სიმძლავრე 1მ მანძილზე შეადგენს 1.75რ/სთ-ს. ის მოთავსებულია 30სმ რადიუსის მქონე კონტეინერში. ინტენსივობის 10-ჯერადი შემცირებისთვის საჭირო დამცავის რა რაოდენობა არის საჭირო იმისათვის, რომ ექსპოზიციის დოზა კონტეინერის გარეთა ზედაპირზე შევამციროთ 2მრ/სთ-მდე.

- ა) 1
- ბ) 2
- *გ) 4
- დ) 7
- ე) 10

სწორი პასუხი არის გ. RAPHEX Therapy exam 2012

196. რენტგენის გამოსხივების სპექტრის მაქსიმალური ფოტონური ენერგია განისაზღვრება:

- ა) მახასიათებელი და დამატებითი ფილტრაციით
- ბ) სამიზნის მასალით
- *გ) kVp-ით
- დ) მა-ს მაქსიმალური მნიშვნელობით
- ე) არც ერთი ზემოთჩამოთვლილთაგანი

სწორი პასუხი არის გ. RAPHEX Therapy exam 2012

197. ჩვეულებრივი რენტგენის სხივისთვის ინტენსივობის 2-ჯერ შესუსტებისთვის საჭირო სისქე მეორე ეტაპზე პირველთან შედარებით

- *ა) არის ყოველთვის მეტი
- ბ) არის ყოველთვის ნაკლები
- გ) არის იგივე
- დ) შეიძლება იყოს მეტიც ან ნაკლებიც

სწორი პასუხი არის ა. RAPHEX Therapy exam 2012

198. დამუხრუჭების რადიაციის მისაღებად

- ა) ხდება ორბიტალური ელექტრონის მოწყვეტა
- * ბ) ელექტრონის სიჩქარე მცირდება ბირთვის ველში მოხვედრისას
- გ) ელექტრონი შთაინთქმება ბირთვის მიერ.
- დ) ელექტრონი იცვლის ენერგეტიკულ დონეს, ხოლო დონეებს შორის ენერგეტიკული სხვაობა გამოიყოფა რენტგენის გამოსხივების სახით
- ე) თავდაპირველად ელექტრონის საშუალებით ბირთვი იცვლის სტატუსს და გადადის ენერგეტიკულად უფრო მაღალ დონეზე, რომელსაც შედეგად მოყვება რენტგენის გამოსხივება

სწორი პასუხი არის ბ. RAPHEX Therapy exam 2012

199. ურთიერთკავშირი ინტენსივობის ორჯერ შემცირებისთვის საჭირო ნივთიერების სისქესა (HVL) და შესუსტების წრფივ კოეფიციენტს- μ შორის არის:

- ა) $HVL=0.5 \mu$
- ბ) $HVL=e^{-\mu}$
- გ) $HVL=e^{0.693x\mu}$
- *დ) $0.693=\mu * HVL$

სწორი პასუხი არის დ. RAPHEX Therapy exam 2012

200. დიაგნოსტიკურ რენტგენის სისტემებში ფილტრები გამოიყენება სხივის ენერჯის გასაძლიერებლად, ეს ძირითადად განპირობებულია:

- ა) კოჰერენტული გაბნევით
- *ბ) ფოტოელექტრული ეფექტით
- გ) კომპტონის ეფექტით
- დ) წყვილთა წარმოქმნით
- ე) მხოლოდ ა, ბ და გ.

სწორი პასუხი არის ბ. RAPHEX Therapy exam 2012

201. ფოტონის ნივთიერებასთან ურთიერთქმედების შედეგად გამოვლინდა ფოტონის გამოტყორცნა, რაც შესაძლებელია იყოს შედეგი ყველა ქვემოთჩამოთვლილისა, გარდა:

- ა) ფოტოელექტრული ეფექტისთვის დამახასიათებელი მახასიათებელი გამოსხივება
- ბ) კომპტონის ეფექტის საფუძველზე გამოსხივებული ფოტონი
- გ) წყვილთა წარმოქმნის შედეგად გამოსხივებული ანიჰილაციის ფოტონი
- *დ) ფოტოელექტრული ეფექტის შედეგად გამოტყორცნილი ფოტონი

სწორი პასუხი არის დ. RAPHEX Therapy exam 2012

202. იმ შემთხვევაში, თუ ნმვ ფოტონი განაპირობებს წყვილთა წარმოქმნას, ქვემოთჩამოთვლილთაგან, რომელია მართებული?

- *ა) გამოიტყორცნება ორი ფოტონი, თვითოეული ენერჯიით 0.51მვ
- ბ) მოხდება ფოტონის გაბნევა ენერჯიით 4.98მვ
- გ) ნმვ ენერჯია იყოფა პოზიტრონისა და ელექტრონის ენერჯიებად
- დ) გამოსხივდება 2 პოზიტრონი ერთმანეთის მიმართ 180 გრადუსიანი კუთხით

სწორი პასუხი არის ა. RAPHEX Therapy exam 2012

203. ჰმვ ფოტონური ურთიერთქმედებს წყვილთა წარმოქმნის პროცესით. რა არის საერთო საწყისი კინეტიკური ენერგია პოზიტრონებისა და ელექტრონების წყვილისათვის?

- ა) 1.02მევ
- *ბ) 1.98 მევ
- გ) 2.49 მევ
- დ) 3.00 მევ
- ე) 4.02 მევ

სწორი პასუხი არის ბ. RAPHEX Therapy exam 2012

204. თუ ორი რენტგენის ფირი ერთგვაროვანი ოპტიკური სიმკვრივეებით D1 და D2, იქნება ერთმანეთზე დადებული, მაშინ ჯამური ოპტიკური სიმკვრივე იქნება:

- *ა) $D_1 + D_2$
- ბ) $D_1 - D_2$
- გ) $D_1 * D_2 / (D_1 + D_2)$
- დ) D_1 / D_2
- ე) $(1 / D_1 + 1 / D_2)^{-2}$

სწორი პასუხი არის ა. RAPHEX Therapy exam 2012

205. რადონი წარმოადგენს საშიშროებას შემდეგ გარემოში:

- ა) ხის შენობები
- ბ) მაღალი შენობები
- *გ) სარდაფები და ბინის პირველი სართული
- დ) ეზოები

სწორი პასუხი არის გ. RAPHEX Therapy exam 2012

206. რადიაციული დაცვის პარამეტრი, რომლითაც შესაძლებელია რენტგენის სხივებით გამოწვეული კიბოს რისკის შეფასება პერსონალში არის:

- ა) ექსპოზიცია (X)
- *ბ) ეფექტური დოზა (E)
- გ) ჰაერის კერმა (K)
- დ) შთანთქმული დოზა (D)

სწორი პასუხი არის ბ. RAPHEX Therapy exam 2012

207. რენტგენის აპარატის სამანიპულაციო ოტახის დაცვის გაანგარიშებისას აშშ-ში გამოიყენება ყველა ქვემოთჩამოთვლილი პარამეტრი გარდა:

- ა) დატვირთვის ფაქტორი და გამოყენების ფაქტორი

- ბ) ყოველკვირეული დოზის ლიმიტი პერსონალისათვის და საზოგადოებისათვის
- გ) მუშა დატვირთვა
- დ) სხივის ენერგია
- *ე) დოზის სიმძლავრე

სწორი პასუხი არის ე. RAPHEX Therapy exam 2012

208. გარემოს დაბინძურების შესამოწმებელი დოზიმეტრების კალიბრაცია ხორციელდება:

- ა) ყოველ ორ წელიწადში ერთხელ
- *ბ) ყოველ წლიურად
- გ) წელიწადში ორჯერ
- დ) ყოველთვიურად
- ე) კვარტალში ერთხელ

სწორი პასუხი არის ბ. RAPHEX Therapy exam 2012

209. ექსპოზიცია არის:

- ა) ნივთიერების ერთეული მასის მიერ შთანთქმული ენერგია
- ბ) ფოტონური სხივის ჰაერის კერმა
- გ) გამოსახული ზივერტებში
- *დ) ჰაერის ერთეულ მასაში წარმოქმნილი ელექტრული მუხტების რაოდენობა
- ე) არცერთი ზემოთჩამოთვლილთაგანი

სწორი პასუხი არის დ. RAPHEX Therapy exam 2012

210. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი არ არის მართებული კომპტონის ეფექტთან მიმართებაში:

- ა) ამ პროცესში ფოტონი ურთიერთქმედებს თავისუფალ ელექტრონთან.
- *ბ) რენტგენის გამოსხივება ურთიერთქმედებს მჭიდროდ დაკავშირებულ ელექტრონებთან და გადასცემს მთელ მის ენერგიას.
- გ) კომპტონის ეფექტი არ წარმოქმნის ქიმიური და ბიოლოგიური კავშირების რღვევას

სწორი პასუხი არის ბ. RAPHEX Therapy exam 2012

211. ჩამოთვლილი სიმსივნეებიდან ცენტრალურ ნერვულ სისტემაში მეტასტაზირება ჩვეულებრივ ახასიათებს ყველას, გარდა ერთისა:

- *ა) საკვერცხის
- ბ) მუცუს
- გ) ჰიპერნეფრომას
- დ) მელანომას

სწორი პასუხი არის ა. Principles and Practice of Radiation Oncology (Perez and Brady's) Chap 68

212. ჩამოთვლილი ორგანოებიდან პირველადი სიმსივნე რომლის შემთხვევაში მეტასტაზირდება ყველაზე ნაკლები ალბათობით ძვალში?

- ა) ძუძუ
- *ბ) ნაწლავი
- გ) თირკმელი
- დ) ფილტვი
- ე) პროსტატა

სწორი პასუხი არის დ. Principles and Practice of Radiation Oncology (Perez and Brady's) Chap 58

213. ყველა მოსაზრება არაჰოჯკინის ლიმფომის პროგნოზთან დაკავშირებით მართებულია, გარდა ერთისა:

- ა) B სიმპტომები ასოცირდება ცუდ გამოსავალთან
- *ბ) მამაკაცებში დაბალ დიფერენცირებული ლიმფომის დროს პროგნოზი უკეთესია
- გ) ლიმფომების შედარებით ნაკლებ აგრესიულ ფორმების პროგნოზი კარგია
- დ) ახალგაზრდებში 60 წლის ქვემოთ პროგნოზი უკეთესია

სწორი პასუხი არის ბ. Principles and Practice of Radiation Oncology (Perez and Brady's) Chap 76

214. 32 წლის მამაკაცი უჩივის სათესლე ჯირკვალში წარმონაქმნს, პალპაციით არის 1-2სმ-მდე უმტკინვეულო კვანძი მარცხენა სათესლე ჯირკვლის ზედაპირზე, გულმკერდის რენტგენზე დაზიანება არ არის, მუცლის და მენჯის ღრუს კტ-გამოსახულებაზე არ ვლინდება რეტროპერიტონული ადენოპათია, ალფა ფეტოპროტეინის დონე AFP -მომატებულია 400ნგ/მლ-მდე, ქორიონალური გონადოტროპინი-beta-hCG და LDH ნორმის ფარგლებშია. პაციენტი გაიგზავნა ორქიექტომიის ჩასატარებლად. პათოლოგიური კვლევით დგინდება სემინომა, ლოკალიზებული მხოლოდ სათესლეში. AFP დონე კლებულობს ნორმამდე შესაბამისი ინტერვალით. როგორია შესაბამისი მკურნალობა დაავადების ამ ეტაპზე?

- ა) რეტროპერიტონული ლიმფური კვანძების დასხივება
- ბ) ადიუვანტური ქიმიოთერაპია
- *გ) რეტროპერიტონული ლიმფური კვანძების დისექცია (PRLND)
- დ) პოზიტრონ-ემისიური ტომოგრაფია (PET)

სწორი პასუხი არის გ. Principles and Practice of Radiation Oncology (Perez and Brady's) Chap 64

215. ჰიპერფრაქციონირებასთან მიმართებაში მართებულია ყველა ქვემოთ ჩამოთვლილთაგანი, გარდა ერთისა:

- ა) იზრდება ეფექტი გვიანმორეაგირე ქსოვილებზე
- *ბ) მცირდება ეფექტი მწვავედ მორეაგირე ქსოვილებზე

გ) ამ მეთოდის უპირატესობა მდგომარეობს ჯამური დოზის ან მკურნალობის დროის შემცირებაში

დ) უზრუნველყოფს ქსოვილის რადიომგრძობიარობის ზრდას

სწორი პასუხი არის ბ. RAPHEX Therapy exam 2012

216. ელექტრონებით დასხივების თვალსაზრისით მართებულია:

ა) ელექტრონის სხივის კიდები იშლება სხივის გეომეტრიის შესაბამისად

ბ) დოზა ჰაერით სავსე ღრუს გავლის შემდეგ შეიძლება იყოს მოსალოდნელზე დაბალი

გ) დაბალი ენერგიის ელექტრონები შეიძლება გამოყენებულ იქნას კისრის ლიმფური კვანძების სამკურნალოდ, რომლებიც ძვეს ზურგის ტვინთან

*დ) ველის ზომის განსაზღვრისათვის საჭიროა სამკურნალო მოცულობისათვის მკვეთრად განიერი საზღვრების დამატება, რათა უზრუნველყოფილ იქნას სიმსივნის დაფარვა სიღრმეზე

ე) მიზანშეწონილი არ არის <40მმ ზომის ველების გამოყენება, რამდენადაც ამ დროს სიღრმეზე შეღწევადობისა და სიბრტყეში განაწილების პარამეტრები არაადეკვატურია.

სწორი პასუხი არის დ. RAPHEX Therapy exam 2012

217. თავ-კისრის კიბოს პირველადი შეფასების თვალსაზრისით მართებულია ყველა პირობა გარდა ერთისა:

*ა) საჭიროა თავის ტვინის მრტ კვლევა მეტასტაზების გამოსარიცხად.

ბ) პალპირებადი ლიმფური კვანძების გამოსაკვლევად საჭიროა კისრის კვლევა

გ) თავ-კისრის კონტრასტული კტ კვლევა გამოავლენს პირველად კერას და დაზიანებულ ლიმფური კვანძებს.

დ) სანერწყვე ჯირკვლების კიბოს დროს არ არის რეკომენდირებული ოპერაციული ბიოფსიის ჩატარება, რამდენადაც იგი ასოცირდება რეციდივის მაღალ რისკებთან.

სწორი პასუხი არის ა. Principles and Practice of Radiation Oncology (Perez and Brady's) Chap 35

218. პოსტმასტექტომიის შემდგომ სხივურ თერაპიასთან მიმართებაში მართებულია შემდეგი:

ა) სამკურნალო ველი, რომელიც მოიცავს ადექვეტურად დისექცირებულ ილღის ლიმფურ კვანძებს ასოცირდება უკეთეს გამოსავალთან

ბ) დოზის განაწილების ერთგვაროვნებისათვის შეიძლება ბოლუსის გამოყენება დაგვჭირდეს.

*გ) არ არის ერთმნიშვნელოვანი გადაწყვეტილება იმის შესახებ, თუ რამდენად საჭიროა მასტექტომიის შემდეგ ნაწიბურის დასხივება დამატებითი დოზით (ბუსტი)

დ) სხვადასხვა დონის ლიმფური კვანძების სხივდება ტანგენციალური ველებით.

სწორი პასუხი არის გ. Principles and Practice of Radiation Oncology (Perez and Brady's) Chap 53

219. სამიზნე მოცულობის განსაზღვრისას ფილტვის არაწვრილუჯრედოვანი (NSCLC) და წვრილუჯრედოვანი (SCLC) კიბოს დროს ყველა ქვემოთჩამოთვლილი მართებულია გარდა ერთისა:

ა) I /II სტადიის მკურნალობის (NSCLC) დროს ადიუვანტურ რეჟიმში შესაძლოა არ განხორციელდეს სელექციური კვანძების დასხივება .

ბ) ადიუვანტური მკურნალობა NSCLC IIIა (N2 დაზიანება) სტადიის შემთხვევაში მოიცავს მხოლოდ დაზიანებულ ლიმფურ კვანძებს.

*გ) მორფოლოგიით ბრტყელუჯრედოვანი კიბოს შემთხვევაში CTV -ს საზღვარი GTV-დან არის 8მმ.

დ) სელექციურ ლიმფური კვანძების დასხივება არაა რეკომენდირებული ფილტვის წვრილუჯრედოვანი კიბოს შემთხვევაში.

სწორი პასუხი არის გ. Principles and Practice of Radiation Oncology (Perez and Brady's) Chap 48

220. დაბალდიფერენცირებულ გლიომასთან მიმართებაში ყველა ქვემოთჩამოთვლილი მართებულია გარდა ერთისა:

ა) 50.4 გრ სამკურნალო დოზის ესკალაციამ 64.8 გრ-მდე არ გააუმჯობესა დაავადების კონტროლი.

ბ) დამოუკიდებელი ქირურგიული მკურნალობა იძლევა 5 წლიან პროგრესირებისაგან თავისუფალ პერიოდს შემთხვევათ 65-80% -ში

*გ) დაბალ დიფერენცირებული გლიომის 40% წარმოადგენს ცნს-ის პირველად სიმსივნეებს.

დ) პაციენტები, ნაწილობრივი რეზექციით საჭიროებენ სხივური თერაპიის კურსს.

სწორი პასუხი არის გ. Principles and Practice of Radiation Oncology (Perez and Brady's) Chap 32

221. 53 წლის მამაკაცს ჩაუტარდა მარცხენა ზედა ლობექტომია, საშუალოდ დიფერენცირებული ბრტყელუჯრედოვანი ფილტვის კიბოს გამო, სტადიით pT2pN1M0. რეზექციის კიდეები სუფთაა, მედიალური რეზექციის კიდე - 6მმ. მკურნალობის შემდგომი ტაქტიკა გულისხმობს:

ა) ადიუვანტური თერაპია შუასაყარზე.

*ბ) ადიუვანტური ქიმიოთერაპია

გ) ადიუვანტური რადიოთერაპია შუასაყარზე შემდგომი ადიუვანტური ქიმიოთერაპიით

დ) შემდგომი ქირურგიული ჩარევა

სწორი პასუხი არის ბ. Principles and Practice of Radiation Oncology (Perez and Brady's) Chap 48

222. I სტადიის ანალური არხი კიბოს ყველაზე ოპტიმალური მკურნალობის კურსი გულისხმობს:

ა) შერწყმული ქიმიო-სხივური თერაპია

*ბ) სხივური თერაპია

გ) პროგნოზირებადი ქიმიოთერაპია

დ) ნეოადიუვანტური ქიმიოთერაპია

სწორი პასუხი არის ბ. Principles and Practice of Radiation Oncology (Perez and Brady's) Chap 59

223. 67 წლის მამაკაცისთვის დიაგნოზით ბილატერალური პროსტატის კიბო. PSA=25ნგ/მლ. გლისონი=8; მრტ კვლევით და ძვლების სკენირებით დადგენილია T3aN0M0. მოცემულ შემთხვევაში მკურნალობის რეკომენდირებული კურსი იქნება:

ა) რადიკალური პროსტატექტომია, ლიმფური კვანძების დისექცია და ადიუვანტური რადიოთერაპია.

ბ) რადიკალური პროსტატექტომია, ლიმფური კვანძების დისექცია და ადიუვანტური ჰორმონოთერაპია 2 წლის განმავლობაში.

გ) ანდროგენების დათრგუნვა ნეოადიუვანტურ რეჟიმში და გარეგანი სხივური თერაპიის რადიკალური კურსი

*დ) ანდროგენების დათრგუნვა ნეოადიუვანტურ და ადიუვანტურ რეჟიმში და გარეგანი სხივური თერაპია.

სწორი პასუხი არის დ. Principles and Practice of Radiation Oncology (Perez and Brady's) Chap 63

224. რადიოთერაპიული მკურნალობით გამოწვეულ ტოქსიურობასთან მიმართებაში ყველა ქვემოთჩამოთვლილი მართებულია ერთის გარდა:

ა) ცისტიტის დროს რეკომენდირებული კენკროვანებისაგან დამზადებული წვენების გამოყენება.

ბ) მწვავე პროქტიტის მკურნალობა მიზანშეწონილია განხორციელდეს სტეროიდების საშუალებით.

*გ) საკმაოდ დამახასიათებელია სუპერ-ინფექცია კანდიდა რომლის მკურნალობისთვის საჭიროა ამიფოსტინის გამოყენება.

დ) კანის რეაქციების პრევენციისა და შემცირების მიზნით მიზანშეწონილია ხდებოდეს წყლის შემცველი კრემების გამოყენება ადგილობრივად, დღეში 4-ჯერ

ე) ეზოფაგიტების შემთხვევაში რეკომენდირებულია სისტემური ანალგეტიკები, ადგილობრივი საანესთეზიო საშუალებები და ასევე მაღალი და დაბალ-კალორიული დიეტა

სწორი პასუხი არის გ. Principles and Practice of Radiation Oncology (Perez and Brady's) Chap 64

225. ფრაქციონირებული რადიოთერაპიის მაკონტროლებელ რადიობიოლოგიურ ფაქტორებთან მიმართებაში ქვემოთჩამოთვლილთაგან რომელია მართებული?

ა) ციკლის ფაზათა ცვლილება ფრაქციოებს შორის არის რეპოპულაცია

*ბ) გადარჩენილი ჰიპოქსიური უჯრედები ხდებიან რადიომგრძობიარენი მკურნალობის შემდგომ ეტაპზე

გ) რედისტრიბუცია არის სიმსივნური უჯრედების სწრაფი გამრავლება ფრაქციებს შორის პერიოდში

დ) ჰიპოქსიური უჯრედებისათვის უპირატესობა ენიჭება მკურნალობის მოკლევადიან კურსს
სწორი პასუხი არის ბ. Principles and Practice of Radiation Oncology (Perez and Brady's) Chap 64

226. ცხვირხახის კიბოს T1N1M0 სტადიისთვის რეკომენდირებული მკურნალობის კურსი არის:

ა) შერწყმული ქიმიო-სხივური თერაპია მკურნალობის პირველ ეტაპზე

*ბ) სხივური თერაპია მკურნალობის პირველ ეტაპზე

გ) ინდუქციური ქიმიოთერაპია + შერწყმული ქიმიო-სხივური თერაპია

დ) ქიმიოთერაპია.

სწორი პასუხი არის ბ. Principles and Practice of Radiation Oncology (Perez and Brady's) Chap 38

227. თიმომათან მიმართებაში მართებულია ყველა მოსაზრება გარდა ერთისა:

ა) რეზექტაბელური თიმომის დროს მკურნალობის ძირითადი მეთოდი არის ქირურგიული ჩარევა

ბ) სრული რეზექციის შემდგომ I სტადიის დროს რეკომენდირებულია ნებისმიერი ტიპის ადიუვანტური მკურნალობის კურსი.

*გ) პოსტოპერაციული რადიოთერაპია რეკომენდირებულია სრული რეზექციის შემდგომ II და IV სტადიის თიმომის შემთხვევაში.

დ) პოსტოპერაციული რადიოთერაპია რეკომენდირებულია არასრული რეზექციის შემდეგ III და IVA სტადიის თიმომის დროს.

სწორი პასუხი არის გ. Principles and Practice of Radiation Oncology (Perez and Brady's) Chap 49

228. ადგილობრივად გავრცელებული არარეზექტაბელური კუჭის კიბოს მკურნალობასთან მიმართებაში ყველა ქვემოთჩამოთვლილი მართებულია გარდა ერთისა :

ა) ნეoadიუვანტური ქიმიო-სხივური თერაპიის შემდგომი მკურნალობის ეტაპი არის ქირურგიული მკურნალობა ან ადიუვანტური ქიმიოთერაპია.

ბ) ნეoadიუვანტურ ქიმიო-სხივური თერაპია შემდგომი ქირურგიული მკურნალობით და ადიუვანტური ქიმიო-სხივური თერაპიის კურსით პაციენტებისათვის არარეზექტაბელური კუჭის კიბოს დიაგნოზით ან რეზიდუალური წარმონაქმნით რეზექციის შემდეგ

გ) თუ კომბინირებული მკურნალობის ჩატარება ვერ ხორციელდება, ტარდება სხივური ან ქიმიოთერაპია დამოუკიდებლად პალიატიური მიზნით.

*დ) შემთხვევათა უმრავლესობისათვის მკურნალობის პირველ ეტაპზე ტარდება ქიმიო-სხივური თერაპია.

სწორი პასუხი არის დ. Principles and Practice of Radiation Oncology (Perez and Brady's) Chap 55

229. სწორი ნაწლავის მკურნალობის კურსთან მიმართებაში მართებულია შემდეგი:

ა) T1 სტადიის კიბოს მკურნალობა ყველა შემთხვევაში გულისხმობს ადგილობრივ ამოკვეთა შემდგომი დაკვირვებით.

*ბ) ქიმიო-სხივური თერაპია მიჩნეულია მკურნალობის სტანდარტად ადგილობრივად გავრცელებული არარეზექტაბელური სწორი ნაწლავის კიბოს დროს.

გ) სტანდარტულ ფრაციონირებასთან შედარებით ჰიპერფრაქცინირებული რადიოთერაპია მეტი ტოქსიურობით ხასიათდება

დ) ნეოადიუვანტური დამოუკიდებელი სხივური თერაპია არ აუმჯობესებს დაავადების კონტროლის მაჩვენებლებს.

სწორი პასუხი არის ბ. Principles and Practice of Radiation Oncology (Perez and Brady's) Chap 58

230. ჩამოთვლილი დებულებებიდან რომელია მცდარი დესმოიდური სიმსივნეების შესახებ

ა) ისინი იშვიათად მეტასტაზირდებიან.

*ბ) რადიკალური სხივურ თერაპია იშვიათად უზრუნველყოფს ადგილობრივ კონტროლს.

გ) ქირურგიული მკურნალობა არჩევის მეთოდია.

დ) ხასიათდებიან ლოკალური ინფილტრაციით.

სწორი პასუხი არის ბ. Principles and Practice of Radiation Oncology (Perez and Brady's) Chap 81

რეტროსპექტულმა კვლევებმა აჩვენეს ლოკალური კონტროლის კარგი მაჩვენებელი (დაახლოებით 75% და მეტი) დეფინიტიური სხივური თერაპიის შემთხვევაში.

231. ასკინის სიმსივნე ვითარდება შემდეგი ლოკალიზაციიდან :

*ა) გულმკერდის კედელი.

ბ) კისრის მალეები.

გ) ლულოვანი ძვლები.

დ) მენჯის ძვლები.

სწორი პასუხი არის ა. Principles and Practice of Radiation Oncology (Perez and Brady's) Chap 81

ასკინის სიმსივნე ეს არის იუინგის სარკომა, რომელიც წარმოიქმნება გულმკერდის კედლიდან.

232. NCCN-ის გაიდლაინების მიხედვით ქვემოთ ჩამოთვლილი კიდურების რომელი ოპერაბელური რბილქსოვილოვანი სარკომისთვის არ არის რეკომენდირებული სხივური თერაპია

ა) მაღალი ავთვისებიანობის, ფართე, ღრმა წარმონაქმნისთვის.

ბ) მაღალი ავთვისებიანობის, ფართე, ზედაპირული წარმონაქმნისთვის.

გ) დაბალი ავთვისებიანობის, ფართე, ღრმა წარმონაქმნისთვის.

*დ) დაბალი ავთვისებიანობის, პატარა, ზედაპირული წარმონაქმნი 1სმ-ზე მეტი საზრვრით.

სწორი პასუხი არის დ. NCCN-ის გაიდლაინები ხელმისაწვდომია საიტზე www.nccn.org

233. AJCC-ის მიხედვით სიმსივნის რა მახასიათებლებით განსხვავდება I და II სტადიის რბილი ქსოვილების სარკომა

*ა) დაბალი ავთვისებიანობის და მაღალი ავთვისებიანობის მიხედვით.

ბ) დადებითი და უარყოფითი ლიმფური კვანები.

გ) სიმსივნის ზომა <5სმ და >5სმ.

დ) სიმსივნის ზედაპირული და ღრმა ლოკალიზაცია.

სწორი პასუხი არის ა. AJCC

ზომა განისაზღვრება T1 წინააღმდეგ T2, ლოკალიზაცია განისაზღვრება ზედაპირული მდებარეობა ღრმა მდებარეობის წინააღმდეგ. ლიმფურ კვანძებში მეტასტაზირებისას არის IV სტადია.

234. რომელია რადიაციით გამოწვეული ყველაზე ხშირი სარკომა

ა)ლიპოსარკომა.

ბ) ანგიოსარკომა.

გ) ქონდროსარკომა.

*დ) ოსტეოსარკომა.

სწორი პასუხი არის დ. **Principles and Practice of Radiation Oncology (Perez and Brady's) Chap 80** დაახოებით ნახევარს შეადგენს ოსტეოსარკომა. იხილეთ *J Surg Oncol* 2000, 75:42-50

235. ჩამოთვლილი რეკომენდაციებიდან რომელია მართებული წილაკოვანი კარცინომა in situ-ს (LCIS) კლინიკური მენეჯმენტისთვის (მართვისთვის)

ა) თუ მხოლოდ LCIS-ა აუცილებელია ქირურგიული კიდევების სისუფთავე.

ბ) სარბევე ჯირკვლის კონსერვაციული თერაპიისთვის წინააღმდეგ ჩვენებაა LCIS-ის თანაარსებობა ინვაზიურ სიმსივნესთან ან სადინროვან კარცინომასთან ერთად.

*გ) LCIS გამოვლენა კორბიოფსიით მამოგრაფიულად შეჭმუხვნილ, უსწორმასწორო უბანზე შემდგომში აუცილებლად საჭიროებს მასალის ქირურგიულ აღებას.

დ) NSABP P-01 კვლევაში ძუძუს კიბოს სიხშირე არ შემცირებულა LCIS პაციენტებში რობლებიც ღებულობდნენ ტამოქსიფენს იმ პაციენტებთან შედარებით რომლებიც ღებულობდნენ პლაცებოს.

სწორი პასუხი არის გ. **Principles and Practice of Radiation Oncology (Perez and Brady's) Chap 53**

236. ჩამოთვლილი დებულებებიდან რომელია არასწორი ბუსტის დამატებასთან

დაკავშირებით, როგორც კონსერვატიული თერაპიის შემადგენელი ნაწილისა, მთელი ძუძუს დასხივების შემდეგ ადრეული სტადიის ძუძუს კიბის შემთხვევაში?

- ა) EORTS-60 კვლევამ გვაჩვენა, 5 წლის განმავლობაში ბუსტის გამოყენების შემთხვევაში 4,3% რეციდივის არსებობა 6,8%-ის ნაცვლად იფსილატერალურ ძუძუმში.
- ბ) EORTS-60 კვლევამ გვაჩვენა, უკეთესი ლოკალური კონტროლი პრემენოპაუზიან პაციენტებში პოსტმენოპაუზიანთან შედარებით.
- გ) EORTS-60 კვლევამ გვაჩვენა, მნიშვნელოვანი კოსმეტიკური ეფექტი ბუსტის გამოყენების შემდგომ
- *დ) ბუსტის დოზის ესკალაცია გვამღვეს ხანგრძლივ ადგილობრივ კონტროლს, როდესაც ქირურგიული კიდეების სისუფთავე 1მმ-ზე ნაკლებია.

სწორი პასუხი არის დ. Principles and Practice of Radiation Oncology (Perez and Brady's) Chap 53

237. ჩამოთვლილი მდგომარეობებიდან რომელი არ არის ასოცირებული რეციდივის მაღალ რისკთან მასტექტომიის და ქიმიოთერაპიის შემდგომ სხიური თერაპიის გარეშე

- ა) მაღალი ავთვისებიანობის ხარისხი რეგიონული ლიმფური კვანძების დაზიანების შემთხვევაში.
- ბ) ლიმფოვასკულარული ინვაზიის არსებობა, პრემენოპაუზურ პაციენტებში ლიმფური კვანძების ინვაზიით და პოსტმენოპაუზურ ან პრემენოპაუზურ პაციენტებში ლიმფური კვანძების ინვაზიის გარეშე.
- გ) სიმსივნე 2სმ-ზე დიდი პრემენოპაუზურ პაციენტებში ლიმფური კვანძების ინვაზიის გარეშე.
- *დ) სიმსივნე 2სმ და მეტი სიდიდის პოსტმენოპაუზურ პაციენტებში ლიმფური კვანძების ინვაზიის გარეშე.

სწორი პასუხი არის დ. Principles and Practice of Radiation Oncology (Perez and Brady's) Chap 53
 ასოცირება გამოვლინდა მხოლოდ მენოპაუზამდელ ქალებში, რომელთა სიმსივნის ზომაც იყო 2 სმ ან მეტი. JCO 2003, 21:1205-1213

238. რომელი დებულებაა მცდარი FDG PET -ის გამოყენების შესახებ მეორადად ძვლების მეტასტაზების გამოსაკვლევად ძუძუს კიბოს დროს

- ა) PET გვიჩვენებს ძვლების მეტასტაზების მეტ უბნებს ვიდრე ძვლების სკენირება.
- ბ) PET უფრო მგრძნობიარეა ვიდრე რადიონუკლიდური სკენირება ლიტიური, შერეული ლიტიური და ბლასტური მეტასტაზების სანახავად.
- გ) PET კვლევით შესაძლებელია შეფასდეს ძვლების მეტასტაზების პასუხი ჰორმონო თერაპიაზე.
- *დ) PET შეიძლება რუტინულად გამოვიყენოთ ძვლებში მეტასტაზების გასაკონტროლებლად.

სწორი პასუხი არის დ. Principles and Practice of Radiation Oncology (Perez and Brady's) Chap 53
 FDG PET-ის როლი ადგილობრივი/რეგიონალური და მეტასტაზური ძუძუს კიბოს დროს არის განვითარების პროცესში. PET გამოყენება ძვლების დაზიანების დასადგენად კვლავ

გამოკვლევების ფაზაშია. ზოგადად, PET- ს უნდა ჰქონდეს მაღალი მგრძობელობა ლიტიური და ლიტიურ/ბლასტური დაზიანებების მიმართ ვიდრე ძვლების სკენირებას. თუმცა არსებობს მონაცემები მგრძობელობაზე და სპეციფიურობაზე წმინდას ბლასტური დაზიანებების შემთხვევაში. Moon et al.

239. ჩამოთვლილთაგან რომელი არ ახასიათებს მეტასტაზური ან რეციდიული ძუძუს კიბოთი გამოწვეულ მხრის წნულის სინდრომს რადიოთერაპიის გვიანი გართულებებთან შედარებით?

*ა) მოტორული სისუსტე ძირითადად მოიცავს კუნთებს, რომლებიც ინერვირდება წნულის ზედა ტოტებით ან ზედა და ქვედა ტოტებით.

ბ) საშუალო ან ძლიერი ტკივილი დაახლოებით 9 თვით წინ უსწრებს ნევროლოგიურ გამოვლინებებს.

გ) ტკივილი ლოკალიზებულია იმ დერმატომზე, რომელსაც აინერვირებს მხრის წნულის ქვედა სენსორული ტოტების .

დ) ლიმფადენოპათია იშვიათი გამოვლინებაა.

სწორი პასუხი არის ა. Principles and Practice of Radiation Oncology (Perez and Brady's) Chap 54 რადიაციის მოგვიანებით დართულებასთან ასოცირდება მოტორული სისუსტე, რომელიც ვითარდება წნულის ზედა ან ზედა და ქვედა პოტების დაზიანებისას. სიმსივნის რეციდივი ყველაზე ხშირად გამოავლენს მოტორულ სისუსტეს მხრის წნულის ქვედა ტოტებზე ზემოქმედებისას.

240. ჩამოთვლილი პრეპარატებიდან, რომელი გამოიყენება ადრენოკორტიკოტროპული ჰორმონის მაპროდუცირებელი ჰიპოფიზის ადენომის სამკურნალოდ

ა) ბრომკრიპტინი.

ბ) სომატოსტატინი.

გ) ოქტრეოტიდი.

*დ) მიტოტანი.

სწორი პასუხი არის დ. Principles and Practice of Radiation Oncology (Perez and Brady's) Chap 29 მიტოტინი, კეტოკონაზოლი და მეტირაფონი გამოიყენება ადენოკორტიკოტროპული ჰორმონის მაპროდუცირებელ სიმსივნეების სამკურნალოდ.

241. ჩამოთვლილი სინდრომებიდან რომელია ასოცირებული მედულობლასტომასთან

ა) ტუბეროზული სკლეროზი.

ბ) ნეიროფიბრომატოზი ტიპი 2.

გ) ჰიპელ-ლინდაუს სინდრომი.

*დ) გორლინის სინდრომი.

სწორი პასუხი არის დ. Principles and Practice of Radiation Oncology (Perez and Brady's) Chap 82

გორლისნის სინდრომი (ბაზალურ უჯრედოვანი ნეევუსის სინდრომი) არის აუტოსომულ დომინანტური დაავადება, რომელიც ხასიათდება მედულობლასტომის წარმოქმნის მაღალი რისკით.

242. ჩამოთვლილი დებულებებიდან, რომელია მართებული მიქსოპაპილარული ეპენდიომის შესახებ

- ა) სრული რეზექციის შემდეგ ხშირად ინიშნება სხივური თერაპია.
- ბ) პოსტოპერაციული ქიმიოთერაპია აუმჯობესებს გადარჩენადობას.
- გ) აღნიშნული სიმსივნეები უფრო ხშირად გვხვდება ზურგის ტვინის დისტალურ ნაწილში ვიდრე პროქსიმალურში.
- *დ) ჯანდცვის მსოფლიო ორგანიზაციის კლასიფიკაციის მიხედვით მიჩნეულია დაბალი გრეიდის სიმსივნეებად.

სწორი პასუხი არის დ. Principles and Practice of Radiation Oncology (Perez and Brady's) Chap 32, 34

მიქსოპაპილარული ეპენდიომის მკურნალობის პირველ მეთოდს წარმოადგენს ოპერაციული მკურნალობა და რადგანაც სიმსივნეს გააჩნია ავთისებიანობის დაბალი ხარისხი, ამ ტიპის სიმსივნის სამკურნალოდ სხივური თერაპია ინიშნება მხოლოდ რეციდივის ან სუბტოტალური რეზექციის შემთხვევაში.

243. ჩამოთვლილი დებულებებიდან რომელია მართებული კრანოფარინგეომასთან დაკავშირებით

- ა) სიმსივნის მიკროსკოპული გამოკვლევა აჩვენებს მაღალ მიტოზურ აქტივობას.
- ბ) მხედველობისმხრივი სიმპტომები წინ უსწრებს ენდოკრინულ ჩივილებს.
- გ) სუბტოტალური რეზექციის შემდეგ ნაჩვენებია სხიური თერაპია 66 გრეით.
- *დ) სიმსივნის ტოტალურმა რეზექციამ შეიძლება გამოიწვიოს ნეიროენდოკრინული ფუნქციის და მხედველობის დაზიანება.

სწორი პასუხი არის დ. Principles and Practice of Radiation Oncology (Perez and Brady's) Chap 32 ნეიროენდოკრინული და მხედველობის დაზიანება არის ოპერაციული მკურნალობის ყველაზე ხშირი გართულება, უმეტესად მაშინ როდესაც ნაწარმოებია სრული ანოკვეთა. გარეგანი სხივური თერაპიის დოზა არის 50-55 გრეი, რადგანაც სიმსივნეს ახლო მდებარეობა აქვს მხედველობის ჯვარედინთან.

244. მაღალი დოზის თვალის აპლიკატორით რადიოთერაპიის დროს რადიაციით გამოწვეული სკლერის რუპტურის ალბათობა არის :

- ა) <1%
- ბ) 10%
- გ) 20%

დ) 30%

სწორი პასუხი არის ა. Principles and Practice of Radiation Oncology (Perez and Brady's) Chap 81
სკლერა არის ძლიერ რადიორეზისტენტული.

245. მამაკაცებში თვალბუდეში მეტასტაზები ყველაზე ხშირად ვითარდება :

- *ა) ფილტვიდან.
- ბ) ძუძუდან.
- გ) კოლინჯიდან.
- დ) თავ-კისრიდან.

სწორი პასუხი არის ა. Principles and Practice of Radiation Oncology (Perez and Brady's) Chap 48
Principles and Practice of Radiation Oncology (Perez and Brady's) Chap 81
ქალებში ძუძუს კიბო არის ყველაზე ხშირი, მამაკაცებში ფილტვის.

246. გრეივისის ოფთალმოპათიისთვის ჩამოთვლილი მკურნალობის მეთოდებიდან რომელი წარმოადგენს არჩევის მეთოდს .

- ა) თვალბუდის დასხივება.
- *ბ) სტეროიდული თერაპია.
- გ) ქირურგიული დეკომპრესია.
- დ) კომბინირებული მკურნალობა (სტეროიდული + სხიური) .

სწორი პასუხი არის ბ. Principles and Practice of Radiation Oncology (Perez and Brady's) Chap 29
მრავალი პაციენტი ექვემდებარება სტეროიდებით მკურნალობას როგორც მკურნალობის
ინიციალურ მეთოდს. რადიაციული თერაპია რეკომენდირებულია მხოლოდ მაშინ, თუ არ
ვლინდება ეფექტი სტეროიდებით თერაპიისას.

247. ქვემოთ ჩამოთვლილი დიაგნოსტიკური მეთოდებიდან რომელი გამოიყენება თვალის
სისხლძარღვოვანი გარსის მელანომის დიაგნოსტიკისთვის.

- *ა) კლინიკური შეფასება.
- ბ) ნემს- ბიოფსია.
- გ) ქირურგიული .
- დ) კტ სკენირება.

სწორი პასუხი არის ა. Principles and Practice of Radiation Oncology (Perez and Brady's) Chap 30
თვალის სისხლძარღვოვანი გარსის მელანომის დიაგნოზი კლინიკურად ისმევა
ოფთალმოლოგის მიერ არაპირდაპირი ოფთალმოსკოპიით. უმეტეს შემთხვევაში არ
ტარდება ბიოფსია.

248. საყლაპავის კიბოს დროს ეზოფაგექტომიის შემდგომი სხიური თერაპია გვაძლევს შემდეგ
შედეგებს

*ა) აუმჯობესებს ლოკალურ კონტროლს.

ბ) აუმჯობესებს გადარჩენადობას.

გ) ამცირებს შორეული მეტასტაზების სიხშირეს.

დ) ახასიათებს მაღალი ტოქსიურობა.

სწორი პასუხი არის ა. Principles and Practice of Radiation Oncology (Perez and Brady's) Chap 50

პოსტოპერაციულმა სხივურმა თერაპიამ არ აჩვენა გავლენა საბოლოო

სიცოცხლისუნარიანობაზე, ეს დადასტურდა სამი სხვადასხვა კვლევით. ადგილობრივი

კონტროლი გაუმჯობესდა, უპირატესად არამეტასტაზირებულ პაციენტებში Teniere, Surg gynecol Obstet 1991, 173:123-30

249. ჩამოთვლილი დებულებებიდან რომელია მართებული პანკრეასის სიმსივნესთან დაკავშირებით

*ა) პანკრეასის ადენოკარცინომის შემთხვევათა 90 % ასოცირებულია K-ras გენის მუტაციათა

ბ) პაციენტთა 50%-ს აქვს რეზექტაბელური სიმსივნეები დიაგნოზის დასმისას.

გ) პაციენტთა 30 % რომელთაც არ მიუღიათ ადუვანტური თერაპია უვითარდებათ ლოკალური რეციდივი ვიპლის პროცედურის (პანკრეატოდუოდენექტომიის) შემდეგ.

დ) კტ-ს მგრძობელობა ოპერაბელურობის შესაფასებლად 30 %.

სწორი პასუხი არის ა. Principles and Practice of Radiation Oncology (Perez and Brady's) Chap 56

თანამედროვე, კონტრასტიანია კტ კვლევა შესაძლებლობას იძლევა მოგვეცეს 70% პასუხი

წარმონაქმნის რეზექტაბელურობის განსაზღვრაში. ადგილობრივი/რეგიონალური რელაფსი

ვიპლის პროცედურის შემდეგ არის ანა ადიუვანტური მკურნალობის მეთოდი 70%-ში.

250. ჩამოთვლილი დებულებებიდან რომელია მართებული ჰეპატოცელულარულ კარცინომასთან მიმართებაში

*ა) უფრო ხშირია ლოკალური რეციდივი ვიდრე შორეული მეტასტაზები.

ბ) პროგნოზის შესაფასებლად გამოიყენება α -ფეტოპროტეინი.

გ) სიყვითლე იშვიათი გამოვლინებაა.

დ) ორთოტოპიკური ღვიძლის ტრანსპლანტაცია არ აუმჯობესებს გადარჩენადობას.

სწორი პასუხი არის ა. Principles and Practice of Radiation Oncology (Perez and Brady's) Chap 57

251. ჩამოთვლილი დებულებებიდან რომელია მართებული ანალურ კიბოსთან მიმართებაში

ა) დაახლოებით 40,000 ახალი შემთხვევა ფიქსირდება ყოველწლიურად ამერიკის შეერთებულ შტატებში.

*ბ) ყველა ანალური კიბოს შემთხვევათა 2%-ს შეადგენს მალიგნანტური მელანომა.

გ) შემთხვევათა 25%-ში დიაგნოსტიკისას ფიქსირდება ღვიძლისა და ფილტვის მეტასტაზები.

დ) საზარდულის პალპირებადი ლიმფური კვანძები ფიქსირდება ბრტყელუჯრედოვანი კიბოს 50 %-ში.

სწორი პასუხი არის ბ. **Principles and Practice of Radiation Oncology (Perez and Brady's) Chap 59**

252. ჩამოთვლილი დებულებებიდან რომელია მართებული პროსტატის კიბოს სტადირებასთან მიმართებაში (AJCC 6 edition)

ა) T2b სტადია არ არის პალპირებადი, დიაგნოსტიკურ გამოსახულებებზე საექვო სურათია, თუმცა დასტურდება ნემს-ბიოფსიით.

ბ) ბილატერალური ექსტრაკაფსულარული გავრცელება მიეკუთვნება T3b.

*გ) თემოს საერთო არტერიის ლიმფური კვანძების ინვაზია მიეკუთვნება M1a.

დ) იფსილატერალური სემინალური ბუშტუკების ინვაზია მიეკუთვნება T3a.

სწორი პასუხი არის გ. **AJCC 6 edition**

AJCC სტადიურობის ბოლო ვერსიის მიხედვით: პროსტატის კიბოს შემთხვევაში თემოს საერთო ლ/კვანძების არ არის რეგიონული. ასეთ შემთხვევაში არის M1 ნაცვლად N1.

253. ჩამოთვლილი დებულებებიდან პროსტატექტომიის შემდგომ სხიურ თერაპიასთან დაკავშირებით რომელია მცდარი

*ა) არ არის მესამე ფაზის რანდომიზირებული კვლევების მონაცემები რომლებიც მხარს უჭერენ პროსტატექტომიის შემდგომ სხივურ თერაპიას.

ბ) ადუვანტურ სხივურ თერაპიას უკეთესი შედეგები აქვს დამხმარე სხივურ თერაპიასთან შედარებით პოსტპროსტატექტომიულ პაციენტებში.

გ) ამჟამად არსებული სტანდარტული დოზები პროსტატექტომიის შემდგომ პაციენტებისთვის აჭარბებს 60 გრეის.

დ) პროსტატექტომიის შემდგომი სხივური თერაპიის დაბალი დოზები ამცირებს გასტროინტესტინალურ გართულებებს.

სწორი პასუხი არის ა. **Principles and Practice of Radiation Oncology (Perez and Brady's) Chap 63**

ორივე EORTIC და SWOG კვლევების მიხედვით გამოვლინდა პროსტატექტომიის შემდეგ ჩატარებული სხივური თერაპიის ეფექტურობა.

254. პროსტატის კიბოს დროს ადრეული ჰორმონოთერაპია არ ამცირებს შემდეგი გართულებების სიხშირეს

ა) ურეთრალური ობსტრუქცია.

ბ) პათოლოგიური მოტეხილობები.

გ) ზურგის ტვინის კომპრესია.

*დ) ერექციული დისფუნქცია.

სწორი პასუხი არის დ. **Principles and Practice of Radiation Oncology (Perez and Brady's) Chap 63**

რანდომიზირებული კვლევების მიხედვით სადაც გამოიკვლიეს 938 პაციენტი, ადრეულმა

ჰორმონოთერაპიამ საგრძნობლად შეამცირა ყველა ჩამოთვლილი გარდა ერექციის დისფუნქციისა.

255. 35 წლის პაციენტი, დიაგნოზით დაბალი ავთვისებიანობის ხარისხის ინფილტრაციული სუპრატენტორიალური ასტროციტომა. გაკეთდა მაქსიმალური უსაფრთხო რეზექცია.

რომელია შემდგომი სწორი ტაქტიკა:

ა) პირველ ეტაპზე სხივური თერაპია, შემდგომ ქიმიოთერაპია.

ბ) ქიმიოთერაპია.

გ) ოპერაციის შემდგომ ჩატარდეს მხოლოდ სხივური თერაპია რადიკალური პროგრამით.

*დ) დაკვირვება.

ე) ინტრათეკალური ქიმიოთერაპია.

სწორი პასუხი არის დ. Principles and Practice of Radiation Oncology (Perez and Brady's) Chap 32

256. 49 წლის პაციენტი, დიაგნოზით დაბალი ავთვისებიანობის ხარისხის ინფილტრაციული სუპრატენტორიალური ოლიგოდენდროგლიომა. გაკეთდა მაქსიმალური უსაფრთხო რეზექცია. საკონტროლო მრტ კვლევაზე აღინიშნება პატარა ზომის ნარჩენი სიმსივნე.

რომელია ქვემოთჩამოთვლილი პასუხებიდან სწორი:

ა) დაკვირვება.

ბ) ინტრათეკალური ქიმიოთერაპია.

*გ) სხივური თერაპია ან ქიმიოთერაპია.

დ) სტერეოტაქსიული სხივური თერაპია.

ე) პალიატიური პროგრამით სხივური თერაპია და შემდგომ რეოპერაცია.

სწორი პასუხი არის გ. Principles and Practice of Radiation Oncology (Perez and Brady's) Chap 32

257. ჰიპოფიზის სიმსივნეების კონვენციური დასხივების გართულებებს მიეკუთვნება ყველა ჩამოთვლილი გარდა:

ა) დადლილოზა

ბ) ფოკალური ალოპეცია

*გ) ბიტემპორალური ჰემიანოფსია

დ) ოტიტი (როდესაც ყური ხვდება დასხივების ველში)

ე) მეორადი სიმსივნის განვითარების მომატებული რისკი

სწორი პასუხი არის გ. Principles and Practice of Radiation Oncology (Perez and Brady's) Chap 33

258. ჩამოთვლილთაგან რომელი არის სიმართლე ტვინის ღეროს გლიმასთან მიმართებაში

- ა) ადიუვანტური ქიმიოთერაპია დაკავშირებულია უკეთეს გამოსავალთან
- ბ) ახალგაზრდა ავადმყოფებში უფრო ხშირად ხასიათდება დუნე მიმდინარეობით
- *გ) რეზექცია შესაძლებელია გაკეთდეს სიმსივნის დორზალური ეგზოფიტური ზრდის შემთხვევაში
- დ) დაავადების პიკი არის 14–20 წლის ასაკში

სწორი პასუხი არის გ. Principles and Practice of Radiation Oncology (Perez and Brady's) Chap 32

259. სელარული რეგიონის სიმსივნეების სხივური თერაპიის ჩვენებებს მიეკუთვნება:

- ა) რეზიდუალური სიმსივნე
- ბ) სიმსივნის რეციდიული ზრდა
- *გ) ყველა ზემოთ ჩამოთვლილი
- დ) არცერთი ზემოთ ჩამოთვლილი

სწორი პასუხი არის გ. Principles and Practice of Radiation Oncology (Perez and Brady's) Chap 33

260. რომელი პასუხია ქვემოთჩამოთვლილთაგან სწორი პატარა ზომის (<30მმ) კლინიკურად გამოხატული მენინგიომის შემთხვევაში:

- ა) ქირურგიული მკურნალობა თუ ტექნიკურად შესაძლებელია.
- ბ) სხივური თერაპია.
- გ) ქირურგიული მკურნალობა და შემდგომ სხივური თერაპია თუ ავთვისებიანობის ხარისხი შეესაბამება 3–ს.
- *დ) ყველა ზემოთ აღნიშნული.
- ე) არცერთი ზემოთ აღნიშნულიდან.

სწორი პასუხი არის დ. Principles and Practice of Radiation Oncology (Perez and Brady's) Chap 32

261. მენინგიომის რეციდივი:

- *ა) თუ შესაძლებელია – ქირურგიული მკურნალობა და შემდგომ სხივური თერაპია ან რეირადიაცია.
- ბ) ქირურგიული მკურნალობა შემდგომი ქიმიოთერაპიით.
- გ) დაკვირვება.
- დ) სხივური თერაპია რადიკალური დოზით და შემდგომ ქირურგიული მკურნალობა.
- ე) სხივური თერაპია, შემდგომ ქიმიოთერაპია.

სწორი პასუხი არის ა. Principles and Practice of Radiation Oncology (Perez and Brady's) Chap 32

262. ზურგის ტვინის ინტრადურალური და ინტრამედულარული სიმსივნე.

მაგნიტურრეზონანსული კვლევით აღინიშნება ინფილტრაცია. გამოხატულია კლინიკა. გაკეთდა ბიოფსია და დადგინდა ანაპლაზიური გლიომა. KPS \geq 70:

ა) ნეოადიუვანტურად ქიმიო-სხივური თერაპია და შემდგომ მაქსიმალურად უსაფრთხო ამოკვეთა.

ბ) პალიატიური პროგრამით სხივური თერაპია

გ) დაკვირვება.

*დ) მაქსიმალურად უსაფრთხო ამოკვეთა ± კარმუსტინი (BCNU), ადიუვანტური სხივური თერაპია ან ქიმიოთერაპია ან კონკურენტული ქიმიო-სხივური თერაპია.

ე) სიმპტომური თერაპია.

სწორი პასუხი არის დ. Principles and Practice of Radiation Oncology (Perez and Brady's) Chap 34

263. ანაპლაზიური გლიომის და გლიობლასტომის ოპერაციული მკურნალობის შემდგომ რამდენ ხანში უნდა გაკეთდეს პირველი მაგნიტურრეზონანსული კვლევა:

ა) 24 სთ.

ბ) 48 სთ.

*გ) 72 სთ.

დ) 96 სთ.

ე) 7 დღეში.

სწორი პასუხი არის გ. Principles and Practice of Radiation Oncology (Perez and Brady's) Chap 32

264. ანაპლაზიური გლიომის და გლიობლასტომის რადიკალური მკურნალობის დასრულების შემდგომ რა ინტერვალებით ინიშნება მაგნიტურრეზონანსული კვლევა დაავადების შემდგომი მონიტორინგის მიზნით:

ა) სხივური თერაპიის დასრულების შემდგომ 8–12 კვირაში. შემდეგი 2–3 წლის მანძილზე 6–10 თვეში ერთხელ. შემდგომ პერიოდულად.

ბ) პირველი წლის მანძილზე 6 თვეში ერთხელ, შემდგომ 5 წლის მანძილზე 12 თვეში ერთხელ.

გ) პირველი კვლევა რადიკალური მკურნალობის დასრულების მერე 6 თვეში, შემდგომი კვლევა ინიშნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ვლინდება კლინიკური გაუარესება.

*დ) სხივური თერაპიის დასრულების შემდგომ 2–6 კვირაში. შემდეგი 2–3 წლის მანძილზე 2–4 თვეში ერთხელ. შემდგომ პერიოდულად.

ე). ნევროლოგიური სურათის გაუარესებამდე არ ინიშნება.

სწორი პასუხი არის დ. Principles and Practice of Radiation Oncology (Perez and Brady's) Chap 32

265. მაგნიტურრეზონანსული კვლევით დგინდება ხერხემლის სვეტის მეტასტაზური დაავადება და ზურგის ტვინის კომპრესია. გამოხატულია ტკივილი და ნევროლოგიური სიმპტომები (ასევე გამოხატულია რაშის კუდის სინდრომი). მოსალოდნელი სიცოცხლის ≥ 3 თვეზე. რომელი მკურნალობის თანმიმდევრობაა სწორი:

ა) დაკვირვება.

ბ) სიმპტომური მკურნალობა.

გ) მხოლოდ ქირურგიული მკურნალობა.

დ) ყველა შემთხვევაში მკურნალობა იწყება მხოლოდ ქიმიოთერაპიით.

*ე) სტეროიდები – ოპერაცია – სხივური თერაპია ან მხოლოდ სხივური თერაპია.

სწორი პასუხი არის ე. Principles and Practice of Radiation Oncology (Perez and Brady's) Chap 34

266. ზურგის ტვინის დაზიანების დროს ქვემოთ მოცემული შემთხვევებიდან როდის არ არის ნაჩვენები ოპერაციული მკურნალობა:

ა) ლიმფომა

ბ) მიელომა

გ) ლეიკემია

დ) პარაპლეგია გამოხატულია 24სთ–ზე მეტი პერიოდი

*ე) ყველა ზემოთ აღნიშნულის შემთხვევაში

სწორი პასუხი არის ე. Principles and Practice of Radiation Oncology (Perez and Brady's) Chap 34

267. ხერხემლის სვეტის მეტასტაზური დაზიანების დროს აღინიშნება ხერხემლის პათოლოგიური მოტეხილობა. ზურგის ტვინზე ზეწოლა არ ვლინდება. შეარჩიეთ მკურნალობის სწორი ტაქტიკა:

*ა) ქირურგიული სტაბილიზაცია ან ვერტებრალური აუგმენტაცია შემდგომ სხივური თერაპია.

ბ) სტეროიდის დაუყოვნებელი ინექცია და შემდგომ ქიმიოთერაპია.

გ) სხივური თერაპია და შემდგომ ქირურგიული სტაბილიზაცია ან ვერტებრალური აუგმენტაცია.

დ) მკურნალობას არ ვიწყებთ სანამ ზურგის ტვინის კომპრესია არ გამოვლინდება.

ე) ყველა ზემოთ აღნიშნული სწორია.

სწორი პასუხი არის ა. Principles and Practice of Radiation Oncology (Perez and Brady's) Chap34

268. დისემინირებული სისტემური დაავადების დროს აღინიშნება თავის ტვინის ლიმიტირებული (1–3) მეტასტაზური დაავადება. ვლინდება მძიმე ზოგადი მდგომარეობა. შეარჩიეთ მკურნალობის სწორი ტაქტიკა:

ა) სიმსივნის ტოტალური ამოკვეთა.

ბ) მხოლოდ სიმპტომური მკურნალობა.

გ) ქიმიოთერაპია.

*დ) თავის ტვინის ტოტალური დასხივება და შემდგომ ქიმიოთერაპია.

ე) სტერეოტაქსიური რადიოქირურგია ყველაზე დიდი ზომის მეტასტაზურ წარმონაქმნზე.
სწორი პასუხი არის დ. Principles and Practice of Radiation Oncology (Perez and Brady's) Chap 91

269. თავის ტვინის პირველადი ლიმფომა. KPS \geq 40. შეარჩიეთ სწორი პასუხი:

*ა) სტეროიდები, შემდგომ ქიმიოთერაპია \pm თავის ტვინის ტოტალური დასხივება.

ბ) სიმსივნის ამოკვეთა.

გ) სტეროიდები და შემდგომ სიმსივნის ამოკვეთა.

დ) თავის ტვინის ტოტალური დასხივება და შემდგომ ქიმიოთერაპია.

ე) დაკვირვება.

სწორი პასუხი არის ა. Principles and Practice of Radiation Oncology (Perez and Brady's) Chap 32

270. 45 წლის მამაკაცი შემოვიდა კლინიკაში თავის ტვინის მრავლობითი მეტასტაზური დაზიანებით (>3), რომელიც დადგენილია მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფიით.

ანამნეზში სიმსივნური დიაგნოზი არ აღინიშნება. სხვადასხვა გამოკვლევების ჩატარების შემდრომ პირველადი კერა ვერ ინახა. რომელია ქვემოთჩამოთვლილი პასუხებიდან სწორი:

ა) სტეროიდები და დაკვირვება.

ბ) ყველა მეტასტაზური წარმონაქმნის ამოკვეთა.

*გ) ჩატარდეს სტერეოტაქსიული ან ღია ბიოფსია, თუ შესაძლებელია შემდგომი რეზექციით რათა მოიხნას მას-ეფექტი, შემდგომ დასხივდეს თავის ტვინი ტოტალურად.

დ) ჩატარდეს მხოლოდ ქიმიოთერაპია, რათა არ მოხდეს დაავადების გავრცელება.

ე) ჩატარდეს სტერეოტაქსიული სხივური თერაპია ყველა წარმონაქმნზე.

სწორი პასუხი არის გ. Principles and Practice of Radiation Oncology (Perez and Brady's) Chap 91

271. 25 წლის მამაკაცს ჩატარდა თავის ტვინის მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფია კონტრასტით და აღინიშნა სიმსივნური წარმონაქმნის არსებობა. გაკეთდა სიმსივნური წარმონაქმნის მაქსიმალურად უსაფრთხო ამოკვეთა. დადგინდა მედულობლასტომა.

აღნიშნეთ შემდგომი სწორი მიმართულება:

ა) ინტრათეკალური ქიმიოთერაპია და შემდგომ სხივური თერაპია მხოლოდ თავის ტვინში არსებულ წარმონაქმნზე.

ბ) მხოლოდ სიმსივნის ამოკვეთა და შემდგომი დაკვირვება.

გ) დაიწყოს ინტრათეკალურად ქიმიოპრეპარატების შეყვანა.

დ) დაიწყოს დაუყოვნებლად სხივური თერაპია თავისა და ზურგის ტვინზე.

*ე) ოპერაციის შემდგომ 24–72 სთ–ში ჩატარდეს თავის ტვინის მრტ კვლევა, შემდგომ ოპერაციიდან 2–3 კვირაში ხერხემლის სვეტის მრტ, ოპერაციიდან 2–3 კვირაში (მრტ კვლევის ჩატრების შემდგომ) თავზურგტვინის სითხის ციტოლოგიური კვლევა და შემდგომ გადაწყდეს მკურნალობის ტაქტიკა.

სწორი პასუხი არის ე. Principles and Practice of Radiation Oncology (Perez and Brady's) Chap 32

272. მოზრდილთა მედულობლასტომის დროს, როდესაც სიმსივნური წარმონაქმნი მდებარეობს მხოლოდ თავის ტვინში და არ არის რეზექტაბელური, როგორია მკურნალობის ტაქტიკა:

ა) სიმპტომური მკურნალობა.

*ბ) კრანოსპინალური დასხივება და შემდგომ ქიმიოთერაპია.

გ) მხოლოდ ქიმიოთერაპია.

დ) თავის ტვინის ტოტალური დასხივება.

ე) მხოლოდ რადიოქირურგია.

სწორი პასუხი არის ბ. Principles and Practice of Radiation Oncology (Perez and Brady's) Chap 32

273. რა დოზით სხივდება თავის ტვინის მრავლობითი მეტასტაზური დაზიანება:

ა) ერთჯერადი დოზა 4 გრეი/ სუმარული დოზა 40 გრეი/ ფრაქცია 10.

ბ) ერთჯერადი დოზა 2.5 გრეი/ სუმარული დოზა 62.5 გრეი/ ფრაქცია 25.

გ) ერთჯერადი დოზა 1.5 გრეი/ სუმარული დოზა 37.5გრეი/ ფრაქცია 25.

დ) ერთჯერადი დოზა 2 გრეი/ სუმარული დოზა 60 გრეი/ ფრაქცია 30.

*ე) ერთჯერადი დოზა 3 გრეი/ სუმარული დოზა 30 გრეი/ ფრაქცია 10.

სწორი პასუხი არის ე. Principles and Practice of Radiation Oncology (Perez and Brady's) Chap 91

274. მოზრდილთა მედულობლასტომის დასხივების დროს რომელი დოზირებაა სწორი ქვემოთ ჩამოთვლილთაგან თუ რეციდივის განვითარების მაღალი რისკია:

*ა) კრანო–სპინალური დასხივება 36 გრეით, შემდგომ დოზის დამატება (ბუსთი) თავის ტვინის უკანა ფოსოში არსებულ პირველად წარმონაქმნზე 55.8 გრეიმდე.

ბ) კრანო–სპინალური დასხივება 55 გრეიმდე.

გ) უკანა ფოსოში არსებული წარმონაქმნის დასხივება 66 გრეიმდე.

დ) თავის ტვინის ტოტალური დასხივება 45 გრეიმდე.

ე) მხოლოდ წარმონაქმნის დასხივება 55 გრეიმდე.

სწორი პასუხი არის ა. Principles and Practice of Radiation Oncology (Perez and Brady's) Chap 32

275. რა დოზით სხივდება თავის ტვინის მენინგიომა , როდესაც ავთვისებიანობის I-II ხარისხია:

- ა) 55–60 გრეი.
- ბ) 20–25 გრეი.
- გ) 30–35 გრეი.
- *დ) 45–54 გრეი.
- ე) 60–65 გრეი.

სწორი პასუხი არის დ. Principles and Practice of Radiation Oncology (Perez and Brady's) Chap 32

276. რა დოზით სხივდება თავის ტვინის მენინგიომა , როდესაც ავთვისებიანობის III ხარისხია:

- ა) 40–45 გრეი.
- ბ) 45–50 გრეი.
- გ) 30–35 გრეი.
- *დ) 54–60 გრეი.
- ე) 20–25 გრეი.

სწორი პასუხი არის დ. Principles and Practice of Radiation Oncology (Perez and Brady's) Chap 32

277. ეპენდიომის დასხივების დროს რა მაქსიმალური დოზით შესაძლოა დასხივდეს ზურგის ტვინში არსებული წარმონაქმნი:

- *ა) 45 გრეი.
- ბ) 55 გრეი.
- გ) 35 გრეი.
- დ) 60 გრეი.
- ე) 25 გრეი.

სწორი პასუხი არის ა. Principles and Practice of Radiation Oncology (Perez and Brady's) Chap 32

278. მოზრდილთა ინტრაკრანიალური ეპენდიომის რადიკალური პროგრამით მკურნალობის დასრულების შემდგომ დაავადების კონტროლი რა ინტენსივობით ხორციელდება:

- ა) წელიწადში ერთხელ 3 წლის მანძილზე.
- ბ) თავის ტვინის მრტ თვეში ერთხელ 12 თვის მანძილზე.
- გ) თავის ტვინის მრტ 6 თვეში ერთხელ 8 წლის მანძილზე.
- დ) არ კეთდება დაავადების კონტროლი კლინიკურ გაუარესებამდე.
- *ე) თავის ტვინის მრტ 3–4 თვეში ერთხელ 1 წლის მანძილზე, შემდგომ 4–6 თვეში ერთხელ 2 წლის მანძილზე, შემდეგ 6–12 თვეში ერთხელ.

სწორი პასუხი არის ე. Principles and Practice of Radiation Oncology (Perez and Brady's) Chap 32

279. დაბალი ავთვისებიანობის ხარისხის თავის ტვინის გლიომა (G I/II) რა მაქსიმალური რადიკალური დოზით შეიძლება დასხივდეს:

- ა) 45–48 გრეი.
- ბ) 58–60 გრეი.
- გ) 54–58 გრეი.
- *დ) 45–54 გრეი.
- ე) 35–40 გრეი.

სწორი პასუხი არის დ. Principles and Practice of Radiation Oncology (Perez and Brady's) Chap 32

280. 35 წლის პაციენტი, დიაგნოზით დაბალი ავთვისებიანობის ხარისხის ინფილტრაციული სუპრატენტორიალური ასტროციტომა. გაკეთდა მაქსიმალური უსაფრთხო რეზექცია.

რომელია შემდგომი სწორი ტაქტიკა:

- ა) პირველ ეტაპზე სხივური თერაპია, შემდგომ ქიმიოთერაპია.
- ბ) ქიმიოთერაპია.
- გ) ოპერაციის შემდგომ ჩატარდეს მხოლოდ სხივური თერაპია რადიკალური პროგრამით.

*დ) დაკვირვება.

ე) ინტრათეკალური ქიმიოთერაპია.

სწორი პასუხი არის დ. Principles and Practice of Radiation Oncology (Perez and Brady's) Chap 32

281. 49 წლის პაციენტი, დიაგნოზით დაბალი ავთვისებიანობის ხარისხის ინფილტრაციული სუპრატენტორიალური ოლიგოდენდროგლიომა. გაკეთდა მაქსიმალური უსაფრთხო რეზექცია. საკონტროლო მრტ კვლევაზე აღინიშნება პატარა ზომის ნარჩენი სიმსივნე.

რომელია ქვემოთჩამოთვლილი პასუხებიდან სწორი:

- ა) დაკვირვება.
- ბ) ინტრათეკალური ქიმიოთერაპია.
- *გ) სხივური თერაპია ან ქიმიოთერაპია.
- დ) სტერეოტაქსიული სხივური თერაპია.
- ე) პალიატიური პროგრამით სხივური თერაპია და შემდგომ რეოპერაცია.

სწორი პასუხი არის გ. Principles and Practice of Radiation Oncology (Perez and Brady's) Chap 32

282. ჰიპოფიზის სიმსივნეების კონვენციური დასხივების გართულებებს მიეკუთვნება ყველა ჩამოთვლილი გარდა:

- ა) დაღლილობა
- ბ) ფოკალური ალოპეცია

*გ) ბიტემპორალური ჰემიანოფსია

დ) ოტიტი (როდესაც ყური ხვდება დასხივების ველში)

ე) მეორადი სიმსივნის განვითარების მომატებული რისკი

სწორი პასუხი არის გ. Principles and Practice of Radiation Oncology (Perez and Brady's) Chap 33

283. ჩამოთვლილთაგან რომელი არის სიმართლე ტვინის ღეროს გლიომასთან მიმართებაში

ა) ადიუვანტური ქიმიოთერაპია დაკავშირებულია უკეთეს გამოსავალთან

ბ) ახალგაზრდა ავადმყოფებში უფრო ხშირად ხასიათდება დუნე მიმდინარეობით

*გ) რეზექცია შესაძლებელია გაკეთდეს სიმსივნის დორზალური ეგზოფიტური ზრდის შემთხვევაში

დ) დაავადების პიკი არის 14–20 წლის ასაკში

ე) არცერთი ზემოთ ჩამოთვლილი

სწორი პასუხი არის გ. Principles and Practice of Radiation Oncology (Perez and Brady's) Chap 32

284. სელარული რეგიონის სიმსივნეების სხივური თერაპიის ჩვენებებს მიეკუთვნება:

ა) რეზიდუალური სიმსივნე

ბ) სიმსივნის რეციდიული ზრდა

*გ) სწორია 1.2.

დ) არცერთი ზემოთ ჩამოთვლილი

ე) არ სჭირდება სხივური თერაპია

სწორი პასუხი არის გ. Principles and Practice of Radiation Oncology (Perez and Brady's) Chap 33

285. დაბალი გრეიდის გლიომების შემთხვევაში მიზანშეწონილია დასხივება ჩატარდეს:

ა) სტერეოტაქსიული რადიოთერაპიით

ბ) სტერეოტაქსიული რადიოქირურგიით

გ) რადიოთერაპიით 36–45 გრეი დოზით, დღიური დოზით 1,8 გრეი

*დ) რადიოთერაპიით 45–54 გრეი დოზით, დღიური დოზით 1,8 გრეი

ე) რადიოთერაპიით 54–60 გრეი დოზით, დღიური დოზით 1,8 გრეი

სწორი პასუხი არის დ. Principles and Practice of Radiation Oncology (Perez and Brady's) Chap 32

286. პირველადი ცნს–ის ლიმფომის შემთხვევაში თუ აღინიშნა სრული პასუხი (CR)

ჩატარებულ ქიმიოთერაპიაზე, პაციენტს ესაჭიროება:

ა) დაკვირვება

ბ) ქიმიოთერაპიის კიდევ 2 კურსის ჩატარება

გ) სტეროიდებით მკურნალობა

დ) რადიოთერაპია ტოტალურად თავის ტვინზე 45გრეი დოზით, დღიური დოზით 1,8–2 გრეი

*ე) რადიოთერაპია ტოტალურად თავის ტვინზე 24–36 გრეი დოზით, დღიური დოზით 1,8–2 გრეი

სწორი პასუხი არის ე. Principles and Practice of Radiation Oncology (Perez and Brady's) Chap 32

287. ანაპლაზიური გლიომის შემთხვევაში ოპერაციის შემდგომ კარგი სტატუსის დროს KPS > 70% პაციენტებში შეარჩიეთ მკურნალობის სწორი ტაქტიკა:

- ა) დაკვირვება
- ბ) ქიმიოთერაპია
- გ) ფრაქციონირებული რადიოთერაპია
- დ) ქიმიო–სხივური თერაპია
- *ე) სწორია 2,3,4

სწორი პასუხი არის ე. Principles and Practice of Radiation Oncology (Perez and Brady's) Chap 32

288. ანაპლასტიკური გლიომის შემთხვევაში ოპერაციის შემდგომ ცუდი ზოგადი მდგომარეობის დროს KPS < 50% პაციენტებში შეარჩიეთ მკურნალობის სწორი ტაქტიკა:

- ა) პალიატიური მზრუნველობა
- ბ) ქიმიოთერაპია
- გ) დაბალფრაქციონირებული რადიოთერაპია(პალიატივა)
- დ) ქიმიო–სხივური თერაპია
- *ე) სწორია 1,3

სწორი პასუხი არის ე. Principles and Practice of Radiation Oncology (Perez and Brady's) Chap 32

289. პოსტოპერაციული გლიობლასტომის შემთხვევაში კარგი სტატუსის მქონე პაციენტებში (KPS > 70%) შეარჩიეთ მკურნალობის სწორი ტაქტიკა:

- ა) დაკვირვება
- ბ) რადიოქირურგია
- გ) მხოლოდ ჰორმონოთერაპია
- *დ) გარეგანი ფრაქციული დასხივება კონკურენტული და ადიუვანტური ქიმიოთერაპიით (თემოზოლამიდით)
- ე) პალიატიური მზრუნველობა

სწორი პასუხი არის დ. Principles and Practice of Radiation Oncology (Perez and Brady's) Chap 32

290. მაღალი გრეიდის გლიომების შემთხვევაში რეციდივის დროს ცუდი ზოგადი სტატუსის მქონე პაციენტებში სწორი მკურნალობის ტაქტიკაა:

- ა) თუ შესაძლებელია ოპერაცია
- ბ) სისტემური ქიმიოთერაპია

- გ) პალიატიური რადიოთერაპია
- დ) პალიატიური მზრუნველობა
- *ე) სწორია 1.2.3.4.

სწორი პასუხი არის ე. Principles and Practice of Radiation Oncology (Perez and Brady's) Chap 32

291. ინტრაკრანიული ანაპლასტიური ეპენდიმომა სუბტოტალური რეზექციის შემდგომი მდგომარეობა, მაგნიტურრეზონანსულ კვლევაზე ზურგის ტვინში არსებული წარმონაქმნით, მკურნალობის სწორი ტაქტიკაა:

- *ა) კრანოსპინალური დასხივება
- ბ) ქიმიოთერაპია
- გ) დაკვირვება
- დ) რეზიდუალური სიმსივნის დასხივება
- ე) სტერეოტაქსია

სწორი პასუხი არის ა. Principles and Practice of Radiation Oncology (Perez and Brady's) Chap 32

292. ეპენდიომის დასხივების დროს რა მაქსიმალური დოზითაა შესაძლებელი დასხივდეს თავის ტვინში არსებული წარმონაქმნი:

- *ა) 54–59.4 გრეი დოზით დღიური დოზა 1.8–2 გრეი
- ბ) 45–50 გრეი დოზით დღიური დოზა 1.8–2 გრეი
- გ) 36–40 გრეი დოზით დღიური დოზა 1.8–2 გრეი
- დ) 25–30 გრეი დოზით დღიური დოზა 1.8–2 გრეი
- ე) 30–36 გრეი დოზით დღიური დოზა 1.8–2 გრეი

სწორი პასუხი არის ა. Principles and Practice of Radiation Oncology (Perez and Brady's) Chap 32

293. ინტრაკრანიული ანაპლასტიური ეპენდიმომა სუბტოტალური რეზექციის შემდგომი მდგომარეობა, მაგნიტურრეზონანსულ კვლევაზე ზურგის ტვინში არსებული წარმონაქმნით, რადიოთერაპიული მკურნალობის დოზები:

- ა) თავის ტვინზე 45 გრეი
- ბ) თავის ტვინზე 36 გრეი
- გ) თავის ტვინზე 36 გრეი და ზურგის ტვინზე 45
- დ) თავის ტვინზე 54გრეი
- *ე) კრანოსპინალური 36 გრეი + ზურგის ტვინში არსებულ წარმონაქმნზე 45 გრეი დოზამდე + 54–59,4 გრეი თავის ტვინში პირველად არეზე.

სწორი პასუხი არის ე. Principles and Practice of Radiation Oncology (Perez and Brady's) Chap 32

294. თავის ტვინის პირველადი ლიმფომის დასხივების დროს სამკურნალო ველში არის:

- ა) მხოლოდ სიმსივნის არე

ბ) სიმსივნე +მეშუპება

*გ) ტოტალურად თავის ტვინი

დ) თავისა და ზურგის ტვინი

ე) თავის ტვინი + ზურგის ტვინი კისრის II მალის ჩათვლით

სწორი პასუხი არის გ. Principles and Practice of Radiation Oncology (Perez and Brady's) Chap 32

295. პოსტოპერაციული კრანოფარინგიომის დროს, როცა ნარჩენი სიმსივნე არის 2–4 სმ, მკურნალობის ტაქტიკა არის:

ა) დაკვირვება

*ბ) ფრაქციონირებული რადიოთერაპია

გ) სტერეოტაქსიური რადიოქირურგია

დ) განმეორებითი ოპერაცია

ე) მხოლოდ სიმპტომური მკურნალობა

სწორი პასუხი არის ბ. Principles and Practice of Radiation Oncology (Perez and Brady's) Chap 32

296. პოსტოპერაციული ჰიპოფიზის ადენომა, რეზიდუალური ზრდა, სიმსივნის ზომა 12მმ–10მმ, კლინიკა არის, არ ემორჩილება ჰორმონალურ მკურნალობას. ესაჭიროება:

ა) დაკვირვება დინამიკაში

ბ) ფრაქციონირებული რადიოთერაპია

გ) სტერეოტაქსიური რადიოქირურგია

დ) განმეორებითი ოპერაცია

*ე) სტერეოტაქსიული რადიოთერაპია

სწორი პასუხი არის ე. Principles and Practice of Radiation Oncology (Perez and Brady's) Chap33

297. თავის ტვინის პირველადი სიმსივნეების შემთხვევაში რადიოთერაპიისათვის მოცულობის განსაზღვრა ხდება შემდეგ კვლევებზე დაყრდნობით:

ა) კომპიუტერული ტომოგრაფია კონტრასტით

ბ) მაგნიტორეზონანსული

გ) პოზიტრონემისიური

დ) პოზიტრონემისიური + მაგნიტორეზონანსული

*ე) კომპიუტერული ტომოგრაფია + მაგნიტორეზონანსული კონტრასტით

სწორი პასუხი არის ე. Principles and Practice of Radiation Oncology (Perez and Brady's) Chap 32

298. თავის ტვინში მრავლობითი ჰერმინოგენული სიმსივნეების მკურნალობის ტაქტიკა არის:

ა) ქიმიოთერაპია

ბ) სხივური თერაპია

გ) ოპერაცია

*დ) ქიმიოთერაპია + სხივური თერაპია

ე) ჰორმონოთერაპია

ვ) დაკვირვება

სწორი პასუხი არის დ. Principles and Practice of Radiation Oncology (Perez and Brady's) Chap 32

299. ჰიპოფიზის ადენომის რადიკალური სხივური მკურნალობის დოზებია:

ა) 20–25 გრეი, დღიური დოზა 1.8 გრეი

ბ) 25–30 გრეი, დღიური დოზა 1.8 გრეი

*გ) 45–50 გრეი, დღიური დოზა 1.8 გრეი

დ) 18–25 გრეი, დღიური დოზა 1.8 გრეი

ე) 30–36 გრეი, დღიური დოზა 1.8 გრეი

სწორი პასუხი არის გ. Principles and Practice of Radiation Oncology (Perez and Brady's) Chap 33

300. როგორ ხდება თავის ტვინში მელანომის მეტასტაზების მკურნალობა:

ა) მხოლოდ ქირურგიულად

ბ) ქირურგიულად და შემდგომ ქიმიოთერაპიით

გ) დასხივებით

დ) თუ შესაძლებელია ქირურგიული ჩარევა + ქიმიოთერაპია

*ე) ქირურგიულად და შემდგომ დასხივებით

სწორი პასუხი არის ე. Principles and Practice of Radiation Oncology (Perez and Brady's) Chap 91

301. მრავლობითი მენინგიომების შემთხვევაში მკურნალობის ტაქტიკაა:

ა) მხოლოდ ქირურგიული

ბ) ქირურგიული და შემდგომი ქიმიოთერაპია

გ) დასხივება,

დ) ქიმიოთერაპია

*ე) ოპერაცია და რეზიდუალური სიმსივნური წარმონაქმნების შემდგომი დასხივება

სწორი პასუხი არის ე. Principles and Practice of Radiation Oncology (Perez and Brady's) Chap 32

302. ჰიპოფიზის პატარა წარმონაქმნის შემთხვევაში, როცა პროლაქტინის დონე მომატებულია მკვეთრად, პაციენტს ესაჭიროება შემდგომი ჩარევა:

ა) მხოლოდ ქირურგიული

ბ) რადიოთერაპია

გ) ქირურგიული და შემდგომი ქიმიოთერაპია

*დ) ენდოკრინოლოგიური მკურნალობა

ე) ქიმიოთერაპია

სწორი პასუხი არის დ. Principles and Practice of Radiation Oncology (Perez and Brady's) Chap 33

303. ბიოფსიით დადგენილი მედულობლასტომის შემთხვევაში სწორი მკურნალობის ტაქტიკაა:

- ა) მხოლოდ ქირურგია
- ბ) კრანოსპინალური დასხივება
- გ) ქიმიოთერაპია
- დ) ქირურგია + ქიმიოთერაპია
- *ე) რადიკალური ქირურგია + კრანოსპინალური დასხივება + ქიმიოთერაპია

სწორი პასუხი არის ე. Principles and Practice of Radiation Oncology (Perez and Brady's) Chap32

304. რადიკალური ოპერაციის შემდგომი მედულობლასტომა 6 წლის ასაკში, შემდგომი მკურნალობის ტაქტიკა:

- ა) კრანოსპინალური დასხივება + ქიმიოთერაპია
- *ბ) კრანოსპინალური დასხივება + სიმსივნის სარეცელზე დამატებითი დოზა + ქიმიოთერაპია
- გ) ქიმიოთერაპია
- დ) კრანოსპინალური დასხივება
- ე) კრანოსპინალური დასხივება + სიმსივნის სარეცელზე დამატებითი დოზა

სწორი პასუხი არის ბ. Principles and Practice of Radiation Oncology (Perez and Brady's) Chap 32

305. რადიკალური ოპერაციის შემდგომი მედულობლასტომა 10 წლის ასაკში, შემდგომი მკურნალობის ტაქტიკა:

- ა) კრანოსპინალური დასხივება 36 გრეი + ქიმიოთერაპია
- *ბ) კრანოსპინალური დასხივება 36 გრეი + სიმსივნის სარეცელზე დამატებითი დოზა 54 გრეიმდე + ქიმიოთერაპია
- გ) კრანოსპინალური დასხივება 54 გრეი
- დ) კრანოსპინალური დასხივება 54 გრეი + ქიმიოთერაპია
- ე) კრანოსპინალური დასხივება 36 გრეი + სიმსივნის სარეცელზე დამატებითი დოზა 54 გრეიმდე

სწორი პასუხი არის ბ. Principles and Practice of Radiation Oncology (Perez and Brady's) Chap 82

306. პაციენტი 12 წლის მედულობლასტომის რეციდივი (MRI) ნაოპერაციებ არეში 3 წლის შემდეგ. მკურნალობის სწორი ტაქტიკა:

- ა) მხოლოდ ქირურგია
- ბ) ქირურგია + ქიმიოთერაპია
- გ) რადიოთერაპია

*დ) ზურგის ტვინის მაგნიტორეზონანსული კვლევა და თავზურგტვინის სითხის ციტოლოგიური კვლევა და მიღებული შედეგის მიხედვით მკურნალობის ტაქტიკის გადაწყვეტა

ე) ქირურგია + ქიმიოთერაპია + დასხივება

სწორი პასუხი არის დ. **Principles and Practice of Radiation Oncology (Perez and Brady's) Chap 82**

307. თავის ტვინში მრავლობითი (6) მეტასტაზური დაზიანების აღმოჩენის შემთხვევაში (პირველადი კერა არის ფილტვის წვრილუჯრედოვანი კიბო) კლინიკა არ არის, მკურნალობის სწორი ტაქტიკაა:

ა) მხოლოდ ქირურგია

ბ) ქირურგია + ქიმიოთერაპია

გ) სტერეოტაქსიური რადიოქირურგია

დ) თავის ტვინის ტოტალური დასხივება + სტერეოტაქსიური რადიოქირურგია დიდ წარმონაქმნებზე

*ე) თავის ტვინის ტოტალური დასხივება და შემდგომ ფილტვის კიბოს მკურნალობის გაგრძელება.

სწორი პასუხი არის ე. **Principles and Practice of Radiation Oncology (Perez and Brady's) Chap 91**

308. პატარა ზომის ვესტიბულარული შვანომის მკურნალობის ტაქტიკა:

ა) ქირურგია + ქიმიოთერაპია

*ბ) მხოლოდ ქირურგია

გ) სტერეოტაქსიური რადიოქირურგია

დ) რადიოთერაპია

ე) სწორია 2.3.

სწორი პასუხი არის ე. **Principles and Practice of Radiation Oncology (Perez and Brady's) Chap 91**

309. დინამიკაში აგრესიულად ზრდადი ვესტიბულარული შვანომის მკურნალობის ტაქტიკა:

ა) მხოლოდ ქირურგია

ბ) რადიოთერაპია

გ) სტერეოტაქსიური რადიოთერაპია

დ) ქირურგია + ქიმიოთერაპია

*ე) სტერეოტაქსიური რადიოქირურგია

სწორი პასუხი არის ე. **Principles and Practice of Radiation Oncology (Perez and Brady's) Chap 32**

310. 3 სმ ზომის მენინგიომის რადიოქირურგიის დროს გამოყენებული დოზები:

ა) 10 გრეი

- *ბ) 15 გრეი
- გ) 20 გრეი
- დ) 24 გრეი
- ე) 18 გრეი

სწორი პასუხი არის ბ. **Principles and Practice of Radiation Oncology (Perez and Brady's) Chap 32**

311. 2 სმ ზომის ჰიპოფიზის ადენომის რადიოქირურგიის დროს გამოყენებული დოზები:

- ა) 10 გრეი
- *ბ) 15-20 გრეი
- გ) 20-30 გრეი
- დ) 25-30 გრეი
- ე). 30-40 გრეი

სწორი პასუხი არის ბ. **Principles and Practice of Radiation Oncology (Perez and Brady's) Chap 33**

312. 70 წელს ზემოთ პაციენტებში თავის ტვინის ინოპერაბელური პირველადი სიმსივნეების მკურნალობის სწორი ტაქტიკაა:

- ა) პალიატიური სხივური თერაპია
- *ბ) ქიმიოთერაპია
- გ) ქიმიო-სხივური თერაპია
- დ) ჰორმონოთერაპია
- ე) დაკვირვება დინამიკაში

სწორი პასუხი არის ბ. **Principles and Practice of Radiation Oncology (Perez and Brady's) Chap 95**

313. თავის ტვინის სიმსივნეების რადიოთერაპიის დროს კრიტიკული ორგანოებია:

- ა) თვალები,
- ბ) ბროლი
- გ) მხედველობის ნერვი, მხედველობის ჯვარედინი
- დ) ტვინის ღერო
- *ე) სწორია 1.2.3.4.

სწორი პასუხი არის ე. **Principles and Practice of Radiation Oncology (Perez and Brady's) Chap 32**

314. ტვინის ღეროს პირველადი სიმსივნის შემთხვევაში მკურნალობის სწორი ტაქტიკაა:

- ა) ქირურგია
- ბ) დასხივება
- *გ) ქირურგია ვერიფიკაციისა და თუნდაც სიმსივნის ნაწილობრივი შემცირებისათვის + რადიოთერაპია

დ) ქირურგია და ქიმიოთერაპია

ე) ქიმიოთერაპია და დასხივება

სწორი პასუხი არის გ. Principles and Practice of Radiation Oncology (Perez and Brady's) Chap 32

315. პატარა ზომის სიმსივნის კონტროლი ადვილია დიდი ზომის სიმსივნესთან შედარებით:

*ა) შეიცავს უფრო მცირე რაოდენობით კლონოგენებს.

ბ) შეიცავს პროპორციულად უფრო მეტი დაოდენობით უჯრედებს, რომლებიც იმყოფებიან უჯრედული ციკლის G2/M ფაზაში.

გ) უფრო ადვილია დასხივდეს ერთი ან მეტი სათანადო ველით

დ) პაციენტის იმუნური სისტემა უფრო ადვილად ებრძვის მას.

სწორი პასუხი არის ა. Principles and Practice of Radiation Oncology (Perez and Brady's) Chap 3

316. წარმონაქმნი რომელიც 3სმ სიღრმეზე მდებარეობს ყველაზე ოპტიმალურად 90% იანი იზოდოზით ივარება ---- MeV ელექტრონებით:

ა) 6 MeV

ბ) 9 MeV

*გ) 12 MeV

დ) 16 MeV

სწორი პასუხი არის გ. Principles and Practice of Radiation Oncology (Perez and Brady's) Chap 7

317. ICRU 62 მიხედვით ITV (შინაგანი სამიზნე მოცულობა) პროსტატის კიბოს მქონე პაციენტების მკურნალობისას უნდა მოიცავდეს შემდეგ გავრცელებას:

*ა) CTV მხოლოდ პროსტატის მოძრაობისთვის

ბ) CTV მხოლოდ პროსტატის მოძრაობისთვის და ყოველდღიური დაწვევის ცდომილება

გ) PTV მხოლოდ პროსტატის მოძრაობისათვის

დ) PTV მხოლოდ პროსტატის მოძრაობისთვის და ყოველდღიური დაწვევის ცდომილება

სწორი პასუხი არის ა. ICRU 62

318. შემდეგი წინადადებებიდან რომელი ხსნის ყველაზე უკეთ მესამე ფაზის კვლევისას პაციენტთა შერჩევის პრინციპს:

*ა) ყველა რანდომიზირებულად შერჩეული პაციენტი უნდა იყოს ჩართული პირველად ანალიზში.

ბ) პაციენტები რომლებისთვისაც ვერ ხერხდება მკურნალობის დასრულება უნდა გამოირიცხონ ანალიზიდან

გ) რანდომიზირებულად სერჩეული პაციენტები რომლებიც ამოვარდნენ მკურნალობის დაწყებამდე უნდა გამოირიცხონ ანალიზიდან

დ) რანდომიზირებულად შერჩეული პაციენტები რომლებიც გარდაიცვალნენ სწრაფადვე შეიძლება გამოირიცხონ ანალიზიდან

სწორი პასუხი არის ა. Principles and Practice of Radiation Oncology (Perez and Brady's) Chap 2

319. შემდეგი წინადადებებიდან რომლებიც ეხება ადრეული სტადიის ძუძუს კიბოს კონსერვატიული მკურნალობის შემადგენელ ნაწილს მთელი ძუძუს დასხივების შემდგომ ბუსტის დამატებასთან დაკავსირებით არის შეცდომა:

ა) EORTC-60 კვლევამ აჩვენა რომ 5-წლიანი იფსილატერალური ძუძუს რეციდივის სიხშირე 6.8%-დან მცირდება 4.3%-მდე ბუსტის დამატებისას

ბ) EORTC-60 კვლევამ აჩვენა რომ ლოკალური კონტროლი უფრო დაბალია ბუსტის გამოყენებისას პრემენოპაუზის მქონე პაციენტებში, ვიდრე პოსტმენოპაუზის მქონე პაციენტებში.

გ) EORTC-60 კვლევამ აჩვენა მნიშვნელოვანი შემცირება საუკეთესო და კარგი კოსმეტიკური გამოსავალი იმ პაციენტებში, რომელთაც ჩაუტარდათ ბუსტ-თერაპია.

*დ) ბუსტით დოზის დამატება აუმჯობესებს გრძელვადიან კონტროლს 1მმ-ზე ნაკლები ქირურგიული კიდეების შემთხვევაში.

სწორი პასუხი არის დ. Principles and Practice of Radiation Oncology (Perez and Brady's) Chap 53

320. შემდეგი წამლებიდან რომელი შეესაბამება ადენოკორტიკოტროპული ჰორმონის ინტენსიური გამოყოფის სამკურნალო საშუალებას ჰიპოფიზის ადენომის დროს:

ა) ბრომოკრიპტინი

ბ) სომატოსტატინი

გ) ოქტრეოტიდი

*დ) მიტოტანი

სწორი პასუხი არის ბ. Principles and Practice of Radiation Oncology (Perez and Brady's) Chap 29

321. შემდეგი წინადადებებიდან რომელია მიქსოპაპილარული ეპენდიომის შემთხვევაში:

ა) რადიოთერაპია ძირითადად ინიშნება სიმსივნის რადიკალური რეზექციის შემთხვევაში

ბ) პოსტოპერაციულმა ქიმიოთერაპიამ აჩვენა პაციენტების სიცოცხლის უკეთესი გამოსავალი

გ) ასეთი სიმსივნეებისათვის დამახასიათებელია უფრო პროქსიმალური მდებარეობა ზურგის ტვინში, ვიდრე დისტალური

*დ) მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის კლასიფიკაციის სისტემასი ასეთი სახის

სიმსივნეები შეფასებულია როგორც დაბალი გრეიდის

სწორი პასუხი არის ბ. Principles and Practice of Radiation Oncology (Perez and Brady's) Chap 32

322. კრანოფარინგიომისთვის შემდეგი წინადადებებიდან რომელი არის მართალი:

- ა) სიმსივნის მიკროსკოპული კვლევა აჩვენებს მიტოზის მაღალ ინდექსს
- ბ) თვალის სიმპტომატიკა ჩვეულებრივ წინ უსწრებს ენდოკრინულ მანიფესტაციას
- გ) ტელე-რადიო თერაპია 66 გრეით ნაჩვენებია სიმსივნის სუბტოტალური რეზექციის შემდგომ.

*დ) ტოტალური რეზექცია ხშირად იწვევს ნეიროენდოკრინულ და მხედველობის დაზიანებას.

სწორი პასუხი არის დ. Principles and Practice of Radiation Oncology (Perez and Brady's) Chap 32

323. შემდეგი წინადადებებიდან გერმანული კვლევის შესახებ რომელშიც შედარდა პრე და პოსტოპერაციული ქიმიო-რადიოთერაპიის შედეგები სწორი ნაწლავის კიბოს დროს სწორია:

*ა) პრეოპერაციულად ცატარებული ქიმიო-რადიოთერაპიის პაციენტების წილი პროცენტულად უფრო მაღალია პოსტოპერაციულთან შედარებით, რომელთაც შეძლეს მკურნალობის სრული კურსის ჩატარება.

ბ) პრეოპერაციულად გრეიდ III და გრეიდ IV მწვავე და ქრონიკული გასტროინტესტინალური ტოქსიურობა უფრო მაღალი იყო პოსტოპერაციულთან შედარებით.

616. სხივური თერაპიის დოზის კლასიკური ფრაქციონირების მეთოდიკა საყლაპავის კიბოს კომბინირებული მკურნალობისას ყველაზე მიზანშეწონილია

ა) I სტადიისას

ბ) II სტადიისას

*გ) III სტადიისას

დ) ყველა ჩამოთვლილი სტადიისას

სწორი პასუხი არის გ. Abeloff's Clinical Oncology 2008 chap. 78

617. ყველაზე გავრცელებულ პალიატიურ ოპერაციას, რომელიც გამოიყენება საყლაპავის კიბოს დროს, წარმოადგენს

ა) დობრომისლოვ-ტორეკის ოპერაცია

*ბ) გასტროსტომია

გ) სიმსივნის რეკანალიზაცია

დ) შემოვლითი ანასტომოზები

სწორი პასუხი არის ბ. Abeloff's Clinical Oncology 2008 chap. 78

618. საყლაპავის კიბოს კომბინირებული მკურნალობის გამოყენებისას (ოპერაციისწინა სხივური თერაპია + ქირურგიული მკურნალობა) ადგილი აქვს

ა) შორეული შედეგების გაუარესება

*ბ) შორეული შედეგების გაუმჯობესება

გ) გამოხატული ტენდენცია არ ვლინდება

დ) სწორი პასუხი არ არის

ე) სწორია ა) და გ)

სწორი პასუხი არის ბ. Abeloff's Clinical Oncology 2008 chap. 78

619. 80 წლის ავადმყოფს აქვს II ბ სტადიის საყლაპავის გულმკერდის შუა ნაწილის კიბო. მკურნალობის ყველაზე კარგ მეთოდს წარმოადგენს

ა) ოპერაციული მკურნალობა

ბ) კომბინირებული მკურნალობა ოპერაციის შემდგომი სხივური თერაპიით

გ) კომბინირებული მკურნალობა ოპერაციის წინა სხივური თერაპიით

*დ) სხივური თერაპიის დამოუკიდებელი კურსი რადიკალური პროგრამით

სწორი პასუხი არის დ. Abeloff's Clinical Oncology 2008 chap. 78

620. 50 წლის ავადმყოფს აქვს საყლაპავის კიბო გულმკერდის ქვედა ნაწილის დონეზე მეტასტაზებით პარაეზოფაგურ ლიმფურ კვანძებში, სიგრძით 4 სმ დისფაგიის საწყისი გამოვლინებებით. მკურნალობის ადექვატურ მეთოდებად შეიძლება ჩაითვალოს ყველა ჩამოთვლილი, გარდა

*ა) რადიკალური პროგრამით სხივური თერაპიის დამოუკიდებელი კურსისა

ბ) ოპერაციული მკურნალობა

გ) კომბინირებული მკურნალობისა ოპერაციისწინა სხივური თერაპიით

დ) კომბინირებული მკურნალობისა ოპერაციისშემდგომი სხივური თერაპიით

სწორი პასუხი არის ა. Abeloff's Clinical Oncology 2008 chap. 78

621. ოპერაციისწინა სხივური თერაპია მიზანშეწონილია სიმსივნის ლოკალიზაციისას

- ა) საყლაპავის გულმკერდის შუა ან გულმკერდის ქვედა ნაწილში
 - ბ) საყლაპავის გულმკერდის ზედა ნაწილში
 - გ) კისრის ნაწილში
 - *დ) სიმსივნის ლოკალიზაციას არსებითი მნიშვნელობა არ აქვს
- სწორი პასუხი არის დ. Abeloff's Clinical Oncology 2008 chap. 78**

622. ოპერაციისწინა სხივური თერაპია კურსი უპირატესია სიმსივნის ზომებისას
- ა) 3 სმ-ზე ნაკლები
 - *ბ) 5 სმ-ზე ნაკლები
 - გ) 5 სმ-ზე მეტი
 - დ) სიმსივნის ზომებს არსებითი მნიშვნელობა არ აქვს
- სწორი პასუხი არის ბ. Abeloff's Clinical Oncology 2008 chap. 78**

623. საყლაპავის კიბოს სხივური თერაპიის დამოუკიდებელი კურსისას არ არის რეკომენდირებული
- *ა) მსხვილი ფრაქციების
 - ბ) დოზის ფრაქციონირების დინამიური რეჟიმების
 - გ) მულტიფრაქციონირების გამოყენება
 - დ) ყველა პასუხი სწორია
 - ე) სწორი პასუხი არ არის
- სწორი პასუხი არის ა. Abeloff's Clinical Oncology 2008 chap. 78**

624. საყლაპავის კიბოს სხივური თერაპიის აბსოლუტურ წინააღმდეგკვენებას წარმოადგენს
- ა) დაზიანების მანძილი 8 სმ-ზე მეტი
 - ბ) სიმსივნის დაწყლულების არსებობა
 - გ) გამოხატული დისფაგია
 - *დ) პერფორაციის რენტგენოლოგიურად და ენდოსკოპურად განსაზღვრადი ნიშნები
 - ე) ყველა ჩამოთვლილი
- სწორი პასუხი არის დ. Abeloff's Clinical Oncology 2008 chap. 78**

625. 56 წლის ავადმყოფს საყლაპავის გულმკერდის შუა განყოფილების კიბოს სხივური თერაპიიდან (ჯამური დოზით 60 გრ) ერთი წლის შემდეგ განვითარდა რეციდივი გულმკერდის ზედა და შუა განყოფილებების საზღვარზე, სიგრძით 3 სმ. ამ შემთხვევაში
- ა) სხივური თერაპია წინააღმდეგნაჩვენებია
 - ბ) სხივური თერაპია შესაძლებელია, მაგრამ არ არის მიზანშეწონილი
 - გ) სხივური თერაპია ნაჩვენებია რადიკალური პროგრამით
 - *დ) სხივური თერაპია ნაჩვენებია პალიატიური მიზნით

სწორი პასუხი არის დ. Abeloff's Clinical Oncology 2008 chap. 78

626. ქიმიოთერაპიას საყლაპავის კიბოს დროს

- ა) გააჩნია მაღალი ეფექტურობა
- ბ) შეიძლება გამოიყენებოდეს ისეთივე წარმატებით, როგორც სხივური თერაპია
- *გ) ნაკლებად ეფექტურია
- დ) არ გამოიყენება

სწორი პასუხი არის გ. Abeloff's Clinical Oncology 2008 chap. 78

627. ფილტვების ყველა სიმსივნეიდან კეთილთვისებიანი შეადგენს

- ა) 1-2%-ზე ნაკლებს
- *ბ) 7-10%
- გ) 25-30%
- დ) 40%-მდე

სწორი პასუხი არის ბ. Abeloff's Clinical Oncology 2008 chap. 76

628. ფილტვების ცენტრალურ კეთილთვისებიან სიმსივნეებს მიეკუთვნება

- ა) მთავარი ბრონქების სიმსივნეები
- ბ) წილოვანი ბრონქების სიმსივნეები
- გ) სეგმენტური ბრონქების სიმსივნეები
- *დ) ყველა ჩამოთვლილი
- ე) ჩამოთვლილებიდან არცერთი

სწორი პასუხი არის დ. Abeloff's Clinical Oncology 2008 chap. 76

629. ფილტვების კეთილთვისებიან სიმსივნეებს შეიძლება ჰქონდეთ

- ა) ეპითელიური წარმოშობა
- ბ) ნეიროექტოდერმული წარმოშობა
- გ) მეზოდერმული წარმოშობა
- დ) დისემბრიოგენეზური (გამარტომები, ტერატომები)
- *ე) ყველა პასუხი სწორია

სწორი პასუხი არის ე. Abeloff's Clinical Oncology 2008 chap. 76

630. ქირურგიული მეთოდების გარდა ფილტვების კეთილთვისებიანი სიმსივნეების მკურნალობისას შეიძლება გამოიყენებოდეს

- ა) სხივური თერაპია
- ბ) სიმსივნის საწინააღმდეგო ქიმიოთერაპია
- გ) კომბინირებული მკურნალობა (ოპერაცია + სხივური თერაპია)

დ) ყველა ჩამოთვლილი მეთოდი

*ე) ჩამოთვლილი მეთოდებიდან არცერთი

სწორი პასუხი არის ე. Abeloff's Clinical Oncology 2008 chap. 76

631. სოლიტარული მეტასტაზები ფილტვების პარენქიმაში ყველაზე ხშირად გვხვდება

ა) ოსტეოგენური სარკომით

ბ) სათესლის სიმსივნეებით

გ) სარძევე ჯირკვლის კიბოთი

*დ) მსხვილი ნაწლავის კიბოთი

დაავადებულეებში

სწორი პასუხი არის დ. Abeloff's Clinical Oncology 2008 chap. 76

632. გულმკერდის ორგანოების მეტასტაზური დაზიანებისას შესაძლებელია

ა) ფილტვების იზოლირებული დაზიანება

ბ) პლევრის იზოლირებული დაზიანება

გ) შუასაყრის ლიმფური კვანძების იზოლირებული დაზიანება

*დ) ყველა პასუხი სწორია

ე) სწორი პასუხი არ არის

სწორი პასუხი არის დ. Abeloff's Clinical Oncology 2008 chap. 76

633. ფილტვებში ყველაზე ხშირად მეტასტაზირებენ შემდეგი ლოკალიზაციის სიმსივნეები: 1)

საშვილოსნოს ქორიონეპითელიომა 2) თირკმლის კიბო 3) კუჭის კიბო 4) საშვილოსნოს

სხეულის კიბო 5) მსხვილი ნაწლავის კიბო

ა) სწორია 1 და 2

ბ) სწორია 3 და 4

გ) სწორია 4 და 5

*დ) სწორია 2,3 და 5

სწორი პასუხი არის დ. Abeloff's Clinical Oncology 2008 chap. 76

634. ყველაზე ხშირად პლევრის მეტასტაზური იზოლირებული დაზიანება ქალებში

აღინიშნება

ა) კუჭის კიბოს დროს

ბ) მსხვილი ნაწლავის კიბოს დროს

*გ) საკვერცხეების კიბოს დროს

დ) საშვილოსნოს ქორიონეპითელიომის დროს

სწორი პასუხი არის გ. Abeloff's Clinical Oncology 2008 chap. 76

635. ფილტვის პარენქიმაში მეტასტაზების გამოვლენის ყველაზე ინფორმატულ მეთოდს წარმოადგენს

ა) რენტგენოსკოპია

ბ) რენტგენოგრაფია + ტომოგრაფია

*გ) რენტგენული კომპიუტერული ტომოგრაფია

დ) ულტრაბგერითი კომპიუტერული ტომოგრაფია

ე) გულმკერდის ორგანოების სკანირება გალიუმის ციტრატით

სწორი პასუხი არის გ. Abeloff's Clinical Oncology 2008 chap. 76

636. შუასაყრისა და ფილტვის ფესვების ლიმფური კვანძების გადიდების გამოვლენის ყველაზე ინფორმატიულ მეთოდს წარმოადგენს

ა) რენტგენოსკოპია

ბ) რენტგენოგრაფია + ტომოგრაფია

*გ) რენტგენული კომპიუტერული ტომოგრაფია

დ) გულმკერდის ღრუს ორგანოების სკანირება გალიუმის ციტრატით

ე) ულტრაბგერითი კომპიუტერული ტომოგრაფია

სწორი პასუხი არის გ. Abeloff's Clinical Oncology 2008 chap. 76, 77

637. გამოკვლევებს, რომლებიც საშუალებას გვაძლევენ დავადასტუროთ ქორიონეპითელიომის მეტასტაზებით ფილტვების დაზიანების სავარაუდო რენტგენოლოგიური დიაგნოზი, წარმოადგენენ სისხლის შრატში

ა) კეა (კიბოსმიერ-ემბრიონალური ანტიგენის)

ბ) ფეტოპროტეინის

*გ) ქორიონული გონადოტროპინისა და ტროფობლასტური ბ-გლობულინის

დ) 5-ოქსინდოლილმმარმჟავას განსაზღვრა

ე) სწორი პასუხი არ არის

სწორი პასუხი არის გ. Abeloff's Clinical Oncology 2008 chap. 76

638. ფილტვებში სოლიტარული მეტასტაზების ქირურგიული მკურნალობისას შეიძლება წარმოებულ იქნას

ა) ფილტვების კიდითი ან სოლისებრი რეზექცია

ბ) სეგმენტექტომია

გ) ლობექტომია (ბილობექტომია)

დ) პულმონექტომია

*ე) ყველა პასუხი სწორია

სწორი პასუხი არის ე. Abeloff's Clinical Oncology 2008 chap. 76

639. ფილტვების ტოტალური დასხივების მეთოდი მრავლობითი მეტასტაზების მკურნალობისას (დამოუკიდებელი ვარიანტით ან ქიმიო-, ჰორმონოთერაპიასთან კომბინაციაში) უნდა გამოიყენებოდეს

- *ა) რადიომგრძობიარე ახალწარმონაქმნებისას
- ბ) პირველადი სიმსივნის რადიომგრძობიარობისგან დამოუკიდებლად
- გ) ტაქტიკას განსაზღვრავენ მეტასტაზის გამოვლენის ვადები
- დ) არ გამოიყენება

სწორი პასუხი არის ა. Abeloff's Clinical Oncology 2008 chap. 76

640. ფილტვებში იუინგის სარკომის მეტასტაზების მკურნალობის მეთოდის არჩევისას უპირატესობა უნდა მიენიჭოს

- ა) ქირურგიულ მეთოდს
- ბ) იმუნოთერაპიას
- გ) სიმპტომატურ მკურნალობას
- *დ) ქიმიოთერაპიას
- ე) ქირურგიული მკურნალობას სხივურ თერაპიასთან კომბინაციაში

სწორი პასუხი არის დ. Abeloff's Clinical Oncology 2008 chap. 76

641. ფილტვის კიბოთი უფრო ხშირად ავადდებიან

- *ა) მამაკაცები
- ბ) ქალები
- გ) ერთნაირად ხშირად მამაკაცებიც და ქალებიც

სწორი პასუხი არის ა. Abeloff's Clinical Oncology 2008 chap. 76

642. ფილტვის კიბოთი ავადობა საქართველოში

- ა) იზრდება მამაკაცებში და მცირდება ქალებში
- ბ) მცირდება მამაკაცებში და იზრდება ქალებში
- *გ) იზრდება მამაკაცებშიც და ქალებშიც
- დ) მცირდება მამაკაცებშიც და ქალებშიც

სწორი პასუხი არის გ. Abeloff's Clinical Oncology 2008 chap. 76

643. ფილტვების კიბოთი მოსახლეობის ავადობის გაზრდაში განსაზღვრული როლი ეკუთვნის

- ა) გენეტიკურ ფაქტორს
- ბ) პროფესიულ მავნებლობებს
- *გ) თამბაქოს მოხმარებას
- დ) ატმოსფეროს დაბინძურებას

სწორი პასუხი არის გ. Abeloff's Clinical Oncology 2008 chap. 76

644. ფილტვის კიბო

- ა) ყოველთვის ჩნდება ქრონიკული ბრონქიტის ფონზე
- ბ) ყოველთვის ვითარდება პოსტტუმერკულოზური ცვლილებების ფონზე
- გ) ყოველთვის ვითარდება შემოფარგლული პნევმოსკლეროზის კერაში
- *დ) შეიძლება განვითარდეს ფილტვების წინამორბედი ქრონიკული დაავადებების გარეშე
- ე) ყველა პასუხი სწორია, გარდა დ)

სწორი პასუხი არის დ. Abeloff's Clinical Oncology 2008 chap. 76

645. იმ პირებს, რომლებიც შეადგენენ ფილტვის კიბოთი დაავადების გაზრდილი რისკის ჯგუფს, მიეკუთვნებიან

- ა) ხანგრძლივად და ბევრის მწვევლები
- ბ) ქრონიკული ბრონქიტით დაავადებულები
- გ) ასბესტთან, ქრომთან, ნიკელთან (და მათ ნაერთებთან) კონტაქტის მქონე პირები
- *დ) ყველა პასუხი სწორია
- ე) სწორი პასუხებია ა) და ბ)

სწორი პასუხი არის დ. Abeloff's Clinical Oncology 2008 chap. 76

646. ბრონქების ეპითელიუმის ბრტყელუჯრედოვანი მეტაპლაზიის კერების წარმოქმნა, როგორც წესი, წინ უსწრებს ფილტვების

- ა) წვრილუჯრედოვანი კიბოს
 - ბ) ჯირკვლოვანი კიბოს
 - *გ) ბრტყელუჯრედოვანი კიბოს
 - დ) მსხვილუჯრედოვანი კიბოს
- განვითარებას

სწორი პასუხი არის გ. Abeloff's Clinical Oncology 2008 chap. 76

647. ცენტრალურ კიბოს მიეკუთვნებიან სიმსივნეები, რომელთა საწყის ლოკალიზაციას წარმოადგენენ

- ა) მთავარი ბრონქები
- ბ) წილოვანი და სეგმენტური ბრონქები
- გ) სუბსეგმენტური და V რიგის ბრონქები
- *დ) სწორი პასუხებია ა) და ბ)
- ე) სწორი პასუხებია ბ) და გ)

სწორი პასუხი არის დ. Abeloff's Clinical Oncology 2008 chap. 76

648. ცნება _ `ცენტრალიზაცია` ნიშნავს იმას, რომ ფილტვის პერიფერიული კიბო ჩაიზრდება

- ა) მთავარი ბრონქის
- ბ) წილოვანი ან სეგმენტური ბრონქების
- გ) სუბსეგმენტური ბრონქისა და V რიგის ბრონქის კედელში
- *დ) სწორი პასუხებია ა) და ბ)

ე) ყველა პასუხი სწორია

სწორი პასუხი არის დ. Abeloff's Clinical Oncology 2008 chap. 76

649. ბრონქის კედლიდან მის სანათურში პაპილომების, პოლიპების ან წილოვანი კვანძების სახით ჩაიზრდებიან სიმსივნეები

- *ა) ფილტვის ენდობრონქული ეგზოფიტური კიბოს
- ბ) პერიბრონქული კვანძოვანი კიბოს
- გ) განტოტებული კიბოს
- დ) პნევმონიისმაგვარი კიბოს
- ე) ფილტვის მწვერვალის (პენკოსტის) კიბოს ჯგუფიდან

სწორი პასუხი არის ა. Abeloff's Clinical Oncology 2008 chap. 76

650. სიმსივნის ზრდასთან ერთად ბრონქული განვლადობის დარღვევის ხარისხის მატების სიჩქარე ყველაზე მეტადაა გამოხატული

- *ა) ენდობრონქული ეგზოფიტური კიბოს დროს
- ბ) პერიბრონქული კვანძოვანი კიბოს დროს
- გ) განტოტებული კიბოს დროს
- დ) პნევმონიისმაგვარი კიბოს დროს
- ე) ფილტვის მწვერვალის (პენკოსტის) კიბოს დროს

სწორი პასუხი არის ა. Abeloff's Clinical Oncology 2008 chap. 76

651. ფილტვის ქსოვილის მოცულობაში შემცირება სიმსივნის ზრდის გამო ბრონქული განვლადობის დარღვევისას ყველაზე მეტადაა გამოხატული

- ა) ჰიპოვენტილაციის დროს
- *ბ) ატელექტაზის დროს
- გ) ობტურაციული პნევმონიის დროს
- დ) სარქვლოვანი ემფიზემის დროს

სწორი პასუხი არის გ. Abeloff's Clinical Oncology 2008 chap. 76

652. პნევმონიისმაგვარი კიბო, როგორც წესი: 1) ცენტრალური კიბოა 2) პერიფერიული კიბოა 3) ჯირკვლოვანი კიბოა 4) ბრტყელუჯრედოვანი კიბოა

- ა) სწორია 1 და 3
- ბ) სწორია 2 და 4
- გ) სწორია 1 და 4
- *დ) სწორია 2 და 3

სწორი პასუხი არის დ. Abeloff's Clinical Oncology 2008 chap. 76

653. ფილტვის ცენტრალური კიბოთი დაავადებულ მამაკაცებში ჭარბობს

- *ა) ბრტყელუჯრედოვანი კიბო
- ბ) ჯირკვლივანი კიბო
- გ) წვრილუჯრედოვანი კიბო
- დ) მსხვილუჯრედოვანი კიბო

სწორი პასუხი არის ა. Abeloff's Clinical Oncology 2008 chap. 76

654. პერიფერიული კიბო ქალებში უფრო ხშირად არის ხოლმე

- ა) ბრტყელუჯრედოვანი
- *ბ) ჯირკვლოვანი
- გ) წვრილუჯრედოვანი
- დ) მსხვილუჯრედოვანი

სწორი პასუხი არის ბ. Abeloff's Clinical Oncology 2008 chap. 76

655. TNM კლასიფიკაციის შესაბამისად, მატასტაზები ლავიწის ლიმფურ კვანძებში აღინიშნება სიმბოლოთი

- ა) N1
- *ბ) N3
- გ) M1
- დ) T4
- ე) P2

სწორი პასუხი არის ბ. Abeloff's Clinical Oncology 2008 chap. 76

656. ფილტვის კიბო მეტასტაზირებს

- ა) ღვიძლში
- ბ) ძვალში
- გ) თავის ტვინში
- *დ) ყველა პასუხი სწორია
- ე) სწორი პასუხი არ არის

სწორი პასუხი არის დ. Abeloff's Clinical Oncology 2008 chap. 76

657. ლიმფოგენური მეტასტაზირების სიხშირე ყველაზე დიდია

- ა) ფილტვის ბრტყელუჯრედოვანი კიბოს დროს
- ბ) ფილტვის ადენოკარცინომის დროს
- *გ) წვრილუჯრედოვანი კიბოს დროს
- დ) ერთნაირია ყველა ჩამოთვლილი ფორმის დროს

სწორი პასუხი არის გ. Abeloff's Clinical Oncology 2008 chap. 76

658. ექტოპიური ენდოკრინული პარანეოპლასტიკური სინდრომები ყველაზე ხშირად აღინიშნება

- ა) ფილტვის ბრტყელუჯრედოვანი კიბოთი
- ბ) ფილტვის ადენოკარცინომით
- *გ) ფილტვის წვრილუჯრედოვანი კიბოთი
- დ) ფილტვის ბრონქიოლო-ალვეოლური კიბოთი დაავადებულეებში

სწორი პასუხი არის გ. Abeloff's Clinical Oncology 2008 chap. 76

659. ფილტვის პერიფერიული კიბოს დროს, ცენტრალურისგან განსხვავებით, დაავადება: 1) ხანგრძლივი დროის განმავლობაში მიმდინარეობს უსიმპტომოდ 2) თან სდევს გამოხატული კლინიკური სიმპტომატიკა უკვე საწყის სტადიაზე 3) ხველისა და სისხლის ამოხველების სიმპტომები ადრეულია 4) ხველა და სისხლის ამოხველება ჩნდება გვიან

- ა) სწორია 1 და 3
- ბ) სწორია 2 და 3
- *გ) სწორია 1 და 4
- დ) სწორია 2 და 4

სწორი პასუხი არის გ. Abeloff's Clinical Oncology 2008 chap. 76

660. ნევროლოგიური სიმპტომები, რომლებიც განპირობებულია არიან სიმსივნურ პროცესში მხრის წნულის ელემენტების ჩათვლით ფილტვის მწვერვალის კიბოს დროს, მიეკუთვნებიან

- ა) კუნთების და ხელის მტევნის სისუსტე
- ბ) ხელის მტევნისა და წინამხრის უბნების მგრძნობელობის მოშლა
- გ) გორნერის სინდრომი
- *დ) ყველა პასუხი სწორია

სწორი პასუხი არის დ. Abeloff's Clinical Oncology 2008 chap. 76

661. ფილტვის კიბოს დროს ჰორმონების ექტოპიური სეკრეციით განპირობებული პარანეოპლასტიკურ სინდრომებს მიეკუთვნებიან

- ა) ადრენო-კორტიკოტროპული ჰორმონის (აკტჰ) სეკრეციის სინდრომი

- ბ) პარათირეოიდული ჰორმონის (პთჰ) სეკრეციის სინდრომი
- გ) ანტიდიურეზული ჰორმონის (ადჰ) სეკრეციის სინდრომი
- *დ) ყველა პასუხი სწორია

სწორი პასუხი არის დ. Abeloff's Clinical Oncology 2008 chap. 76

662. ბრონქოლოგიური გამოკვლევისას დიაგნოზის მორფოლოგიური დადასტურებისთვის მასალის მიღების ხერხს წარმოადგენს

- ა) ბრონქიდან ამონარეცხი და ასპირატი
- ბ) ნაცხი-ანაბეჭდი
- გ) პუნქტატი
- დ) ბიოფსია
- *ე) ყველა ჩამოთვლილი

სწორი პასუხი არის ე. Abeloff's Clinical Oncology 2008 chap. 76

663. ბრონქოფიბროსკოპიის გამოყენებისას ფილტვის პერიფერიული კიბოს დიაგნოზის მორფოლოგიური ვერიფიკაცია შეუძლებელია სიმსივნის ლოკალიზაციისას

- ა) ფილტვის ფესვის ზონაში
- ბ) შუა ზონაში
- გ) ფილტვის ლაზადისებრ ზონაში
- *დ) სწორი პასუხი არ არის

ე) ყველა პასუხი სწორია

სწორი პასუხი არის დ. Abeloff's Clinical Oncology 2008 chap. 76

664. ფილტვის კიბოს დროს კომპიუტერული ტომოგრაფია საშუალებას გვაძლევს

- ა) განვსაზღვროთ სიმსივნის ზომები
- ბ) მოვახდინოთ სიმსივნის ზუსტი ლოკალიზაცია
- გ) განვსაზღვროთ შეფადრება გულმკერდის ღრუს კედელთან, ხერხემალთან და შუასაყართან
- დ) მივიღოთ ინფორმაცია შუასაყრისა და ფილტვის ფესვების ლიმფური კვანძების ზომების შესახებ

*ე) ყველა პასუხი სწორია

სწორი პასუხი არის ე. Abeloff's Clinical Oncology 2008 chap. 76

665. რადიოიზოტოპული გამოკვლევები ფილტვის კიბოს დროს შეიძლება გამოიყენებოდეს

- ა) ფილტვებში სისხლდენედობის გამოკვლევის
- ბ) შუასაყრის ლიმფური კვანძების მეტასტაზური დაზიანების ნიშნების გამოვლენის
- გ) ჩონჩხის მეტასტაზური დაზიანების ნიშნების გამოვლენის

დ) პირველადი სიმსივნით რადიოფარმაკოლოგიური პრეპარატის დაგროვების ინტენსივობის განსაზღვრის მიზნით

*ე) ყველა პასუხი სწორია

სწორი პასუხი არის ე. Abeloff's Clinical Oncology 2008 chap. 76

666. ტრანსთორაკალური პუნქციის წარმოება ფილტვის პერიფერიული კიბოს დროს დიაგნოზის მორფოლოგიური ვერიფიკაციის მიზნით მიზანშეწონილია

*ა) გულმკერდის კომპიუტერული ტომოგრაფიით გამოკვლევის შემდეგ

ბ) ნახველის 5-ჯერადი ციტოლოგიური გამოკვლევის შემდეგ

გ) ბრონქოლოგიური გამოკვლევისა და ნახველის ციტოლოგიური ანალიზის უარყოფითი შედეგებისას

დ) სწორი პასუხი არ არის

სწორი პასუხი არის ა. Abeloff's Clinical Oncology 2008 chap. 76

667. ტრანსთორაკალური პუნქციის წარმოება ფილტვის ახალწარმონაქმნის დიაგნოზის მორფოლოგიური ვერიფიკაციის მიზნით წინააღმდეგნაჩვენებია

ა) ფილტვში მეტასტაზე ექვსის მიტანისას

ბ) კეთილთვისებიან სიმსივნეზე ექვსის მიტანისას

*გ) ექინოკოკურ კისტაზე ექვსის მიტანისას

დ) წინააღმდეგნაჩვენებები არ არის

სწორი პასუხი არის გ. Abeloff's Clinical Oncology 2008 chap. 76

668. ფილტვში ახალწარმონაქმნის ტრანსთორაკალურ პუნქციას შეიძლება თან სდევდეს გართულება

*ა) პნევმოთორაქსის

ბ) ჰემოთორაქსის

გ) სისხლის ამოხველების

დ) იმპლანტაციური მეტასტაზირების სახით

სწორი პასუხი არის ა. Abeloff's Clinical Oncology 2008 chap. 76

669. ფილტვის პერიფერიული კიბოთი დაავადებულთა გამოკვლევის თანამედროვე მეთოდების გამოყენება გვადლევს დიაგნოზის მორფოლოგიური ვერიფიკაციის საშუალებას

*ა) ავადმყოფთა არანაკლებ 80%-ში

ბ) ავადმყოფთა არაუმეტეს 60%-ში

გ) ავადმყოფთა არაუმეტეს 40%-ში

დ) ავადმყოფთა 20%-ზე ნაკლებში

სწორი პასუხი არის ა. Abeloff's Clinical Oncology 2008 chap. 76

670. ფილტვის კიბოს მკურნალობის მეთოდის არჩევას განსაზღვრავს შემდეგი ფაქტორები, რომლებიც ახასიათებენ სიმსივნური პროცესის გავრცელებულობას

- ა) ფილტვში პირველადი სიმსივნის ზომებს და ლოკალიზაციას
- ბ) გულნკერდშიდა ლიმფური კვანძების მეტასტაზურ დაზიანებას
- გ) სისხლძარღვოვანი წარმონაქმნების, ორგანოებისა და სტრუქტურების ჩაზრდას
- დ) დაშორებული მეტასტაზების არარსებობას ან არსებობას
- *ე) ყველა პასუხი სწორია

სწორი პასუხი არის ე. Abeloff's Clinical Oncology 2008 chap. 76

671. არაგავრცელებული ფილტვის კიბოს მკურნალობის ყველაზე ეფექტურ მეთოდს წარმოადგენს

- *ა) ქირურგიული
- ბ) სხივური
- გ) ქიმიოთერაპია
- დ) იმუნოთერაპია

სწორი პასუხი არის ა. Abeloff's Clinical Oncology 2008 chap. 76

672. ფილტვის კიბოს მკურნალობის ქირურგიული მეთოდი უნდა გამოიყენებოდეს იმ ავადმყოფებში

- *ა) რომლებსაც არ აქვთ წინააღმდეგჩვენებები მკურნალობის მოცემული მეთოდისთვის
- ბ) რომლებშიც წინააღმდეგნაჩვენებია სხივური მკურნალობა
- გ) რომლებსაც გააჩნიათ ქიმიოთერაპიის წინააღმდეგჩვენება
- დ) რომლებსაც გააჩნიათ ფილტვის კიბოს გართულებული მიმდინარეობა (ობსტრუქციული პნევმონია, სიმსივნის დაშლა, სიმსივნური პლევრიტი)

სწორი პასუხი არის ა. Abeloff's Clinical Oncology 2008 chap. 76

673. ფილტვის კიბოს დროს ქირურგიული ჩარევის ძირითად სახეებს წარმოადგენენ

- ა) ლობექტომია (ბილობექტომია), პნევმოექტომია
- ბ) სეგმენტექტომია
- გ) ფილტვის სოლისებრი ან კიდითი რეზექცია
- დ) სწორი პასუხებია ა) და ბ)
- *ე) ყველა პასუხი სწორია

სწორი პასუხი არის ე. Abeloff's Clinical Oncology 2008 chap. 76

674. ფილტვის კიბოს დროს ოპერაციის რადიკალიზმის ძირითად პირობებს წარმოადგენენ

- ა) ფილტვის დაზიანებული უბნის (მინიმუმ წილის) ამოკვეთა

ბ) რეგიონალური ლიმფური კვანძების ამოკვეთა გარემომცველი ცხიმოვანი უჯრედისთან ერთად

გ) ბრონქის გადაკვეთის ხაზის დაშორება სიმსივნის ხილული კიდისგან 1,5-2 სმ-ით

დ) სიმსივნური უჯრედების არარსებობა გადაკვეთილი ბრონქის, ძარღვების, ორგანოების არეში მიკროსკოპული გამოკვლევის დროს

*ე) ყველა პასუხი სწორია

სწორი პასუხი არის ე. *Abeloff's Clinical Oncology 2008 chap. 76*

675. ფილტვის კიბოს დროს რადიკალური ოპერაციის წარმოების წინააღმდეგგვინებას წარმოადგენს ლიმფური კვანძების მეტასტაზური დაზიანება

ა) ტრაეობრონქულის

ბ) ლავიწის

გ) კისრის ღრმა

დ) ყველა პასუხი სწორია

*ე) სწორი პასუხებია ბ) და გ)

სწორი პასუხი არის ე. *Abeloff's Clinical Oncology 2008 chap. 76*

676. ფილტვის კიბოს გამო წარმოებული ოპერაციის ონკოლოგიური წინააღმდეგგვინებებს წარმოადგენენ მეტასტაზები

ა) კისრის ლიმფური კვანძებში

ბ) ლავიწის ლიმფურ კვანძებში

გ) დაშორებულ ორგანოებში

დ) პლევრაში

*ე) ყველა პასუხი სწორია

სწორი პასუხი არის ე. *Abeloff's Clinical Oncology 2008 chap. 76*

677. კიბოს გამო ფილტვის ნაწილობრივი რეზექციების შემდეგ ავადმყოფთა სიკვდილის ყველაზე ხშირ მიზეზს წარმოადგენს

ა) ბრონქული ფისტულა და პლევრის ემპიემა

*ბ) პნევმონია

გ) გულ-სისხლძარღვთა უკმარისობა

დ) ფილტვის არტერიის თრომბოემბოლია

სწორი პასუხი არის ბ. *Abeloff's Clinical Oncology 2008 chap. 76*

678. 5 წლის სიცოცხლის საუკეთესო პროგნოზი გააჩნიათ ფილტვის კიბოთი დაავადებულებს

*ა) დაავადებათა I სტადიით

ბ) დაავადებათა II სტადიით

- გ) დაავადებათა III სტადიით
- დ) დაავადებათა IV სტადიით

სწორი პასუხი არის ა. Abeloff's Clinical Oncology 2008 chap. 76

679. ქირურგთა უმრავლესობის მონაცემებით, საუკეთესო შერეულ შედეგებს აღწევენ ფილტვის კიბოს გამო წარმოებული რადიკალური ოპერაციების შემდეგ

- ა) წვრილუჯრედოვანი კიბოს დროს
- ბ) დაბალდიფერენცირებული ადენოკარცინომის დროს
- *გ) ბრტყელუჯრედოვანი კიბოს დროს
- დ) არადიფერენცირებული კიბოს დროს

სწორი პასუხი არის გ. Abeloff's Clinical Oncology 2008 chap. 76

680. ქირურგიული მეთოდი წვრილუჯრედოვანი კიბოს მკურნალობაში

- ა) არ გამოიყენება
- ბ) ავადმყოფთა აბსოლუტურ უმრავლესობაში გამოიყენება დამოუკიდებელი მეთოდის სახით
- გ) როგორც წესი, გამოიყენება ქიმიოთერაპიასთან კომბინაციაში
- დ) გამოიყენება მხოლოდ სხივურ თერაპიასთან კომბინაციაში
- *ე) გამოიყენება სხივურ და ქიმიოთერაპიასთან კომბინაციაში

სწორი პასუხი არის ე. Abeloff's Clinical Oncology 2008 chap. 76

681. ფილტვის კიბოს მორფოლოგიური ვარიანტებიდან ქიმიოთერაპიისადმი უფრო მგრძობიარეა:

- ა) ბრტყელუჯრედოვანი კიბო
- ბ) ადენოკარცინომა
- გ) მსხვილუჯრედოვანი
- *დ) წვრილუჯრედოვანი
- ე) გიგანტურუჯრედოვანი

სწორი პასუხი არის დ. Abeloff's Clinical Oncology 2008 chap. 76

682. ფილტვის II სტადიის მაღალდიფერენცირებული ადენოკარცინომისას არჩევის მეთოდს წარმოადგენს

- *ა) სუფთა ქირურგიული მკურნალობა
- ბ) ქიმიოთერაპია
- გ) სხივური თერაპია
- დ) ქიმიოსხივური მკურნალობა

სწორი პასუხი არის ა. Abeloff's Clinical Oncology 2008 chap. 76

683. ფილტვის წვრილუჯრედოვანი კიბოს ეტიოლოგიაში ძირითადი მნიშვნელობა აქვს შემდეგ ფაქტორებს: 1) მოწევას 2) ალკოჰოლს 3) მაიონიზირებელ რადიაციას 4) ფილტვების ტუბერკულოზს

ა) ყველა პასუხი სწორია

ბ) სწორი პასუხებია 2 და 4

*გ) სწორი პასუხებია 1 და 3

დ) სწორი პასუხი არ არის

სწორი პასუხი არის გ. Abeloff's Clinical Oncology 2008 chap. 76

684. ფილტვის წვრილუჯრედოვანი კიბოს დროს მეტასტაზების ყველაზე ხშირი ლოკალიზაცია

*ა) შუასაყარის ლიმფური კვანძები

ბ) მუცლის ღრუს ლიმფური კვანძები

გ) ღვიძლი

დ) ძვლები

ე) თავის ტვინი

სწორი პასუხი არის ა. Abeloff's Clinical Oncology 2008 chap. 76

685. ფილტვის წვრილუჯრედოვანი კიბოს ყველაზე ხშირი ჰემატოგენური მეტასტაზები ლოკალიზებულია

ა) ძვლებში

*ბ) ღვიძლში

გ) თირკმელზედა ჯირკვლებში

დ) თავის ტვინში

სწორი პასუხი არის ბ. Abeloff's Clinical Oncology 2008 chap. 76

686. ფილტვის წვრილუჯრედოვანი ცენტრალური კიბოს ყველაზე ხშირ კლინიკურ სიმპტომს წარმოადგენს

*ა) ხველა

ბ) ქოშინი

გ) სხეულის ტემპერატურის მომატება

დ) ხმის ხრინწიანობა

სწორი პასუხი არის ა. Abeloff's Clinical Oncology 2008 chap. 76

687. ადიუვანტული ქიმიოთერაპია ყველაზე მიზანშეწონილია

ა) ფილტვის ბრტყელუჯრედოვანი კიბოს დროს

ბ) ფილტვის ადენოკარცინომის დროს

*გ) ფილტვის წვრილუჯრედვანი კიბოს დროს

დ) ნაჩვენებია ყველა ფორმის დროს

ე) არ არის დამტკიცებული

სწორი პასუხი არის გ. Abeloff's Clinical Oncology 2008 chap. 76

688. ქიმიოთერაპიისადმი ყველაზე რეზისტენტულია მეტასტაზები

ა) ლიმფურ კვანძებში

ბ) ღვიძლში

*გ) ძვლის ტვინში

დ) რბილ ქსოვილებში

სწორი პასუხი არის გ. Abeloff's Clinical Oncology 2008 chap. 76

689. თავის ტვინის პროფილაქტიკური დასხივება ფილტვის წვრილუჯრედოვანი კიბოთი დაავადებულებში ნაჩვენებია

ა) ნაწილობრივი ეფექტის მიღწევისას

*ბ) სრული ეფექტის მიღწევისას

გ) პროცესის სტაბილიზაციისას

დ) პროგრესირებისას

სწორი პასუხი არის ბ. Abeloff's Clinical Oncology 2008 chap. 76

690. ფილტვის წვრილუჯრედოვანი კიბოს დროს გამოიყენება მკურნალობის შემდეგი მეთოდები

ა) ქიმიოთერაპია

ბ) იმუნოთერაპია

გ) ჰორმონოთერაპია

*დ) სწორი პასუხებია ა) და ბ)

ე) ყველა პასუხი სწორია

სწორი პასუხი არის დ. Abeloff's Clinical Oncology 2008 chap. 76

691. ფილტვის წვრილუჯრედოვანი კიბოთი დაავადებულის მკურნალობისას სრული ეფექტის მიღწევისას

ა) ტარდება ქიმიოთერაპიის შემანარჩუნებელი კურსები 6 თვის განმავლობაში

ბ) ტარდება ქიმიოთერაპიის შემანარჩუნებელი კურსები ერთი წლის განმავლობაში

*გ) შემანარჩუნებელი მკურნალობა არ ტარდება

სწორი პასუხი არის გ. Abeloff's Clinical Oncology 2008 chap. 76

692. ქიმიოთერაპიის ეფექტურობა ფილტვის წვრილუჯრედოვანი კიბოს დროს შეადგენს

- ა) 5-10%
- ბ) 20-30%
- გ) 40-50%
- *დ) 70-80%

სწორი პასუხი არის დ. Abeloff's Clinical Oncology 2008 chap. 76

693. ქიმიოთერაპიის ეფექტურობა ფილტვის არაწვრილუჯრედოვანი კიბოს დროს შეადგენს

- ა) 5-10%
- *ბ) 30-40%
- გ) 70-80%
- დ) 90-100%

სწორი პასუხი არის ბ. Abeloff's Clinical Oncology 2008 chap. 76

694. ავადმყოფთა 5 წლის სიცოცხლე, რომლებიც დაავადებულნი არიან ფილტვის წვრილუჯრედოვანი კიბოს ლოკალიზებული ფორმით, ქიმიოთერაპიის გამოყენების გამო სრული რეგრესის მიღწევისას შეადგენს

- *ა) 5-6%
- ბ) 20-30%
- გ) 40-50%
- დ) 70-80%

სწორი პასუხი არის ა. Abeloff's Clinical Oncology 2008 chap. 76

695. ყველაზე მაღალი რადიომგრძობელობა დამახასიათებელია

- ა) ფილტვის ადენოკარცინომისთვის
- ბ) ეპიდერმოიდული კიბოსთვის
- *გ) ფილტვის წვრილუჯრედოვანი კიბოსთვის
- დ) ბრონქიოლო-ალვეოლური კიბოსთვის

სწორი პასუხი არის გ. Abeloff's Clinical Oncology 2008 chap. 76

696. ფილტვის ცენტრალური კიბოს დროს ქსოვილების დასასხივებელ მოცულობაში, პირველადი სიმსივნის, ფილტვის ფესვისა და შუასაყრის ლიმფური კვანძების გარდა, რთავენ კიდევ საწინააღმდეგო მხარის ფილტვის ფესვის ლიმფურ კვანძებსაც და კისერ-ლავიწის ზონებსაც

- ა) ეპიდერმოიდული კიბოს დროს
- *ბ) წვრილუჯრედოვანი კიბოს დროს

გ) ადენოკარცინომისას

დ) შერეული სიმსივნეებისას

სწორი პასუხი არის ბ. Abeloff's Clinical Oncology 2008 chap. 76

697. ფილტვის კიბოს რადიკალური სხივური თერაპიისას არ არის რეკომენდირებული

*ა) მსხვილი ფრაქციების

ბ) დოზის ფრაქციონირების დინამიური რეჟიმის

გ) მულტიფრაქციონირების

დ) სხივური თერაპიის გახლეჩილი კურსის

გამოყენება

სწორი პასუხი არის ა. Abeloff's Clinical Oncology 2008 chap. 76

698. ფილტვის ეპიდერმოიდული კიბოთი დაავადებულში კომპრესიული სინდრომის

არსებობისას სხივური თერაპია

ა) არ არის ნაჩვენები

ბ) შესაძლებელია მცირე ერთჯერადი დოზების (2 გრ-ზე ნაკლები) გამოყენებით

გ) შესაძლებელია გამსხვილებული ფრაქციების გამოყენებით

*დ) სწორი პასუხებია ბ) და გ)

სწორი პასუხი არის დ. Abeloff's Clinical Oncology 2008 chap. 76

699. ფილტვის კიბოს სხივური თერაპიის აბსოლუტურ წინააღმდეგ ჩვენებას წარმოადგენს

ა) ლეიკოციტების რაოდენობის შემცირება 1 მმ³-ში 3000 დონემდე

ბ) მცირე რაოდენობით სისხლის ამოხველება

გ) წილის ატელექტაზი

*დ) აქტიური ტუბერკულოზი

ე) ყველა პასუხი სწორია

სწორი პასუხი არის დ. Abeloff's Clinical Oncology 2008 chap. 76

700. ფილტვის წვრილუჯრედოვანი კიბოს დროს სხივური თერაპია ყველაზე ხშირად

გამოიყენება

ა) როგორც დამოუკიდებელი მეთოდი

ბ) ქირურგიულ მკურნალობასთან კომბინაციაში

*გ) ქიმიოთერაპიასთან შეუღლებით

დ) ჰორმონოთერაპიასთან და იმუნოთერაპიასთან შეუღლებით

სწორი პასუხი არის გ. Abeloff's Clinical Oncology 2008 chap. 76

701. პლევრის ავთვისებიანი სიმსივნეების სხივური თერაპიისას სხივური თერაპია

ა) ყოველთვის გამოიყენება

*ბ) შეზღუდულად გამოიყენება

გ) არ გამოიყენება

დ) წინააღმდეგნაჩვენებია

სწორი პასუხი არის ბ. Abeloff's Clinical Oncology 2008 chap. 76

702. პლევრის კეთილთვისებიანი ფიბროზული მეზოთელიომით დაავადებულებს

*ა) გააჩნიათ კარგი პროგნოზი

ბ) გააჩნიათ ცუდი პროგნოზი

გ) დაავადებათა პროგნოზი არაერთმნიშვნელოვანია

სწორი პასუხი არის ა. Abeloff's Clinical Oncology 2008 chap. 76

703. პლევრის კეთილთვისებიან მეზოთელიომას შეიძლება თან სდევდეს შემდეგი კლინიკური გამოვლინებები

ა) ტკივილით გულმკერდში

ბ) ხველებით

გ) ჰიპერტროფიული ოსტეოართროპათიით

*დ) ყველა პასუხი სწორია

ე) სწორი პასუხებია ა) და ბ)

სწორი პასუხი არის დ. Abeloff's Clinical Oncology 2008 chap. 76

704. შეზღუდულად მზარდ მეზოთელიომებს (კეთილთვისებიან მეზოთელიომებს) უფრო ხშირად აქვთ

*ა) ფიბრომის

ბ) ლიპომის

გ) შვანომის

დ) ანგიომის

ე) ქონდრომის

აგებულია

სწორი პასუხი არის ა. Abeloff's Clinical Oncology 2008 chap. 77

705. პლევრის ავთვისებიანი მიზოთელიომა მეტწილად უნვითარდებათ ადამიანებს, რომლებსაც ჰქონდათ ან აქვთ კონტაქტი

ა) ნავთობგადამუშავები პროდუქტებთან

*ბ) ასბესტთან

გ) ქვანახშირთან

დ) ნიკელისა და ქრომის ნაერთებთან

სწორი პასუხი არის ა. Abeloff's Clinical Oncology 2008 chap. 77

706. ავთვისებიანი მეზოთელიომა

*ა) უფრო ხშირად აზიანებს პლევრას

ბ) უფრო ხშირად აზიანებს პერიტონეუმს

გ) გვხვდება ერთნაირად ხშირად

დ) არასოდეს არ აზიანებს პერიტონეუმს

სწორი პასუხი არის ა. Abeloff's Clinical Oncology 2008 chap. 77

707. პლევრის ექსუდატის კლინიკურ ნიშნებს წარმოადგენენ

ა) ტკივილები

ბ) მშრალი არაპროდუქტიული ხველა

გ) ქოშინი

*დ) ყველა ჩამოთვლილი

ე) მხოლოდ ა) და გ)

სწორი პასუხი არის დ. Abeloff's Clinical Oncology 2008 chap. 77

708. დიაფრაგმის მფარავი პლევრის დაზიანებისთვის დამახასიათებელია ტკივილის ლოკალიზაცია

ა) ილლიის არეში

ბ) გვერდში ირადიაციით მუცლის არეში

*გ) გულმკერდის ქვედა ნაწილში და ზედამხარში იმავე მხარეს

დ) ზურგში ბეჭის დონეზე

სწორი პასუხი არის გ. Abeloff's Clinical Oncology 2008 chap. 77

709. ძვლების პირველადი სიმსივნეების დიფერენციალური დიაგნოსტიკის ძირითად მეთოდს წარმოადგენს:

ა) რენტგენოლოგიური გამოკვლევა

* ბ) ჰისტომორფოლოგიური გამოკვლევა

გ) ულტრაბგერითი გამოკვლევა

დ) ანგიოგრაფია

სწორი პასუხი არის ბ. Abeloff's Clinical Oncology 2008 chap. 96

710. ძვლების პირველად ავთვისებიან სიმსივნეებზე ეჭვის დროს აუცილებელია დიფერენციალური დიაგნოსტიკა გატარდეს:

ა) ფიბროზულ დისპლაზიასთან

- ბ) ქრონიკულ ოსტეომიელიტთან
- გ) ძვლოვან-ხრტილოვან ეგზოსტოზებთან
- *დ) ყველა პასუხი სწორია

სწორი პასუხი არის დ. Abeloff's Clinical Oncology 2008 chap. 96

711. ოსტეოგენური სარკომები ყველაზე ხშირად გვხვდებიან შემდეგ ასაკში:

- *ა) 25 წლამდე
- ბ) 30-დან 40 წლამდე
- გ) 40-დან 50 წლამდე
- დ) 50 წელზე ზემოთ

სწორი პასუხი არის ა. Abeloff's Clinical Oncology 2008 chap. 96

712. იუნგის სარკომები ყველაზე ხშირად გვხვდებიან შემდეგ ასაკში:

- *ა) 25 წლამდე
- ბ) 30-დან 40 წლამდე
- გ) 40-დან 50 წლამდე
- დ) 50 წელზე ზემოთ

სწორი პასუხი არის ა. Abeloff's Clinical Oncology 2008 chap. 96

713. ქონდროსარკომები ყველაზე ხშირად გვხვდებიან შემდეგ ასაკში:

- ა) ბავშობის ასაკში
- ბ) ყრმობის ასაკში
- *გ) 40 წლის ასაკის ზემოთ
- დ) ნებისმიერ ასაკში

სწორი პასუხი არის გ. Abeloff's Clinical Oncology 2008 chap. 96

714. ქვემოთ ჩამოთვლილი ოპიოიდური აგონისტებიდან რომელი გამოიყენება მხოლოდ პარენტერალური გზით?

- ა) მორფინი
- ბ) კოდეინი
- *გ) ფენტანილი
- დ) მეტადონი
- ე) პროპოქსიფენი

სწორი პასუხი არის გ. Abeloff's Clinical Oncology 2008 chap. 96

715. ქვემოთ ჩამოთვლილი ადგილობრივი საანესთეზიო საშუალებებიდან რომელი გამოიყენება მხოლოდ ზედაპირული ანესთეზიისათვის?

- ა) პროკაინი
- ბ) ბუპივაკაინი
- გ) ეტიდოკაინი
- *დ) ბენზოკაინი
- ე) ლიდოკაინი

სწორი პასუხი არის დ. Abeloff's Clinical Oncology 2008 chap. 36

716. ჩამოთვლილი პრეპარატებიდან რომელი გამოიყენება ავთვისებიანი ჰიპერთერმიის სამკურნალოდ?

- ა) ბაკლოფენი
- ბ) დიაზეპამი
- გ) ციკლობენზაპრინი
- *დ) დანტროლენი
- ე) ჰალოტანი

სწორი პასუხი არის დ. Abeloff's Clinical Oncology 2008 chap. 36

717. რომელი წამალი ბაძავს მეტენკეფალინებს ზურგის ტვინის დორზალურ რქაზე მოქმედებაში?

- ა) სელეგილინი
- ბ) ტრიჰექსიფენიდილი
- გ) ბაკლოფენი
- *დ) მორფინი
- ე) ფენობარბიტალი

სწორი პასუხი არის დ. Abeloff's Clinical Oncology 2008 chap. 36

718. ოპიოიდებთან მიმართებაში ქვემოთჩამოთვლილი მტკიცებულებებიდან რომელია სწორი?

- ა) ოპიოიდური ანალგეზიური საშუალებების მიმართ არ ვითარდება ჯვარედინი ტოლერანტობა
- ბ) ტოლერანტობა თანაბრად ვითარდება ოპიოიდური ანალგეზიური საშუალებების ყველა ეფექტის მიმართ
- *გ) ოპიოიდები აქვეითებან ტკივილს, აგრესიულობასა და ლიბიდოს
- დ) მეტადონის მიღების სწრაფი შეწყვეტის სიმპტომები თვისობრივად განსხვავდება ჰეროინის მიღების შეწყვეტის სიმპტომებისაგან
- ე) არცერთი პასუხი არ არის სწორი

სწორი პასუხი არის გ. Abeloff's Clinical Oncology 2008 chap. 36

719. ქვემოთ ჩამოთვლილი მტკიცებულებებიდან რომელი ახასიათებს მორფინს?

- ა) მორფინი ოპიოიდური რეცეპტორების აგონისტ-ანტაგონისტია
- ბ) ჰეროინული დამოკიდებულების მქონე პაციენტებში იგი იწვევს მოხსნის სიმპტომების ინჰიბირებას
- *გ) მაღალ დოზებში გამოყენებისას იგი იწვევს სიკვდილს, სუნთქვის ცენტრის დათრგუნვის გამო
- დ) იგი მიუ, კაპა და დელტა რეცეპტორების სუსტი ანტაგონისტია
- ე) მას კოდეინის მსგავსი წამლისმიერი დამოკიდებულების განვითარების პოტენციალი გააჩნია

სწორი პასუხი არის გ. Abeloff's Clinical Oncology 2008 chap. 36

720. ქვემოთ ჩამოთვლილი თვისებებიდან რომელი არ ახასიათებს ფლურაზეპამს?

- ა) იგი ბენზოდიაზეპინია
- ბ) ძირითადად, საძილე საშუალებების სახით გამოიყენება
- გ) იწვევს ფიზიკურ დამოკიდებულებას
- *დ) იწვევს ეფექტურ ანალგეზიას
- ე) მოქმედების ხანგრძლივობა >24სთ

სწორი პასუხი არის დ. Abeloff's Clinical Oncology 2008 chap. 36

721. ჰიდრომორფონის ქვემოთ ჩამოთვლილი ეფექტებიდან რომლის მიმართ არ ვითარდება ტოლერანტობა?

- ა) ეიფორია
- ბ) ანალგეზია
- გ) გულისრევა და ღებინება
- დ) სუნთქვის დეპრესია
- *ე) ყაზობა

სწორი პასუხი არის ე. Abeloff's Clinical Oncology 2008 chap. 36

722. მეტადონის შესახებ ქვემოთ ჩამოთვლილი მტკიცებულებებიდან რომელი არ არის სწორი?

- ა) გამოიყენება, როგორც ანალგეზიური საშუალება
- ბ) მორფინთან შედარებით, იგი გაცილებით უფრო ეფექტურია ორალურად გამოყენებისას
- *გ) მეტადონი ოპიოიდური რეცეპტორების ანტაგონისტია
- დ) მორფინთან შედარებით, მეტადონით განპირობებული მოხსნის სინდრომი ნაკლები ინტენსივობის, მაგრამ უფრო ხანგრძლივად მიმდინარეა
- ე) მეტადონის გვერდითი ეფექტებია ყაზობა, სუნთქვის დეპრესია, სისუსტე

სწორი პასუხი არის გ. Abeloff's Clinical Oncology 2008 chap. 36

723. აბსტინენციურ სინდრომის გამომწვევი ქვემოთ ჩამოთვლილი საშუალებებიდან რომელი არ იწვევს ცნს-ის აგზნებას?

- ა) მორფინი
- ბ) ეთანოლი
- გ) ფენობარბიტალი
- *დ) კოკაინი
- ე) გლუტეთიმიდი

სწორი პასუხი არის დ. Abeloff's Clinical Oncology 2008 chap. 36

724. ფენტანილის შესახებ ქვემოთჩამოთვლილი მტკიცებულებებიდან რომელი არ არის სწორი

- ა) იგი მორფინზე 100-ჯერ უფრო მეტად პოტენციურია
- *ბ) ჩვეულებრივ ორალურად მიიღება
- გ) გამოიყენება ანესთეზიისათვის
- დ) მაღალ დოზებში იწვევსკუნთების რიგიდობას, რომლის მოხსნა შეიძლება ნალოქსონით
- ე) ნეიროლეპტანალგეზიის მისაღწევად გამოიყენება დროპერიდოლთან ერთად.

სწორი პასუხი არის ბ. Abeloff's Clinical Oncology 2008 chap. 36

725. ოპიოიდური ანალგეზიური საშუალებების ქრონიკული გამოყენების შემთხვევაში რომელი ეფექტის მიმართ არ ვითარდება მნიშვნელოვანი ტოლერანტობა?

- *ა) ყაზზობა
- ბ) ეიფორია
- გ) გულისრევა და ღებინება
- დ) სედაცია
- ე) შარდის შეკავება

სწორი პასუხი არის ა. Abeloff's Clinical Oncology 2008 chap. 36

726. ოპიოიდური ანალგეზიური საშუალებების ქვემოთ ჩამოთვლილი ეფექტებიდან რომელი ხორციელდება კაპა რეცეპტორების გააქტივების შედეგად?

- ა) თავის ტვინის სისხლძარღვების დილატაცია
- ბ) საშვილოსნოს ტონუსის დაქვეითება
- გ) ეიფორია
- *დ) სედაცია
- ე) წამლის მიმართ ფსიქოლოგიური დამოკიდებულება

სწორი პასუხი არის დ. Abeloff's Clinical Oncology 2008 chap. 36

727. რომელია ყველაზე საშიში გვერდითი ეფექტი, რომელიც ფენტანილის პლასტირის ანალგეზიის მიზნით გამოყენების შედეგად შეიძლება განვითარდეს?

- ა) კანის ადგილობრივი რეაქცია
- ბ) დიარეა
- გ) ჰიპერტენზია
- დ) ჩონჩხის კუნთების მოდუნება
- *ე) სუნთქვის დეპრესია

სწორი პასუხი არის ე. Abeloff's Clinical Oncology 2008 chap. 36

728. ქვემოთჩამოთვლილი კლინიკური მდგომარეობებიდან რომელი არ წარმოადგენს მორფინის გამოყენების წინააღმდეგჩვენებას?

- ა) ადრენალური უკმარისობა
- ბ) სანაღვლე გზების ქირურგია
- გ) ჰიპოთირეოიდიზმი
- დ) მშობიარობა
- *ე) ფილტვის შეშუპება

სწორი პასუხი არის ე. Abeloff's Clinical Oncology 2008 chap. 36

729. ოპიოიდური რეცეპტორების რომელ სრულ აგონისტს აქვს საუკეთესო ორალური ბიომეღწევადობა, მორფინის ექვივალენტური ანალგეზიური აქტივობა და მოქმედების მეტი ხანგრძლივობა. მორფინთან შედარებით, მისი მიღების უეცარი შეწყვეტის შემთხვევაში მოხსნის სინდრომი უფრო მსუბუქად მიმდინარეობს.

- ა) ფენტანილი
- ბ) ჰიდრომორფინი
- *გ) მეტადონი
- დ) ნალბუფინი
- ე) ოქსიკოდონი

სწორი პასუხი არის გ. Abeloff's Clinical Oncology 2008 chap. 36

730. პროპოქსიფენის შესახებ ქვემოთ ჩამოთვლილი მტკიცებულებებიდან რომელია სწორი?

- ა) ანალგეზიური ეფექტი ოქსიკოდონის ექვივალენტური აქვს
- ბ) მუ რეცეპტორების ანტაგონისტია
- გ) იწვევს დოზა-შეზღუდულ დიარეას
- დ) აქვს ხველის საწინააღმდეგო მაღალი ეფექტურობა
- *ე) დოზის გადაჭარბების შემთხვევაში იწვევს კრუნჩხვებს

სწორი პასუხი არის ე. Abeloff's Clinical Oncology 2008 chap. 36

731. ახალგაზრდა ქალს აღენიშნება მძიმე დეპრესიის სიმპტომები, რაც არ უკავშირდება მის ზოგად ჯანმრთელობის მდგომარეობას, რაიმე დანაკარგს, ან წამლისმიერ დამოკიდებულებას. ის ამჯერად არავითარ მკურნალობას არ იტარებს. გადაწყდა პაციენტის სამკუნალოდ სეროტონინის უკუმიტაცების სელექტიური ინჰიბიტორების გამოყენება.

ჩამოთვლილი რეკომენდაციებიდან რომლის მიცემა არ არის აუცილებელი პაციენტისათვის?

- ა) დოზების დაყოფა ამცირებს გულისრევას და ღებინებას
- ბ) შეიძლება განვითარდეს კუნთების ტკივილი და კრთომა
- გ) პაციენტმა უნდა გაგაგებინოთ თუ იგი რომელიმე სხვა წამლის მიღებას აპირებს
- *დ) წამლის მიღება საღამოს, უზრუნველყოფს კარგ ღამის ძილს
- ე) წამლის ეფექტის განვითარებას 2კვირა ან მეტი შეიძლება დასჭირდეს

სწორი პასუხი არის დ. Abeloff's Clinical Oncology 2008 chap. 36

732. ამიტრიპტილინით მკურნალობის დროს ქვემოთ ჩამოთვლილი ეფექტებიდან რომელი ვითარდება ყველაზე ნაკლებად?

- ა) ალფა-ადრენორცეპტორების ბლოკადა
- *ბ) კრუნჩხვის ზღურბლის გაზრდა
- გ) მიდრიაზი
- დ) სედაცია
- ე) შარდის შეკავება

სწორი პასუხი არის ბ. Abeloff's Clinical Oncology 2008 chap. 36

733. პაციენტი, რომელიც დიდი დეპრესიის გამო ანტიდეპრესიულ მკურნალობაზეა, ამიტრიპტილინის დღიური დოზის 30-ჯერ გადაჭარბების გამო გადაუდებელი დახმარების ცენტრში მოხვდა. ქვემოთ ჩამოთვლილი კლინიკური სიმპტომებიდან რომელი არ არის დამახასიათებელი ამ მდგომარეობისათვის?

- ა) აციდოზი
- ბ) კომა და შოკი
- გ) მშრალი, ცხელი კანი
- დ) ჰიპოტენზია
- *ე) გუგების მნიშვნელოვანი შევიწროება

სწორი პასუხი არის ე. Abeloff's Clinical Oncology 2008 chap. 36

734. ქვემოთ ჩამოთვლილი მკურნალობის მეთოდებიდან რომელი იქნება არაეფექტური ტრიციკლური ანტიდეპრესანტების დოზის მნიშვნელოვანი გადაჭარბების სამკურნალოდ?

- ა) გულის არითმიის საკონტროლოდ ლიდოკაინის გამოყენება
- *ბ) ჰემოდიალიზი – წამლის ელიმინაციის გაძლიერების მიზნით

გ) აციდოზისა და ჰიპოკალემიის ჩასწორების მიზნით ბიკარბონატისა და კალიუმის დანიშვნა

დ) კრუნჩხვის კონტროლის მიზნით დიაზეპამის ინტრავენოზურად გამოყენება

ე) გულის რიტმის ელექტრული ჩასწორება

სწორი პასუხი არის ბ. Abeloff's Clinical Oncology 2008 chap. 36